გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

ილორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

E-mail: r.jalagania@mail.ru
E-mail: roland.jalagania@mail.ru

№352 (411) 23 თებერვალი – 1 მარტი 2016 წელი სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა – აკაკი შანიძე

სერგი სჯაია: ახავაი დო ვავა უვიცობავ, ქედდადრეკილთა აზროვნებავ, უხვალდღეობისკენ თავაწყვეტილო ფეხაწყობავ და ჯოგურო თვითკმაყოფილებავ!..

გვ.4

მერაბ კოსტავას პატიმრობის გაუხმაურებელი დეტალები

გვ.2

დავით ქობალია: თუ საქართველოს გადარჩენა გვინდა, “ანაკლია პორტი” ხაზარაძე და კონტი ჯგუფმა არ უნდა ააშენოს!

გვ.7

კონსტანტინე კაპანელი (ჭანტურია): რენესანსი ლიტერატურაში

კეთილსინდისიერი მკვლევარი რუსთაველისა და მისი პოემის წინაშე თავს ისე გრძნობს, თითქოს დიდი ოკეანის პირას იჯდეს და უსაზღვროების გაშლილ არეზე ტალღათა ჰარმონიული შრიალი ესმოდეს.

გვ.3

მურმან სანგულია: მადლობა, საყვედური...

თუ დასავლეთი წინააღმდეგია, რომ დაისაჯონ “ნაციონალები” და მათი ლიდერები, თუ ისინი ხელს აფარებენ დამნაშავეებს, მაშინ საკითხავია, რა გვინდა ნატოში, ევროკავშირში?

გვ.9

გერმანელი ავტორები სამეგრელოს შესახებ

ცივზედაც ნაოსნობა შესაძლებელია“, – წერს ს. ჯანაშია

გვ.5

ალ. კაკულია – სვატოპლუკ ჩეხის წიგნი საქართველოზე

გვ.9

მერაბ კოსტავას პატიმრობის გაუხმაურებელი დეტალები

ლაჩინოვმა მითხრა, – სხვა დოკუმენტებთან ერთად, კოსტავას საქმეც დაიწვაო. ვინ დაავალა და რატომ წაიღო ეს დოკუმენტები, არ ვიცი...

დედამისისთვის უთქვამს: "დედი, არ გეწყინოს, მაგრამ ჯერ უფალი მიყვარს, მერე – ზვიადი, მერე კი შენ მიყვარხარო"...

საქართველოს ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას შესახებ ბევრი რამ დაწერილა და თქმულა. საზოგადოებამ კარგად იცის, რომ მან მთელი შეგნებული ცხოვრება, საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას შეალია. მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში ბაბუასა და მშობლებთან ერთად, დიდი როლი ბიძამ, ცნობილმა მსახიობმა და ყოფილმა პოლიტპატიმარმა გრიგოლ კოსტავამ ითამაშა, რომელიც პოლიტიკური აქტიურობისთვის ციმბირში გადაასახლეს. იგი მერაბს ბავშვობიდან აყალიბებდა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლ გმირად. 1946 წელს, მერაბ კოსტავა თბილისის ვაჟთა I-ელ სკოლაში შეიყვანეს. თანატოლებს შორის გამორჩეული იყო. IX კლასიდან სწავლა ფალიაშვილის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში გააგრძელა. ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან დაიწყო პოლიტიკური მოღვაწეობა. სკოლაში ზვიად გამსახურდიას დაუმეგობრდა და ბავშვობიდან მათი მისია თავისუფლებისათვის ბრძოლა გახდა. რამდენიმე თანატოლთან ერთად, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პირველი პატრიოტულ-არალეგალური ორგანიზაცია **"გორგასლიანი"** დააარსა. 1956 წლის დეკემბრის სუსხიან დღეებში თბილისში პროკლამაციები გაჩნდა: **"ძირს პირსისხლიანი კომუნისტები, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!"** ანტისაბჭოთა პროკლამაციების გავრცელების გამო, საიდუმლო ორგანიზაცია **"გორგასლიანის"** წევრები დაიჭირეს. ასე მოხვდნენ სკოლის მერხიდან საპყრობილეში: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, გურამ დოჩანაშვილი, ვოვა სიხარულიძე, თემურ ცერცვაძე, თამაზ გუნჯუა, გურამ სხირტლაძე და ანატოლი მიქაძე. მეათეკლასელი მერაბ კოსტავა, ექვსი თვის შემდეგ, ციხიდან როგორც არასრულწლოვანი, პირობითი სასჯელით გაათავისუფლეს. მას შემდეგ უსამართლოდ გადასახლებასა და პატიმრობაში ცხოვრების უმნიშვნელოვანესი წლები გაატარა... ციხე-კოლონიების ყოფილი უფროსი, **ვლადიმერ ტაბაღუა** მერაბ კოსტავას პირველად საქართველოს ციხეში შეხვდა.

ვლადიმერ ტაბაღუა: – მერაბ კოსტავას პირადი საქმის გაცნობამ დამარწმუნა, რომ უმძიმესი პირობების მიუხედავად, იგი განსაცდელს არ შეუშინდა; პირიქით – უსამართლოდ თავს დატეხილ უბედურებას, წამებას, უდრეკად იტანდა. სამწუხაროა, რომ დღეს აღარ არსებობს მისი პირადი საქმე, რადგანაც ის **სუკ**-ისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივებში გაჩენილ ხანძარს შეეწირა, ისევე როგორც ჩვენი ისტორიისთვის მნიშვნელოვანი ბევრი დოკუმენტი. მახსოვს, როცა მისი საქმე ხელში ავიღე და მასალებს დეტალურად გავეცანი, გავოგნდი. ის ემოცია არასოდეს დამავიწყდება. ერთი სქელი ტომი იყო, მაგრამ მოცულობით იმაზე მეტი გახლდათ, ვიდრე 5 პატიმრის ერთად შეკრული საქმე. თითოეულ ფურცელს საგულდაგულოდ გავეცანი. საქმე რამდენიმეგვერდიანი სასამართლოს განაჩენით იწყებოდა, დანარჩენ ფურცლებზე მისთვის გამოცხადებული საყვედურები და საჩივრები იყო აღნუსხული; კარცერებსა და კამერული ტიპის დაწესებულებებში გადაყვანის ბრძანებებით იყო სავსე. ფაქტობრივად, მისი ტანჯვა-წამების დამადასტურებელი სრული მასალა ერთად იყო თავმოყრილი.

1978 წლის 29 მაისს, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ ა. კობახიძის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: ლ. გრიგოლიას, ე. ნარიმანიძის, პროკურორ გ. უგულავას და ადვოკატების: მ. ალხაზიშვილისა და ო. ნიკოლეიშვილის მონაწილეობით, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ბრალდების საქმე განიხილა. ისინი 71-ე მუხლის 1-ელი ნაწილით გაასამართლეს – ანტისაბჭოური აგიტაციისა და პროპაგანდისთვის და 3-3 წელი მიესაჯათ. ამ სასჯელს დამატებითი სასჯელი – გადასახლება დაემატა. პატიმრობის შემდეგ მერაბ კოსტავა ირკუტსკის ოლქში 2 წლით გადაასახლეს. ასეთი პიროვნებები უშიშროებას სპეციალურ აღრიცხვაზე ჰყავდა, რომ საზოგადოებისგან იზოლირებულნი ყოფილიყვნენ...

გადასახლებაში, ქალაქ ირკუტსკში, სოფლის კლუბში გამართულ ღონისძიებაზე პროვოკაცია მოუწყვეს და ახალი ბრალდება – ხულიგნობა შეუთითხნეს. თითქოს ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა მერაბ კოსტავამ ჩხუბი ატეხა, იმ დროს მილიციელმა მას წესრიგისკენ მოუწოდა, ის არ დაემორჩილა, მილიციელს მაისური შემოახია და ხელისკვრით ძირს დააგდო. ამ ბრალდებით, 1981 წლის 17 ნოემბერს, ირკუტსკის ოლქში იგი ისევ გაასამართლეს. გადასახლების წლები ახალ სასჯელს დაემატა და 5-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ქალაქ ანგარსკში, მკაცრი რეჟიმის კოლონიაში გადაიყვანეს. იქაც მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდათ, საზოგადოებასთან კონტაქტი რომ ვერ მოეხერხებინა. აკონტროლებდნენ, წერილები არ გაეგზავნა იმ ადამიანებთან, რომლებიც საბჭოთა კავშირში დისიდენტურ საქმიანობას ეწეოდნენ. იმ დროს, მერაბ კოსტავა მეუღლესთან, ქალბატონ რუსუდან ბერიძესთან, ფაქტობრივად, განქორწინებული იყო. სასამართლოს გადაწყვეტილებით, შვილისთვის ალიმენტი უნდა გადაეხადა. პატიმარს მუშაობა ევალებოდა. კანონით, ვისაც ალიმენტი ჰქონდა გადასახდელი, ისინი მაღალანაზღაურებად სამუშაოზე უნდა დაესაქმებინათ. როგორც წესი, სამუშაოდ პატიმრები კოლონიის გარეთ გაჰყავდათ, დისიდენტებს კი გარეთ არ უშვებდნენ. მერაბ კოსტავამ ბევრჯერ მოითხოვა დასაქმება, მაგრამ უშედეგოდ. ადმინისტრაცია მას ალტერნატივას სთავაზობდა – სამეურნეო საქმიანობა (კოლონიის დამლაგებლობა) შეესრულებინა. კანალიზაცია და კოლონიის მთელი ბარაკი დღეში სამჯერ უნდა დაესუფთავებინა. მან შეურაცხმყოფელი სამუშაოს შესრულებაზე კატეგორიული უარი თქვა. ამის გამო კარცერში მოათავსეს.

– ამას აპროტესტებდა?

– პირად საქმეში 1984 წლის 12 ნოემბრით დათარიღებული განცხადება იდო, კოლონიის უფროსის და ქალაქ ანგარსკის პროკურორის სახელზე დაწერილი: **"დიდი ხანია, გთხოვეთ, მომაწყოთ სამუშაოზე საწარმოო ზონაში. თქვენ უგულებელყოფთ ჩემს მოთხოვნას და ყოველგვარი საშუალებით ცდილობთ, ჩემი ნების საწინააღმდეგოდ, მაიძულოთ, ვიმუშაო სამეურნეო საქმიანობაში. ვაცხადებ შიმშილს. მანამდე ვიშიმშილებ, სანამ არ დააკმაყოფილებთ ჩემს მოთხოვნებს. გთხოვთ, მომცეთ საშუალება, ვიმუშაო და ალიმენტის გადახდა შევძლო!"**

კოლონიაში მოშიმშილე მერაბ კოსტავას პროკურორი შეხვდა, მაგრამ სამუშაოზე მაინც არ მოაწყვეს. 5-წლიანი პატიმრობიდან უდიდესი ნაწილი, კარცერსა და საპყრობილის რეჟიმში გაატარა. ერთხელ იმის გამოც დასაჯეს, რომ კოლონიის მეორე ბარაკში მყოფი ქართველი პატიმარი მოინახულა. სამწუხაროდ, კარცერში უჰაერობასა და სინესტეში იმყოფებოდა და ტუბერკულოზით დაავადდა. უკანონო სასჯელების გამო დიდხანს შიმშილობდა. 18-დღიანმა მშრალმა შიმშილობამ ტუბერკულოზით დაავადებული მერაბ კოსტავას ჯანმრთელობა იმდენად შეარყია, რომ საკნიდან ცოცხალმკვდარი გამოიყვანეს. იმდენად ცუდად იყო, ციხის ადმინისტრაცია იძულებული გახდა, საავადმყოფოში გადაეყვანა. რომ მომჯობინდა, ისევ უკან დააბრუნეს. იგივე წრე დატრიალდა, დაბრუნებულს ისევ კოლონიის დალაგება მოსთხოვეს, კვლავ უარი განაცხადა. ურჩობისთვის კიდევ კარცერში უკრეს თავი. შინაგანაწესის დარღვევისთვის იმდენი ბრძანება დაიწერა და იმდენჯერ დაედო სასჯელი, რომ 1985 წელს, ურჩობისთვის, კიდევ ერთხელ გაასამართლეს. არადა, გათავისუფლების დრო ახლოვდებოდა. ძველ წლებს კიდევ ერთხელ ახალი სასჯელი (3 წელი) დაემატა და ციხეში მოსახდელი ისევ 4 წელიწადზე მეტი გაუხდა. მოკლედ, კოლონიიდან კოლონიაში გადაჰყავდათ, სულ მოძრაობაში იყო.

– როდის შეიცვალა მის მიმართ ხელისუფლების დამოკიდებულება?

– მიხეილ გორბაჩოვის დანიშვნის შემდეგ დისიდენტებს ასე მკაცრად აღარ ექცეოდნენ. ისინი არ ჩერდებოდნენ და საერთაშორისო საზოგადოებას უკანონობებზე ინფორმაციებს აწვდიდნენ, რამაც საბოლოოდ შედეგი გამოიღო. როგორც იქნა, 1986 წლის დეკემბერში, მერაბ კოსტავა სასჯელის მოსახდელად საქართველოში დააბრუნეს. იმ დროს დისიდენტების მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა...

№1 იზოლატორის (შემდგომში მეხუთე საპყრობილე. – ავტ.) სპეცნაწილის უფროსი ვიყავი, როცა პირველად მერაბ კოსტავას შევხვდი. რუსეთიდან ახალი ჩამოყვანილი იყო. განკარგულება მივიღეთ, – ანტისაბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდისთვის გასამართლებულს შეწყალებაზე განცხადება უნდა დაეწერათ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელზე და შეიწყალებდნენ. როგორც სპეცნაწილის უფროსს, მათთვის ინფორმაციის გაცნობა მევალებოდა. მორიგეს ვთხოვე, ამ ბრალდებით დაკავებულნი კაბინეტში ამოეყვანა და ოთახში 4 პატიმარს შევხვდი, მათ შორის მერაბ კოსტავასაც.

– იქნებ ის შეხვედრაც გაიხსენოთ...

– მახსოვს, კაბინეტში გაჭაღარავებული, წვერმოშვებული, გამხდარი, ღრმად მოხუცივით დაუძლურებული მერაბ კოსტავა შემოვიდა. კარგად არ იყო გამოჯანმრთელებული. ოთახში ბოლთას სცემდა, ნერვიულობა მაშინვე დაეტყო, რაღაცას ბრაზობდა და უნდობლად მიყურებდა. აშკარა იყო, რომ სასწრაფოდ სურდა, ჩემთან ვიზიტის მიზეზი გაერკვია. როდესაც ავუხსენი, რომ განცხადება უნდა დაეწერა დარჩენილი სასჯელის პატიებაზე, ანერვიულდა, სახეზე წყენა გამოეხატა და პირდაპირ მითხრა: **"რა პატიების განცხადება უნდა დავწერო? უდანაშაულო ადამიანი ვარ, არავითარი დანაშაული არ მაქვს ჩადენილი ერისა და ქვეყნის წინაშე. ვის უნდა ვთხოვო პატიება და რატომ?!"**

მისი კატეგორიული უარის მიუხედავად, შევეცადე ამეხსნა, რომ განცხადების დაწერა, ფაქტობრივად, მის გათავისუფლებას ნიშნავდა. ჩემმა ამ სიტყვებმა გააღიზიანა და საკანში დაბრუნება კატეგორიულად მოითხოვა. მას სხვებმაც მიჰბაძეს და შეწყალებაზე მათაც უარი თქვეს. შეხვედრის შემდეგ ოქმი შევადგინე და შესაბამის ორგანოს გადავეცი. ამ შეხვედრამ აღმიძრა სურვილი, რომ დეტალურად გავცნობოდი მის პირად საქმეს. გავოცდი, როცა ეს მასალა ვნახე. ის მართლაც შეუდრეკელი კაცის ცხოვრებას სრულად ასახავდა.

– რა ეწერა მის პირად საქმეში?

– იქიდან ბევრი საინტერესო დეტალი ამოვიწერე. იცით, პატიმრობის დროს დასჯილი იყო იმისთვისაც, რომ საკანში ერთი ცალი კანფეტი აღმოუჩინეს. ვითომდაც რადაც ნივთს უპოვიდნენ და კარცერში ყოფნის ვადას ასე უხანგრძლივებდნენ. არადა, თვითონვე უგდებდნენ საკანში აკრძალულ ნივთს და მერე ამის გამო სჯიდნენ.

– ქართულ ციხეში ალბათ მის მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა, არა?

– მერაბ კოსტავას ქართულ ციხეში პატივისცემით ექცეოდნენ როგორც თანამშრომლები, ისე – პატიმრებიც. ყველას უყვარდა... იგი ბევრს კითხულობდა. საკანში უამრავი ფილოსოფიური, თეოლოგიური ლიტერატურა ჰქონდა. საპყრობილეში ჩვეულებრივ პატიმრებთან, 15-კაციან საკანში იჯდა. მერე ქსნის ტუბზონაში გადაიყვანეს და გათავისუფლებამდე სასჯელს იქ იხდიდა.

როცა ქვეყანა აირია, გადავწყვიტე, მისი პირადი საქმე გადამერჩინა და ქსეროასლები გადამეღო. მართლა ზღვა მასალა გახლდათ, უნიკალური ფაქტებით – ასე რომ, წიგნის გამოცემაც კი შეიძლებოდა. ერთ დღეს საქმე არქივიდან გამოვიტანე და სახლში წავიღე. არ ვიცი, ისე ოპერატიულად ეს ამბავი ვინ გაიგო. შრომაგასწორების სპეცნაწილის სამმართველოს უფროსმა, ლაჩინოვმა მეორე დღეს მომაკითხა და მითხრა, – კოსტავას პირადი საქმე წამოგიღია და სასწრაფოდ უფროსს სჭირდებაო. მისი ქსეროასლების გადაღება ვეღარ მოვასწარი, მხოლოდ რამდენიმე დოკუმენტი მქონდა გადაღებული და ისინი შემრჩა. საქმე ლაჩინოვს გადავეცი იმ იმედით, რომ ისევ შევძლებდი ამ საქმის ხელში ჩაგდებას და ასლების გადაღებას, მაგრამ ვერ მოხერხდა.

– რატომ?

– ამ ფაქტიდან მეორე დღეს, შევჩენკოს ქუჩაზე, შს სამინისტროს არქივს ცეცხლი გაუჩნდა. მერე მერაბ კოსტავას საქმე რომ მოვიძიე, ლაჩინოვმა მითხრა, – სხვა დოკუმენტებთან ერთად, კოსტავას საქმეც დაიწვაო. ვინ დაავალა და რატომ წაიღო ეს დოკუმენტები, არ ვიცი. ფაქტია, რომ კოსტავას საქმე განადგურდა. ვერც იმას გეტყვით, არქივს ვინმემ ცეცხლი შეგნებულად წაუკიდა თუ არა... საყურადღებო იყო 1985 წლის იანვრით დათარიღებული მერაბ კოსტავას დახასიათება. მაშინაც მას კამერული ტიპის საკანში გადასაყვანად ამზადებდნენ და IX კოლონიის რაზმეულის უფროსი წერდა: **"გულჩათხრობილი და ამაყია, სისტემატურად ხაზს უსვამს გარშემო მყოფებთან შედარებით თავის უპირატესობას. ჩადენილ დანაშაულს უარყოფს და მიიჩნევს, რომ მას ყველაფერი მოუწყვეს განსხვავებული შეხედულებისა და რწმენის გამო. ამბობს, რომ მის მიმართ დანაშაული პროვოცირებულია. მის ხასიათში ნათლად გამოხატულია ნაციონალიზმის ნიშნები. კითხულობს მხოლოდ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, რომლითაც ნათესავები ამარაგებენ. მეგობრობს მხოლოდ ქართველებთან, კითხულობს ქართულ ლიტერატურას და საუბრობს ქართულად..."**

– პირადი საქმიდან გადაღებული ასლები ისევ თქვენთან ინახება?

– სამწუხაროდ, არა, სულ რამდენიმე გვერდიღა შემომრჩა. როგორც გითხარით, მისი პირადი საქმის ნაწილი გადაღებული მქონდა და საგულდაგულოდ ვინახავდი, მაგრამ **"მერაბ კოსტავას საზოგადოებამ"** გამოაცხადა, რომ ეროვნულ გმირზე წიგნი მზადდებოდა და მასალებს აგროვებდნენ. დაქსეროქსებული რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი პატიმარს ციხეში ლამაზად ავაკინძვინე, სპეციალური ყდაც დავამზადებინე და ეს მასალები **"მერაბ კოსტავას საზოგადოებას გადავეცი"**. მერე რომ მოვიძიე, მითხრეს, დაიკარგაო. მინდოდა, გადარჩენილი ასლები მის მუზეუმში ჩამებარებინა. საქმეს ფოტოც ერთვოდა – მერაბ კოსტავას გაშეშებული, არამეტყველი კადრი. პირად საქმეზე კი დაკრული იყო თმაგადაპარსული მერაბის უნიკალური ფოტო. ეს ჩვენი ისტორიისთვის მნიშვნელოვანი მასალა იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მითხრეს, რომ ისიც დაიკარგა...

ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას საოცარი მეგობრობის შესახებ საყოველთაოდ არის ცნობილი. ციმბირიდან მერაბმა ასეთი შინაარსის წერილი გამოუგზავნა ოჯახს: **"ძალიან მძიმედ ვარ, მაისის თვეში კარცერი მითავდება, არ ვიცი, ოდესმე ჩვენი შეხვედრა მოხდება თუ არა"**. ციმბირში მას მეუღლემ, ქალბატონმა რუსუდანმა ჩააკითხა, რომელსაც ზვიად გამსახურდიაც ახლდა. ნამდვილად არ ვიცი, როგორი იყო მათი შეხვედრა. დარწმუნებული ვარ, ემოციური იქნებოდა. ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. ერთხელ მერაბს დედამისისთვის უთქვამს: **"დედი, არ გეწყინოს, მაგრამ ჯერ უფალი მიყვარს, მერე – ზვიადი, მერე კი შენ მიყვარხარო".**

– საქართველოს ციხეში დიდხანს იხდიდა სასჯელს?

– არა. 1987 წლის აპრილში, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, დისიდენტები შეიწყალეს. იცით, რა ჩაიწერა მერაბ კოსტავასა და სხვების გათავისუფლების ბრძანებაში? იქ ეწერა: **"მერაბ კოსტავამ შეიგნო თავისი დანაშაული, მოინანია და დაამტკიცა ეს თავისი კეთილსინდისიერი შრომითა და ყოფაქცევით, ამიტომ, უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან"**. ეს სასაცილო რეალობა იყო. არადა, მის პირად საქმეში სულ დარღვევებსა და მის **"ურჩობაზე"** იყო ლაპარაკი. ასე ხდებოდა, ხელისუფლებას როცა სჭირდებოდა და როგორც სჭირდებოდა, ისე იქცეოდა. ფაქტია, გადასახლების შემდეგ, მთელი 6 წელიწადი ტანჯვა-წამებაში გაატარა. მართალია, ფიზიკურად ძალიან დაუძლურდა, მაგრამ მერაბი სულიერად ვერ გატეხეს!.. ციხიდან გამოსვლის შემდეგ, იგი გამსახურდიასთან ერთად, 1987-1990 წლებში გამართული თითქმის ყველა საპროტესტო აქციის ორგანიზატორი გახლდათ... მერაბს სახელმწიფო კონსერვატორია ჰქონდა დამთავრებული. დაპატიმრებამდე რუსთავის მუსიკალური სასწავლებლისა და თბილისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის მესამე სამუსიკო სკოლის პედაგოგი იყო. ხანგრძლივი პატიმრობის შემდეგ, მასწავლებლად მის დანიშვნაზე ყველა სამუსიკო სკოლა უარს ამბობდა. თბილისის VIII სამუსიკო სკოლის დირექტორმა გმირული ნაბიჯი გადადგა და მერაბ კოსტავა 1988 წლის სექტემბერში მასწავლებლად დანიშნა. როგორც მეგობრების მონათხრობიდან ვიცი, მისი გაკვეთილები მართლა ზეიმი იყო. 1989 წლის მაისში ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, მისი ხელმძღვანელობით კონცერტი დაიგეგმა. ამ კონცერტისთვის ბავშვებს მთელი მონდომებით ამზადებდა და თურმე ხუმრობდა: ჯუმბერ პატიაშვილს დაანახვა ჩემი თავი ფილარმონიის სცენაზე სადირიჟორო ჯოხით ხელშიო... მერაბთან ჯუმბერ პატიაშვილის შვილიც სწავლობდა. 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ კი დაგეგმილი კონცერტი მართლა არავის გახსენებია...

1989 წლის 9 აპრილს მიტინგის ორგანიზებისათვის მერაბი კვლავ დააპატიმრეს, 40 დღის შემდეგ კი გაათავისუფლეს. პატიმრები ამბობდნენ, ციხეში ძალიან დადარდიანებული იყო და დატრიალებულ ტრაგედიას საშინლად განიცდიდაო. სამწუხაროდ, ჩვენი ნატანჯი ეროვნული გმირი, ამ ტრაგედიიდან მალე, 1989 წლის 13 ოქტომბერს ქუთაისიდან თბილისში მომავალი, სოფელ ბორითთან (ხარაგაულის რაიონი) ტრაგიკულად დაიღუპა. მთელი საქართველო დასტიროდა; სიონის საკათედრო ტაძრიდან გამოასვენეს. როცა მთაწმინდაზე, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მიასვენებდნენ, იქ მიმავალ უამრავ ადამიანს შორის მეც ვიყავი და ვფიქრობდი ამ უსამართლოდ მრავალჯერ დასჯილი, მაგრამ გაუტეხელი სულის მქონე ქართველი ვაჟკაცის სულიერ სიძლიერეზე...

თეა ხურცილავა,
"გზა", 2010 წელი

პრეზიდენტი საქართველოში – შოთა რუსთაველი

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

რუსთაველის იდეოლოგია

ყოველ მწერალს აქვს მეტყველების სპეციფიკური რიტმი, სიტყვების შერჩევის თავისებურება, განცდის მომართვის მხატვრული ხერხი: აიღეთ შავთელი პირველი, ან მეორე (აშკარაა, რომ კაპანელი იზიარებდა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ არსებობდა შავთელის სახელით ცნობილი ორი სხვადასხვა ავტორი), ჩახრუხაძე ან რუსთაველი. თითოეული მათგანი წარმოადგენს მშვენიერ მაგალითს მეტყველების ფსიქოლოგიის თავისებურებისას. შავთელებისა და ჩახრუხაძის მეტყველება ჩხრიალა, მხტუნავი და უსწორმასწორია, რუსთაველის მეტყველება – ლაღი, ზვიადი და იმპოზანტურია. თქმაში ისმის ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და განწყობის რიტმი. ამიტომ მეტყველების ფსიქოლოგია უაღრესად სოციალურია თავისი წარმოშობით. ფსიქოლოგიური მდგომარეობა სოციალურ არეში იქმნება და რაც ფსიქოლოგიურად ინდივიდუალურ ფორმას წარმოადგენს, ის ყოველთვის სოციალური წარმოშობისაა. ლაღი, გაშლილი, მდიდარი წყობა სიტყვებისა მაჩვენებელია დიდი სოციალური კულტურისა, მდიდარი ეკონომიკური გარემოცვისა, რომელშიაც ცხოვრობს ავტორი. რუსთაველის მეტყველების ფსიქოლოგია ფონეტიკური რხევებით, განცდათა მხატვრული, აგრესიული რიტმით, სოციალური ფილოსოფიის მხატვრული განსახიერებით, ფეოდალური არისტოკრატიის მორალით და მსოფლგაგებით ამტკიცებს ესთეტიკური კულტურის სოციალურ-კლასობრივ ხასიათს, მისი ისტორიული და ეკონომიკური ორგანიზაციის თვისებებს. **“ვეფხისტყაოსნის”** მეტყველება არის მეტყველება იმდროინდელი საზოგადოებისა და საზოგადოებაში გაბატონებული კლასისა. ენა, რომლითაც დაწერილია ავთანდილის ანდერძი, ფეოდალური არისტოკრატიის სოციალური ფილოსოფიის, მსოფლმხედველობის გამომხატველია. თინათინის სიდინჯე და თავდაჭერა ისეთივე ესთეტიკური გაფორმებაა სოციალურ-კლასობრივი ხასიათის მიჯნურობისა და რაინდობის წესისა, როგორც ნესტანის ცეცხლებრივი გაალება და თავშეუკავებელი ანთება. რუსთაველი არ უარყოფს ტემპერამენტების სხვადასხვაობას, პირიქით, ხაზს უსვამს მას, მაგრამ სხვადასხვაობაში ყველგან ვხედავთ კლასობრივი კულტურის დაღს, რაინდების, მხედრებისა და მიჯნურების ფსიქოლოგიასა და მეტყველებას. მშვენიერია ავთანდილის სიმღერა მულღაზანზარის ველზე საღამო ჟამს, როდესაც ავთანდილი ეევედრება მზესა და პლანეტებს, მაგრამ ამ მშვენიერი სიმღერის შინაარსი იდეოლოგიურად ფეოდალური არისტოკრატიის ასტროლოგიაა. თვისებები, რომელთაც ავთანდილი პლანეტებს მიაწერს, სოციალური ყოფის ინტერესთა გამომსახველია: მზე **“უმძლესთა მძლეთა მძლე”,** სამართლის ბუდე მუშთარი, უწყალო და ძლიერი მახვილით მარიხი, სევდიანი და ცრემლიანი ზუალი, შეყვარებულივით **“მჭლე”** და გამხმარი მთვარე – აი, ესთეტიკური სახეები სოციალური განცდებისა. ფეოდალური არისტოკრატიის გვერდით, როგორც აღვნიშნეთ, რუსთაველს გამოყოფილი ჰყავს სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენლები თავიანთი სპეციფიკური მეტყველებით, ქალაქური კულტურის გარემოცვით, ბაღებით **“სავსე ტურფითა მრავლითა”,** სად ხელმწიფობს მელიქ-სურხავი **“სრული სვითა და დავლითა”,** სად ნავარდობენ უსენი და ფათმან ხათუნი თავის საყვარლებით. ფატმან ხათუნი ავთანდილისადმი თავისი სიყვარულის **“დამალვას ეცდებოდა, მაგრამ ჭირთა ვერ მალვიდა, იტყვის, “რა ვქნა, რა მერგების!”** (1078). უკანასკნელი სიტყვები ვაჭრული ფსიქოლოგიის ტიპური ლექსიკონია.

რუსთაველის ესთეტიკა – ფაბულა და ტიპოლოგია

რუსთაველის შესწავლა მკვიდრ ნიადაგზე დადგა მხოლოდ ჩვენს დროში. დღემდე არსებული კვლევა-ძიების საგანი, გარდა მცირედი გამონაკლისისა, იყო რუსთაველი და მისი პოემა. საჭიროა მდგომარეობის შემობრუნება; რუსთველოლოგიის საგანი უნდა გახდეს თვით ტექსტი რუსთაველის პოემისა. ტექსტის შესწავლა მოგვცემს მასალას არა მარტო რუსთაველის გაგებისათვის, მისი გენიოსობის შეფასებისათვის, არამედ იმ სოციალურ-ისტორიული პირობების დახასიათებისთვისაც, რომელთა არეშიც ტრიალებდა ეს დიდი მოაზროვნე და დიდი მწერალი. პოემის ტექსტში არის განსახიერებული გარკვეული იდეოლოგია, იმდროინდელი მეტყველება, ისტორიული კულტურა, ზნეობა, ადამიანის ქცევა, სიკვდილ-სიცოცხლის განცდა. ამ მომენტების გარკვევით ბევრად უფრო მეტი შეიძლება გავიგოთ რუსთაველის ვინაობისა და მისი პოემის სიუჟეტურ-კომპოზიციური თავისებურების შესახებ, ვიდრე იმ გზებით, რომლებითაც დღემდე მიდიოდნენ რუსთველოლოგები. რუსთაველის პოეტური ღირსებისა და მისი პოემის შესახებ **“ვეფხისტყაოსნის”** ტექსტის გარეშე მსჯელობა უსაგნო ლაპარაკია.

ამ მიზნით აუცილებელ პირობას წარმოადგენს რუსთაველის პოემის ტექსტის დადგენა, მისი ლიტერატურული რედაქცია. რუსთაველის პოემის ტექსტის დადგენა შეიცავს დიდ სიძნელეს: პოემაში ბევრი ყალბი ადგილია, რაც კარგა ხანია ცნობილია. ამასთანავე, რუსთაველის პოემას ამოეზარდა ხალხური **“ვეფხისტყაოსანი” (“ტარიელიანი”)**, რომელიც მოითხოვს დიდ ყურადღებას. ზოგიერთი ადგილი ხალხური **“ვეფხისტყაოსნისა”** პირდაპირ მოგვაგონებს რუსთაველის ტექსტს და სიფრთხილე გვმართებს, რომ ტექსტში არ შევიდეს ის, რაც რუსთაველს არ ეკუთვნის. ჩვენი მოვალეობაა დავწმინდოთ **“ვეფხისტყაოსანი”**, ჩამოვაშოროთ ის რაც უხეირო და ხშირად უნიჭო ინტერპოლატორების მიერაა ჩამატებული. ამ საქმის გაკეთება შეუძლია მხოლოდ დიდ ლიტერატურულ-ესთეტიკურ კულტურას და კოლექტიურ ენერგიას. ღრმა დაკვირვებით და გამოცდილებით, მხატვრული კულტურითა და ესთეტიკური გემოვნებით, ტექსტის ზუსტი გაგებით უნდა მივუდგეთ რუსთაველის პოემას.

კეთილსინდისიერი მკვლევარი რუსთაველისა და მისი პოემის წინაშე თავს ისე გრძნობს, თითქოს დიდი ოკეანის პირას იჯდეს და უსაზღვროების გაშლილ არეზე ტალღათა ჰარმონიული შრიალი ესმოდეს. რუსთაველი ღრმა აზროვნებისა და ნატიფი მეტყველების ოკეანეა და ამ ოკეანისკენ გახედვა, მისი ღელვის მოსმენა და გაგება უდიდესი სიამოვნებაა.

ჩვენ მთავარ მიზანს წარმოადგენს რუსთაველის მსოფლმხედველობის გამორკვევა მისი პოეტიკის ძირითად პრინციპებთან დაკავშირებით. **“ვეფხისტყაოსანი”** და მისი გეგმა რუსთაველის მიერ თეორიულად მოცემულია პოემის შესავალში, ხოლო პრაქტიკულად განსახიერებულია მთელ კომპოზიციაში. პოემა დაწერილია გამიზნულად: პოემის შესავალში პოეზიისა და სიყვარულის განმარტების დროს, რუსთაველი ხაზს უსვამს ნამდვილი პოეტის დანიშნულებას, მისი საქმიანობის საგანს. შაირობა, რუსთაველის აზრით, შეუძლებელია თუ მწერალი არ არის გამიჯნურებული, გატაცებული, შეპყრობილი ერთი განსაკუთრებული გრძნობით, ერთი განსაკუთრებული განწყობილებით. რუსთაველი განმარტავს რა შაირობას, პოეტებს ოთხ კატეგორიად ჰყოფს: პირველი კატეგორია არის უბრალო მოლექსეებისა, რომელთაც შეუძლიათ თქვან **“უმსგავსო და შორიშორი”,** რომელთაც ახასიათებს ჯიუტობა, **“უცილობლობა” (“უცილობლობს ვითა ჯორი”)** (15). ეს კატეგორია დაშორებულია შაირობის შესაძლებლობას, პოეტობას; მას არ შეუძლია შევიდეს ნამდვილ პოეტთა რიცხვში. მეორე კატეგორიას შეადგენენ პატარა პოეტები, რომელთაც დიდი პოეტური შემოქმედება არ ძალუძთ და **“ხელად აქვთ ხოცა ნადირთა მცირეთა”** (16). ასეთი პოეტები ბავშვურ, გულუბრყვილო ხასიათს ატარებენ. პოეტების მესამე კატეგორიას შეადგენენ ისინი, რომელნიც წერენ: **“სანადიმოდ, სამღერელად, სააშიკოდ, სალაღობოდ, ამხანაგთა სათრეველად; ჩვენ მათიცა გვეამების, რათა ოდენ თქვან ნათელად. მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად”** (17). დღევანდელი გაგებით, ესენი არიან იუმორისტები, შარჟისტები. რუსთაველი ფიქრობს, რომ ასეთი ხასიათის პოეზია დასაშვებია, თუ თქმული იქნება ნათელი და გარკვეული მეტყველებით.

რუსთაველის აზრით, სამივე კატეგორია ნამდვილი პოეზიის მიღმა დგას. ამის მიზეზია მათი პოეზიის უსაგნობა, ზერელობა, ფუქსავატობა. ნამდვილ პოეზიას კი ესაჭიროება გარკვეული საგანი და გატაცება, ექსტაზი. რუსთაველი აქ არისტოტელეს პოზიციაზე დგას: პოეტობა მოითხოვს ექსტაზს, პოეტური **“მე”**-ს გაფართოებას.

პოემის პროლოგში რუსთაველი იძლევა აგრეთვე მიჯნურობის განმარტებას. **“მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა”** (22), – ამბობს იგი და იქვე სთხოვს მკითხველს არ აურიოს ერთმანეთში მიჯნურობა და სიძვა:

“მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი;
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი,
ნურვინ გარევს ერთმანეთსა! გესმის ჩემი ნაუბარი?” (24).

კონსტანტინე კაპანელი
(გაგრძელება იქნება)

სომხები აფხაზეთიდან აფხაზების განდევნას აპირებენ

აფხაზეთში მცხოვრებ სომხებსა და აფხაზებს შორის ვითარება უკიდურესად დაიძაბა. რამდენიმე თვის წინ **“ახალმა თაობამ”** გამოაქვეყნა ორგანიზაცია **“აიდგილარას”** წევრ აიდამირ ხიშბას წერილი იმასთან დაკავშირებით, რომ სომხებს აფხაზეთის ხელში ჩაგდება სურთ.

ამ საკითხზე აფხაზეთში სერიოზული ამბები ტრიალებს. გამოცემა **“კავკაზტაიმსის”** ცნობით, ბაგრამიანის სახელობის ბატალიონის წევრები აფხაზეთში სომხების ჩასახლებას გეგმავენ. როგორც წერილის ავტორი, ვასილი გერაშენკო იუწყება, ამის ინიციატორი გალუსტ ტრაპიზონიანია. ვისაც აფხაზეთის ომთან შეხება აქვს, ამ კაცის სახელი და გვარი ყველას ემახსოვრება. ის ბაგრამიანის სახელობის ბატალიონის ერთ-ერთი თავკაცი იყო და ქართველების მიმართ განსაკუთრებული სიძულვილით გამოირჩეოდა. მის **“საგმირო”** საქმეებს ვასილი გერაშენკოც იხსენებს და ტრაპიზონიანის გამდიდრების საიდუმლოსაც ხდის ფარდას.

ტრაპიზონიანი აფხაზეთში ერთ-ერთ ყველაზე მდიდარ ადამიანად ითვლება. **“მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის განდევნაში შეტანილი წვლილისთვის ჯალათი ტრაპიზონიანი აფხაზებმა დააფასეს და ეროვნული გმირის წოდება მიანიჭეს. ომის დროს ის მოროდიორობდა და ქართველების ქონებას დაეპატრონა. ამის წყალობით გახდა ის სეპარატისტულ აფხაზეთში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანი”,** – აღნიშნავს გერაშენკო.

მისი ინფორმაციით, დღეს ეს მოროდიორი სხვა ქონებასთან ერთად, გაგრაში მდებარე საკურორტო კომპლექს **“გაგრიპშის”** მფლობელიცაა. ტრაპიზონიანი აფხაზეთის სომეხთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეა და, როგორც გერაშენკო ამბობს, აქტიურად ლობირებს თავის ტომის ხალხს. **“დღეს გაგრაში ყველაფერი სომხების ხელშია. იქ მყოფ აფხაზებს ისინი შირმად იყენებენ, რომლებიც ფინანსურად მთლიანად მათზე არიან დამოკიდებული”** – აღნიშნავს გერაშენკო.

როგორც ირკვევა, სომხური ლობი აფხაზეთში ანგარიშგასაწევი ძალა ყოფილა. გერაშენკოს მტკიცებით, სწორედ სომხური ლობი ცდილობს იმ კანონის მიღებას, რომელიც უცხოელებს აფხაზეთში უძრავი ქონების შეძენის უფლებას მისცემს. ამ კანონის გარშემო აფხაზეთში არაერთხელ ატყდა ვნებათაღელვა, მაგრამ არცერთი ხელისუფალი ამას არ დათანხმდა. კანონის მიღებას მოსახლეობაც ეწინააღმდეგება. მოსახლეობა შიშობს, რომ მათთან ყველაფერს რუსები იყიდიან. არადა საქმე ისე ყოფილა, რომ სომხები აფხაზეთში მცხოვრებ რუსებსაც უქმნიან პრობლემებს.

– ტყუილად ფიქრობს ვინმე, რომ აფხაზეთში არსებული მთელი უძრავი ქონება რუსების ხელში აღმოჩნდება. სომხურ-აფხაზური მაფია ისე ოსტატურად მოქმედებს, რომ აქ მცხოვრებ რუსებს ბინებსა და სახლებს ართმევენ. სომხური ტექნოლოგიებით მარტივად შეიძლება მათი მშრალზე დატოვება, – წუხს გერაშენკო.

“დღეის მდგომარეობით, აფხაზეთში სომხები უფრო მრავლად ცხოვრობენ, ვიდრე ეთნიკური აფხაზები. ამ კანონის ამოქმედების შემდეგ კი მათი რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება. ეს იმას ნიშნავს, რომ აფხაზები აბსოლუტურ უმცირესობაში აღმოჩნდებიან”, – ვარაუდობს ვასილი გერაშენკო. მისი ინფორმაციით, დღეს აფხაზეთში 70.000 ეთნიკური აფხაზი ცხოვრობს, სომხების რაოდენობა კი დაახლოებით 80.000-ია. გერაშენკო ვარაუდობს, რომ მათი რაოდენობა სულ მინიმუმ 300.000-მდე გაიზრდება.

შორენა მარსაგიშვილი,
გაზეთი “ახალი თაობა”

“ᲘᲚᲝᲠᲘᲡ” კომენტარი: “სომხურ-დაშნაკური” საფრთხის არსებობის თაობაზე ჩვენ ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ვაფრთხილებდით აფხაზ ძმებს, მაგრამ მაშინ მათ ჩვენი პოზიცია გააპროტესტეს და ეცადნენ დავერწმუნებინეთ, რომ სომხები ჩვენი ძმები არიანო. ასე რომ, თუ დიდი სიფხიზლე და პრინციპულობა არ გამოვიჩინეთ, სხვისი მიწებისა და კულტურის უზნეოდ მითვისებით გამორჩეულმა სომეხმა დაშნაკებმა შეიძლება აფხაზეთში დიდი ცოდვის კალო დაატრიალონ, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად აისახება სრულიად საქართველოზე. უეჭველია, რომ სომხებს პრეტენზია გაუჩნდებათ აფხაზურ მიწებზე იმ მოტივით, რომ მას, ძმათამკვლელი ომის დროს, “იარაღით იცავდნენ ქართველებისაგან”. მათ იმ ქართველების მიმართაც კი გაუჩნდათ პრეტენზია ჯავახეთის ტერიტორიაზე, რომელთაც თურქეთიდან სიკვდილს გამოქცეულები უანგაროდ მიიღეს, ჭერი და სარჩო გაუჩინეს, უეჭველი დაღუპვისაგან იხსნეს. რატომ ეგონათ აფხაზებს, რომ მტაცებლური ბუნების მქონე სომხები მათ მიმართ აღმოჩნდებოდნენ ტოლერანტულები და ქველმოქმედები?

არამც და არამც არ უნდა დავუშვათ, რომ სომხების უზნეო პრეტენზია აფხაზების მიმართ სერიოზულ კონფრონტაციაში გადაიზარდოს!

ახავაი დო ვავა უვიცობავ, ქედდადრეკილთა აზროვნებავ, უხვალდღეობისკენ თავაწყვეტილო ფეხაწყობავ და ჯოგურო თვითკმაყოფილებავ!..

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

სხვათაშორის, როდესაც აფხაზეთში აგრესორ-სეპარატისტთა რეჟიმის მესვეურებსა და ამავე სინჯის თვითმარქვიებს დროებით ოკუპირებულ ცხინვალ-ახალგორის მხარეში **"დე ფაქტო ხელისუფლებად"** მოვიხსენიებთ, არც ესაა არსებული ვითარების შესატყვისი. რატომ გვავიწყდება, რომ **"დე ფაქტო"** ხელისუფლება ზოგჯერ სახალხო ხელისუფლებაცაა?! გამოხატავს ამ მხარის ძირძველი მოსახლეობის სახალხო ნებას – ქართველთა სისხლში ხელდასვრილი საოკუპაციო მმართველობა?! ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთისა) და ცხინვალის მხარის მთელი მოსახლეობისა და, უპირველეს ყოვლისა, აქედან ეთნიკური წმენდების შედეგად გამოძევებული ადამიანების პოლიტიკურ-სამართლებრივი თავშესაფარი ვერ იქნება ეთნოფაბრიკაციული კომბინატი. ასეთ შემთხვევაში რატომ არ ვუზუსტებთ ამ თვითმარქვიებს სწორ პოლიტიკურ შესატყვისს და არ მოვიხსენიებთ იმად, ვისაც წარმოადგენენ სინამდვილეში?!

რა საკვირველია, დე ფაქტო გახლდათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებაც, რომელიც ქვეყნის სათავეში ძალადობის გზით არ მოსულა, პირიქით, იგი შეიარაღებული იერიშის საშუალებით დაემხო. ნუთუ ამათ და ცხინვალსა თუ სოხუმში ამ მხარეთა მოსახლეობების ნდობის გარეშე მოთარეშე რეჟიმებს შორის განსხვავების დალანდვა ასე შეუძლებელია?! საერთოდ, ნებისმიერმა ხელისუფლებამ საქართველოში, თუ მას მართლა სურს ქვეყნის სახალხო ნების აღსრულება, უნდა იცოდეს და საგარეო, გნებავთ, შიდა მიმოქცევაში ამკვიდრებდეს ზედმიწევნით ზუსტ და მკაფიო პოლიტიკურ ტერმინებს, მხოლოდ მათ საფუძველზე უნდა ცდილობდეს აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის საკითხების განხილვას საერთაშორისო ინსტიტუციათა დონეზე. ასე მაგალითად, რამდენიმე წლის წინ გ. გვაზავას (აფხაზეთის) ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავჯდომარის) მითითებით ამ უწყების შესაბამისმა სამსახურებმა თავიანთ საკომპიუტერო გვერდზე „абхазец" სეპარატისტთა პროპაგანდისტული დივერსიების **"საპირწონედ"** განათავსეს სააუგოდ ცნობილი, კ. მაჭავარიანის ხმაბოდვა შესახებ იმის, რომ აფხაზეთი (ჩრდილო-დასავლეთ საქართველო) არაა საქართველო!..

აი, ასეთი გახლავთ მათი ქმედუნარიანობის დონე!

სწორედ ამის გამო იყო, რომ 2014 წლის 23 დეკემბერს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან ეთნოწმენდის შედეგად გამოძევებულთა შთამომავლობამ, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს რეზიდენციის წინ (თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 16) საპროტესტო აქცია მოაწყო, თან უვიც და უსაქმურ ე. წ. დეპუტატებს მახათები შეუგზავნა, რათა იმ საქმით დაკავებულიყვნენ, რაც ხელეწიფებათ!.. ამდენად, სიცხადე, რომელიც დროებით ოკუპირებულ ამ ქართულ მამულში გვაქვს, ეთნოფაბრიკაციებისა და ეთნოდივერსიების პირმშოა, ამიტომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის), გნებავთ ცხინვალ-ახალგორის მხარეთა დეოკუპაცია პოლიტიკური ფირნიშებისა და სტერეოტიპების დემონტაჟით, წამგებიანი ტერმინოლოგიის დიპლომატიური მიმოქცევიდან გაძევებით, ამ ქართულ ცნობიერ თუ შინაარსობრივ სივრცეთა შესახებ დედანი ისტორიის აღორძინებით და მისდა შესაბამისი პოლიტიკურ-ორგანიზაციული დასკვნებით უნდა გაისაგნოს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წინაპრებიცა და ჩვენც მათთან ერთად, მომდევნო თაობას კარგ ან ცუდ მაგალითად დავუდგინდებით. დიახ, წინაპრები, როგორც პიროვნებას, ასევე მთლიანად ერსა და ქვეყანას უქმნიან გარკვეულ საამაყო ან სასირცხვილო წინაპირობას, გასწვრივობას, ანუ ფონს. გასაგებია, დღეს ძალიან ძნელია, იოცნებო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე მოაზროვნე საქართველოზე, მაგრამ ის მაინც უნდა შეეძლოთ, ჩვენს მიერ მოვლენათა შესახებ გახმოვანებული შესატყვისები შთამომავლობას, მორევში ავდროებასთან მომკლავურეს, წისქვილის დოლაბად არ დავკიდოთ კისერზე.

სწორედ საამისოდ უნდა ირჯებოდეს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო დევნილობაში, მაგრამ იგი ამისთვის თავისი ზნეობრივი ხელუსუფთაობისა და უწიგნურობის, უფრო მეტიც, პოლიტიკური გამსუბუქყოფაქცევების გამო, მკვდრადშობილი ინსტიტუცია გახლავთ:

4. საეთნოფაბრიკაციო ინდუსტრიის თავისებურებანი დღეისათვის დროებით ოკუპირებულ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში): აქ ერთ, შორსგამიზნულად თავსმოხვეულ სადივერსიო ილეთსაც უნდა შევეხოთ. ეს გახლავთ საქართველოს **"მრავალეროვნულობისა"** თუ **"მრავალკონფესიურობის" "ბუნებრივ"** შინაარსად აღიარება, დაკანონება და ამის შესაბამისად მისი საყოველთაოდ გააურზაურება (გაპიარება).

ასეთი ხერხი ყოველთვის გახლდათ მარჯვე ქამანდი ღიმილით შემონაბიჯებული ავმოსურნის ხელში. არადა, ქართულ მიწებზე ნებისმიერი არაგულითადი ჩამოსახლება **"ადგილებზე"** იმპერიათა დასაყრდენი ძალების მოთადარიგებას ემსახურებოდა.

ცხადია, 1993 წლის სექტემბერში უცხო ძალებმა, მათ მიერვე გამოინკუბატორებულ აგრესორ-სეპარატისტთა დიდმპყრობლურ თარეშზე ამოფარებით, ნაწილობრივ დაამთავრეს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დემოგრაფიული სურათის მიზნობრივი შეცვლა. რისთვისაც ისინი, როგორც ვნახეთ, არ დარიდებიან ამ მხარის ძირძველი ქართველების (აფხაზების) გენოციდს და აღმგველ ეთნიკურ წმენდას.

ცნობისათვის: სწორად ამ წერილს ვამზადებდი დასაბეჭდად, როდესაც (12.12.2014) გავიგე, რომ სეპარატისტებმა გაგრის რაიონის მაღალმთიანი სოფელი აიღბა მიუერთეს ადლერის რაიონს და იგი რსფსრ შემადგენლობაში **"დააკანონეს"**. რაც შეეხება აქ მოსახლე აფსუა კომლებს, ისინი ოკუპანტთა მიერ წაქეზებულმა თანასოფლელებმა ძალით და მუქარით გააძევეს, თან მკაცრად მოსთხოვეს, არასოდეს დაბრუნდნენ აქ და დაივიწყონ ეს სოფელი!..

ამრიგად, უცხო ძალთა და **„абхазец"**-თა უფრო მოცულობითი დაპირისპირება დროის საკითხი გახლავთ.

ახლა მე გეკითხებით თქვენ: საქართველოს მარადიულყოფას რომ ემსახურებოდეს ან საინფორმაციო მუშაობაში დახელოვნებული რომ იყოს, აფსუათა მიმართ სეპარატისტთა მიერ გადმონთხეულ ამ ზიზღის მორევს ასე დუმილით აუვლიდა გვერდს საქართველოში მოსაქმიანე რადიო-ტელევიზია. არაფერს ვამბობ საქართველოში დისლოცირებულ ნამესტნიკებზე, მთავრობად რომ გვასაღებენ თავს.

ის, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში აგრესორ-სეპარატისტთა ეთნოკრატიული კოალიციური რეჟიმი პირწმინდად ქართულ (მეგრულ) სივრცეს ღალიძგა-ენგურს შორის კი ატარებს სადენაციონალიზაციო ბრძმედში, მაგრამ იმავდროულად მათ არა მეგრელებად, არამედ **"მინგრელეკ"**-ობად შენარჩუნებასაც ცდილობს ამ მონაკვეთში, ეს გახლავთ იმის სამომავლო თადარიგი, რომ 1. აფხაზეთში დივერსიულ-ფაბრიკაციული ეთნოკრატიის – **„абхазец"**-ობის წინააღმდეგ, მათი პოლიტიკური დემარშისა და ორპირობის შემთხვევაში, საპირწონედ დაუპირისპიროს გალის რაიონის მკვიდრთა შორის საგანგებოდ წაქეზებული სიძულვილი **"абхазец-**თა ეთნოკრატიისადმი, რომელთა დიდმპყრობლურ ექსპედიციებს გალის რაიონში მკვიდრი მოსახლეობის მეხსიერებიდან ვერ ამოშლიან უცხო ძალები; 2. იმპერიალიზმისა და ტექნოკრატიული დასავლეთის საეთნოდივერსიო პროგრამათა ფარგლებში ხელოვნურად კულტივირებული ე. წ. **"მინგრელეკ"**-ული **"თვითგამორკვევა"** გალის რაიონში მიიღებს უფრო მიზანმიმართული და გეგმაზომიერი ინდუსტრიის ხასიათს, რათა იგი სრულიად ქართველთა გონითი განფენის სივრცეში (პონტო-კავკასიის ცნობიერ სამყაროში) იქცეს კოლხური შინაარსის გამსარეველიანებელ ძალისხმევად.

დიახაც რომ ასეთ მიზანს ემსახურება ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) 2011 წელს აგრესორ-სეპარატისტთა **"ხელისუფლების"** მიერ ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მონაცემები, რომლის გაყალბებული და სასურველისადმი მორგებული შედეგი ამგვარად გასაჯარისდა: 122.069 აღწერილი თავს **"абхазец"**-ად მიიჩნევს; 43.166 ადამიანმა ამ სადენალიზაციო ბრძმედის პირობებშიც თვისი ქართველობა აღიარა, ამჯერად მხოლოდ 5.000 მოქალაქე ჩაეწერა **"мингрелец"**-ად (შეადარეთ თუ რა დიდია ამ ოკუპირებულ და საეთნოფაბრიკაციო პოლიგონად გადაქცეულ სივრცეში სრულიად ქართველური თვითშეგნება. თუმცა, წვიმის წვეთთა ჯერმონაცვლეობასაც გაუხვრეტია ქვა დროთა განმავლობაში. მკითხველს ვთხოვ, ეს ადგილი საგანგებოდ დაიმახსოვროს და თუ რატომ, ამაზე ქვემოთ, შესაბამის ადგილზე და სათანადო დროს ვისაუბროთ). ასევე ზემოთდამოწმებული საარწერო მონაცემების მიხედვით ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ამ დროს ცხოვრობდა 41.864 არმენი, 22.077 რუსი, 1.380 ბერძენი და ა. შ.

სერგი საჯაია,

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

THE WASHINGTON POST: საქართველოში პრორუსულ ძალთა გავლენა იზრდება

ამერიკული მასმედიის ერთ-ერთი ლიდერი, გაზეთი The Washington Post საქართველოში ევრაზიული კავშირის და ზოგადად პრორუსულად განწყობილი ძალების გავლენის "კატასტროფულ" ზრდაზე სტატიას წერს.

"საქართველოში პრორუსულად განწყობილ პოლიტიკურ ძალთა გავლენა იზრდება, რაც ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების პერსპექტივას კიდევ უფრო ზრდის. ევრაზიულ კავშირში გაწევრიანება უფრო მიმზიდველი ხდება საქართველოს მოსახლეობისათვის. ამ ტენდენციებს უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებზე ევროპაში, რომელთაც მილიარდობით დოლარი აქვთ ჩადებული "ქართული დემოკრატიის" და მდგრადი ეკონომიკის განვითარებასა და მშენებლობაში" – **წერს გამომცემლობის მიმომხილველი მაიკლ სესაირი.**

"სოციოლოგიური კვლევების თანახმად ევრაზიულ კავშირში საქართველოს გაწევრიანების მსურველთა რაოდენობა 31% დან 44 %-მდეა გაზრდილი, როცა 2013 წელს ამ მოსაზრებას მოსახლეობის მხოლოდ 11% თუ უჭერდა მხარს.

ევროპის და აშშ-ს დაღლილობა, თუნდაც ევროკავშირის გაფართოების მხრივ, ქართველ საზოგადოებაში ფატალიზმს შობს. თუ საქართველო უარს იტყვის დასავლეთზე, ეს უდიდესი დარტყმა იქნება არა მხოლოდ დასავლეთისთვის, ეს კორიდორს გაუხსნის რუსეთს ახლო აღმოსავლეთისაკენ" – **ნათქვამია წერილში.**

"ილორის" კომენტარი: ამაოდ ცდილობს ამერიკელი მიმომხილველი იმის დამტკიცებას, რომ საქართველოს ევრაზიის კავშირისადმი მიდრეკილება მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორებითაა განპირობებული.

ნურავინ გადაიღლის თავს იმის ილუზიური წარმოსახვით, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლისადმი ბრმა სიყვარული და მონური ქედდადრეკილება მიგვაქანებს. დასამალი არ არის, რომ ქართულ საზოგადოებაში არსებობს გარკვეული ობიექტური გულისტკივილი პოლიტიკანთა მიერ ქართველებსა და რუსებს შორის ისტორიული მეგობრობის მოშლისა და ურთიერთობის გაუარესების გამო, რამაც მხოლოდ ქართული მხარე დააზიანა და ეს გულისტკივილი იარსებებს მანამ, ვიდრე საქართველო არ აღსდგება თავის ისტორიულ საზღვრებში.

რაც შეეხება საქართველოში პრორუსულ ძალთა გავლენის ზრდას, ეს არ შეიძლება რომელიმე პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ძალის მიერ გაშლილი პროპაგანდის შედეგი იყოს. აქ ამუშავდა ისტორიული ტრადიციების ერთგული ქართველი ერის თვითგადარჩენის ინსტინქტი, რომელიც ჯერ კიდევ მედგრად იცავს თავს დასავლელი ლიბერასტების პედერასტული გამოლაშქრებისაგან, რომელსაც ევროამერიკელები ქვეყნის "დემოკრატიზაციის" ეგიდით ახორციელებენ. მაგრამ ძლიერდება ეს შემოტევა და დასავლეთი მილიონობით დოლარს ახმარს ქართველი ერის წინააღმდეგობის გატეხვის საქმეს. ნორმალურ ქართულ ოჯახს კი ვერ წარმოუდგენია, რომ მისმა ვაჟიშვილმა ცოლად მამაკაცი მოიყვანოს, ან თავად გათხოვდეს მეგობარ კაცზე, ქალიშვილმა კი ოჯახი შექმნას თავისი სქესის წარმომადგენელთან! ამიტომ ამბობს ქართველი ერის მტკიცე უარს სააკაშვილ-ბოკერია-დარჩიაშვილ-ბერძენიშვილთა მიერ გარყვნილებისაკენ გაკვალულ შარაზე და გაფაციცებით ეძებს ერის გაპედერასტებისაგან თავდახსნის გზას!

ყოველივე ამის ფონზე კი ქართული თვითმყოფადობის გადარჩენის ერთადერთ პერსპექტივად ქართველ ერს სწორედ იმ რუსეთის თანადგომა მიაჩნია, რომელმაც დაგმო ევროამერიკული პედერასტული გზა, აკრძალა რუსეთში გარყვნილ ჰომოსექსუალთა თარეში და კანონის მთელი სიმკაცრით იცავს რუს ერს დასავლეთის გამხრწნელი გავლენისაგან.

აი, რა გახლავთ საქართველოში პრორუსულ ძალთა გავლენის გაძლიერების ძირითადი მიზეზი!

ფაქტია, რომ, სწორედ გარყვნილებისადმი შეურიგებლობის გამოც, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი მოსწონს რუსეთის მოსახლეობის 80%-ზე მეტს. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც დაიბადნენ გასული საუკუნის 60-იან წლებში და უფრო ადრე. მათ იციან, როგორი იყო ომის შემდგომი პერიოდი, "გადალახული" აქვთ ბრეჟნევის ე.წ. უძრაობის ხანა, გორბაჩოვის "პერესტროიკა", დამანგრეველი და მშიერი 1990-იანი წლები. ამ ადამიანებს აქვთ მდიდარი გამოცდილება. აი, ეს ადამიანები უპირობოდ ენდობიან პუტინს. რუსეთის პრეზიდენტს, აგრეთვე, ემხრობიან, ახალი თაობის წარმომადგენლებიც, დაბადებულები 1970-80-იან წლებში. მათმა ბავშვობამ გაიარა საბჭოთა კავშირში. ყველამ მიიღო საშუალო განათლება კომუნისტების დროს, უმაღლესი განათლება კი – დამოუკიდებელ რუსეთში. ეს ხალხი თვლის, რომ, თუ არ იზარმაცებ, ბევრს იმუშავებ და არ იწუწუნებ, ყველაფერს მიაღწევ; და აღწევენ კიდეც! ასეთ ადამიანებს მოსწონთ პუტინი. ეს ადამიანები არ ელიან კეთილ ჯადოქარს, რომელიც ყველა სირთულეს მოუგვარებს; თავიანთ პრობლემებს თვითონვე წყვეტენ. მაგრამ პუტინმა ყველაზე დიდი პატივისცემა მაშინ დაიმსახურა, როდესაც ხელი მოაწერა ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის ამკრძალავ კანონს. აი, რა რეაქცია გამოიწვია ამ ფაქტმა ნორმალურ ამერიკელებში, რომლებიც, ვიმედოვნებ, ამ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობაა: "მე ვიწყებ რუსეთის შეყვარებას"; "მე მომწონს პუტინი. ის ისეთი პრეზიდენტია, რომელიც ჩვენ, ამერიკელებს, გვჭირდება და არა ის იდიოტი, რომელიც ახლა თეთრ სახლშია მოკალათებული"; "ბრავო პუტინ! მადლობა ღმერთს, მსოფლიოში დარჩა ერთი საღად მოაზროვნე ლიდერი!"; "როგორც იქნა, ერთი ნორმალური ქვეყანა აუჯანყდა ამ საყოველთაო სიგიჟეს!"; "რუსეთი აღდგება თავის სიდიადეში, რომელიც ეფუძნება ზნეობას"; "რონალდ რეიგანი, იმის შემხედვარე, როგორ იწყებს გაბრწყინებას რუსეთი, ხოლო ამერიკა ხდება ანალური ჯოჯოხეთი, კუბოში ტრიალებს".

დასასრულ, გულწრფელად შევეკითხოთ საკუთარ თავს: ამ ყველაფრის შემხედვარემ, რა ვქნათ – ანგლო-საქსური იმპერიალიზმის ინტერესების დასაცავად სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვებრძოლოთ პუტინს თუ საქართველოს საკეთილდღეოდ დავიმეგობროთ რუსეთის პრეზიდენტი?

აი, შეკითხვა, რომელიც ტვინს უბურღავს თითოეულ ნორმალურ ქართველს და აიძულებს მას დააჩქაროს ქვეყნის ხსნის გონივრული გადაწყვეტილების მიღება.

ქართველი ერი ანგარიშს უწევს თანამედროვეობის ჭყონდიდელად აღიარებულ საქართველოს პატრიარქის აზრს (მიუხედავად იმისა, რომ აღმაშენებელი ჯერ კიდევ არ სჩანს). ამას წინათ, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ რუსეთის ტელეარხ ЦАРЬГРАД ТВ-სთვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში ქართველი და რუსი ხალხის ურთიერთობაზე ისაუბრა. „ქართველი და რუსი ხალხის დაახლოება მართლმადიდებლობის საფუძველზე მოხდა, რაც დასაფასებელია. რაც ბოლო წლებში მოხდა, ორივე მხრიდან დიდი შეცდომაა. ჩვენ ვიყავით და უნდა დავრჩეთ ძმებად და კეთილ მეგობრებად. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა აღვადგინოთ საქართველოსა და რუსეთს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობები და ეს უნდა მოხდეს ჩქარა, რადგან დრო ყველა ჩვენგანის საწინააღმდეგოდ მუშაობს.

ვისურვებდი, რომ ყველამ გაითავისოს თავისი ვალდებულება პირველ რიგში უფლის და შემდეგ თავისი ხალხის წინაშე. ვალდებულები ვართ შევინარჩუნოთ კეთილი ტრადიციები"

მოკლედ, საქართველოში პრორუსულ ძალთა შემდგომი გაძლიერების პროცესი რომ შეუვალია, ამაში უკვე აღარავის ეპარება ეჭვი.

დროული და აუცილებელიც გახლავთ, რადგან არავინ იცის – 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კიდევ მოგვეცემა თუ არა ქვეყნის ლიბერსტატა კლანჭებისაგან დახსნის რეალური შანსი.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

(იოჰან ჰაინრიხ ცედლერის ენციკლოპედიის ცნობების მიხედვით)

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

ცივზედაც ნაოსნობა შესაძლებელია“, – წერს ს. ჯანაშია (ჯანაშია ს., შავიზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია, 275); ქარიენტისა და ხობის ასეთ ლოკალიზაციას ეწინააღმდეგება ფლავიუს არიანეს მიერ ქობოსსა და სიგამეს//სინგამეს შორის მოცემული მანძილი – 210 სტადიონი (დაახლ. 38 კმ.). სწორედ ამ მანძილით არის დაშორებული არიანესეული სანაოსნო მდინარე სიგამე//სინგამე (ანონიმისეული ზიგანისი)

მდ. ხობს. მიუხედავად იმისა, რომ მანძილი არ ემთხვევა, ს. ჯანაშია სიგამეში მაინც ინგურს გულისხმობს, რადგან შეუძლებელია ასეთი დიდი მდინარე არიანეს გამორჩენოდა (ჯანაშია ს., შავიზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია, 276-277). ამასთანავე, იმას, რომ არიანეს მიერ მოცემული მანძილები არ ეთანხმება ქარიენტისა და ხობის ასეთ ლოკალიზაციას, **”ეს პუნქტები ბევრად უფრო ახლოს არიან როგორც ერთმანეთთან, ისე რიონის შესართავთანაც“**, ს. ჯანაშია იმ გარემოებით ხსნის, რომ **“ჩვენი პერიპლის ავტორი ხშირად ღალატობს თავის ზედმიწევნილობას მანძილების ანგარიშში”** (ჯანაშია ს., შავიზღვისპირეთის საისტორიო გეოგრაფია, 276).

მ. პაჭკორიას საეჭვოდ არ ეჩვენება სინგამესა და ოქუმ-ერისწყლის იგივეობა და სწორედ ამ უდავო ორიენტირიდან – ოქუმ-ერისწყლიდან ცდილობს გადაზომოს ფლავიუს არიანეს მიერ მითითებული მანძილი – 210 სტადიონი (დაახლ. 38 კმ.) ქობოსის ლოკალიზაციისათვის. მანძილების ასეთი გადაზომვა, მ. პაჭკორიას აზრით, თუკი საფუძვლიანია, მაშინ გამოდის, რომ არიანეს დღევანდელი ხობის შესართავიდან (ენგურის გამოტოვებით) ოქუმ-ერისწყლის შესართავამდე უმოგზაურია (პაჭკორია მ., კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიიდან, 23-24). მკვლევარი არც იმის შესაძლებლობას გამორიცხავს, რომ მდ. ცივს ძველად ქარიენტი რქმეოდა, რაც ბერძნულად სასიამოვნოს, მშვენიერს ნიშნავს (პაჭკორია მ., კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიიდან, 25).

მდინარეების არიანესეული ლოკალიზაციის შესახებ მ. პაჭკორიას საბოლოო დასკვნა ასეთია: ძველი კოლხეთის მდინარეთა განლაგებისა და მათ სახელწოდებათა დღევანდელ მდინარეებთან შეფარდების, ასევე არიანესეული მანძილების უდავო ორიენტირებიდან (სოხუმი, მოქვი, გუდავა) გადაზომვისა და ფაზისის მიდამოებში ხმელეთის მაშინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით ფაზისი – რიონს, ქარიენტი – ცივს, ქობოსი – ხობს, სინგამე – ოქუმ-ერისწყალის შესართავს, ტარსურა – მოქვს, ჰიპოსი – კოდორს შეეფარდება, ხოლო ამ თანმიმდევრობაში ორი დიდი მდინარე – ენგური და ღალიძგა გამოტოვებულია. წინააღმდეგ შემთხვევაში სავარაუდებელია, რომ უცხოელ მწერლებს მდინარეთა სახელები აერიათ: მათ მიერ აღნიშნული ხობი (ქობოსი) ფაქტობრივად იგივე ენგურია. სხვანაირად გაჭირდება იმის დაჯერება, რომ ხობი ენგურის სახელწოდება იყო. **“განა იმიტომ უნდა დაეკარგა ენგურს თავისი ძველი სახელი – ქობოსი (თუ ასეთი მართლაც ჰქონდა), რომ იგი მის მეზობელ მდინარეს – ქარიენტს მიეღო?”** (პაჭკორია მ., კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიიდან, 25).

ცედლერის საენციკლოპედიო სტატიის მიხედვით მდ. ენგურის (Langur) შესატყვისად **“ასტოლფუსია”** (Astolphus) დასახელებული (პაჭკორია მ., კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიიდან, 26). თ. გოგოლაძე და გ. საითიძე პუბლიკაციის კომენტარებში შენიშნავენ, რომ აქ სახელწოდებების აღრევას აქვს ადგილი: **ასტელეფი** (და არა ასტოლფუსი) არა ენგურის, არამედ **პატარა კოდორის** სახელწოდება იყო, მდ. ენგურს კი **ქობოსი//ქობუსი** ერქვა (გოგოლაძე თ., საითიძე გ., იოჰან ჰაინრიხ ცედლერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ, 566, კომენტარი 56).

შარდენიც ენგურის (ანგურ) სახელად **Astolphe**-ს მიიჩნევს, რასაკვირველია, შეცდომით. **“შუადამე იყო,** – წერს შარდენი, – **როცა ასტოლფის მდინარის შესართავთან მივედით. მეგრელები ამ მდინარეს ენგურს ეძახიან. ეს სამეგრელოს ერთი დიდი მდინარეთაგანია... გათენებას ჯერ კიდევ ორი საათი აკლდა, როცა 14-ს ანარგიიდან გავემგზავრენით. გავიარეთ ორი ეჯი ასტოლფის აყოლებით, მერე გადმოვაბარგეთ ჩვენი ხაბაკი და დავაწყვეთ ექვს პატარა ურემზე”** (შარდენი ჟან, მოგზაურობა საქართველოში. ვასილ ბარნოვის თარგმანი. თბ., 2014, 7, 8). იოჰან ანტონ გიულდენშტედტი (XVIII ს.) ოდიშის მდინარეებს შორის ასახელებს **“დიდ მდინარე ენგურს”** და რუხს – ციხეს ენგურის მარცხენა ნაპირზე (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბ., 1961, 321, 325).

მდინარეს არაერთგზის მოიხსენიებს **ნგოურ**-ის ფორმით ჟაკ ფრანსუა გამბაც (გამბა-ჟაკ ფრანსუა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში. ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა. თბ., 1987, 83, 94, 104, 105, 111, 112, 317, 321, 329).

ენგურის ხეობის გეოგრაფიული მდებარეობა მოცემულია ვახუშტი ბატონიშვილის **“აღწერაში”**: **“ამის (წალენჯიხის – ი. კ.) ჩდილოთ დის მდინარე ეგური, წოდებული დაბის გამო. გამოსდის მასვე სვანეთსა და ოდი[შ]ს შორისს კავკასსა, მოდის აღმოსავლეთიდამ დასავლეთად, მიერთვის /ზღვას/ ანაკრიას”** (ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. **“ქართლის ცხოვრება”**. ტ. IV). ენგური წალენჯიხის მონასტრის დასავლეთით მოედინება. მაშასადამე, ვახუშტის ზემოთ მოხმობილი ცნობა ენგურის წალენჯიხის **“ჩდილოთ”** დინების შესახებ მცდარია. ასევე შეცდომითაა მინიშნებული მდინარის სათავე. ენგური მოედინება ზემო სავნეთიდან, კავკასიონის მთავარი ქედიდან და მისი სათავე ბევრად დაშორებულია **„სვანეთსა და ოდიშს შორისს“** მდებარე **„კავკასს“**, ანუ ეგრისის ქედს. ენგურის ზემო წელი სვანეთშია, შუა წელში ეგრისის ქედს ჩაუვლის დასავლეთით (ქალაქ ჯვარის შემოგარენი წალენჯიხის მუნიციპალიტეტში), ხოლო ქვემო წელი მოიცავს ოდიშის დაბლობს, სოფ. ტყაიადან (ჩხორიის თემი) შავი ზღვის შესართავამდე.

საინტერესოა დაკვირვება ჰიდრონიმის ვახუშტისეულ დაწერილობაზე – **ეგური.** გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბატონიშვილი მდინარის სახელწოდებას სწორი ფორმით უნდა გადმოსცემდეს. **“ის გარდამავალი უნდა იყოს “ეგრიდან“ ”ენგურამდე“,**– წერს თ. ბერაძე და იქვე თავისი მოსაზრების გასამყარებლად გვიანფეოდალური ხანის რამდენიმე საბუთსაც იმოწმებს (იხ. ბერაძე თ., ვახუშტი ბაგრატიონი და ოდიშის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული. IV. თბ., 1971, 60; მსჯელობისათვის იხ. აგრეთვე კეკელია ი., ენგურის ხეობის საისტორიო გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში. ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი. XIV, თბ., 2012, 239-243; კეკელია ი., სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია. ისტორიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. 2013, 162-164).

ედუარდ აიჰვალდის ცნობით ხორგა საკმაოდ ვრცელი სოფელია და რამდენიმე ვერსის გავლაა საჭირო სოფლის ბოლოში გასასვლელად. მისი ერთი ნახევარი დადიანის საკუთრებას წარმოადგენს, მეორე ნახევარს კი თავადი ჯაიანი ფლობს. ამ უკანასკნელის სახლის წინ გაედინებოდა მდ. ხობი. საცხოვრებელი წარმოადგენდა მუხისგან ახლად ნაგებ და საკმაოდ მშვენიერ შენობას.

თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით ხორგის სახელით ოთხი სოფელია ცნობილი ხობის მუნიციპალიტეტში: გამოდმა შუა ხორგა, გაღმა შუა ხორგა, გამოდმა პირველი ხორგა და გაღმა პირველი ხორგა. ფაქტობრივად ხორგად იწოდებოდა საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ხობისწყლის ორივე მხარეს, პირველ ხორგასა და ქარიატას შუა (პ. ცხადაია).

ზემოთ ითქვა, რომ ბერძნული წყაროების ქობოსი იგივე მდ. ხობისწყალია (ხობოსი). არქანჯელო ლამბერტის ცნობით ენგური იგივე ძველი ასტელეფოსია. **“აგრე ვფიქრობ ორი მოსაზრებით: ერთი – რომ არრიანე უჩვენებს ასტელეფოსს სწორედ ჭანისწყალის სიახლოვეს და მეორე – რომ შესავალში ამ მდინარეს აქვს მოყვანილობა ჩანგის ბუდისა (di una covert di cetra), რაც ბერძნულად გამოითქმის ასტელფოსად”** (ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა, 200).

თ. გოგოლაძეს და გ. საითიძეს ასევე აღრევად მიაჩნიათ Cianiscar-ისა და Cyaneus-ის მიჩნევა, როგორც ეს ცედლერის ენციკლოპედიაშია აღნიშნული. **კიანეუსი/ქიანე,** მათი აზრით ეწოდებოდა არა ჭანისწყალს, არამედ მოქვისწყალს, რადგან **Cyaneus** კლავდიოს პტოლემეს რუკაზე სწორედ ტარსურას (მოქვისწყლის) ადგილზეა მოთავსებული (გოგოლაძე თ., საითიძე გ., იოჰან ჰაინრიხ ცედლერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ, 566, 58-ე კომენტარი).

როგორც ჩანს, ცედლერის ენციკლოპედიაში შესული სტატიის ავტორი წყაროდ იყენებდა ლამბერტის შემდეგ ცნობას: **“ხოფის შემდეგ რომ მდინარეა, მკვიდრნი უწოდებენ ჭანის-წყალად და რუკებზე კი იწერება ჩიანეო. ეს მდინარე შეერთვის ხოფს და ამასთან ერთად შეერთვის ზღვას”** (ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა, 200; მსჯელობისათვის იხ. ბერაძე თ., ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით. **“მაცნე”**, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 3, თბ., 1971, 148).

ცედლერის მიერ დასახელებულ სამეგრელოს მდინარეებს შორის ერთ-ერთია **ტეხური** (Techur), რომლის ლათინურ შესატყვისად **სიგამეა** (შიგამე) მითითებული (გოგოლაძე თ., საითიძე გ., იოჰან ჰაინრიხ ცედლერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ, 552).

თ. გოგოლაძე და გ. საითიძე ამ შემთხვევაშიც შენიშნავენ, რომ სახელწოდებები არეულია: სიგამე/სინგამე, მკვლევართა აზრით, ერისწყალს ეწოდებოდა (გოგოლაძე თ., საითიძე გ., იოჰან ჰაინრიხ ცედლერის ენციკლოპედიის ცნობები საქართველოს შესახებ, 566, 59-ე კომენტარი).

ᲘᲒᲝᲠ ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ,
ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ,
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

ორი სათრეველა

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ

სხვა რა გზა ჰქონდა, რა ჩარა?
ძველი ფურცლები აშალა,
ცოტათი წაიაშარა,
თან თავი მოიქაჩალა.
მაგრამ არ გაჭრა აჯომა,
ვერც ასარვამ და აჯოჯვამ*
და პრეზიდენტმა ამჯერად
დეპუტატს ბევრად აჯობა!
მორალი?
თავს არ ვიქანცავ,
რადგან სჯობს აქაც, იქაცა,
სადაც ედუღა წიქასა,
იქ ხარშოს ლუდი იმ კაცმა!
**აჯოჯვა-ასარვა, სარის შედგმა*
(ალ. ნეიმანი)

ᲕᲘᲡ ᲠᲐ ᲔᲕᲐᲡᲐ?

თავისი კაცურ კაცობით
„უცნობი“ გახდა ნაცნობი
და, მოდით ვკითხოთ გიასა,
აგვიხსნას უფრო „იასნად“:
რომ ნატრობს, მალე გაესწროს
„ცრუსთავ-5“-სთვის „მაესტროს“,
ამ დროს რა ცოდვა აძევსა
ქალბატონ გადაბაძესა,
რომ გიას ღვიძლ ძმას ლევანსა
დირექტორობა ევასა?

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ

ᲛᲐᲑᲐᲜᲐ ᲓᲝ ᲩᲮᲝᲣᲨᲘᲐ

ზუგიდი მარდუ ქალაქი რე, იფართანებ დდაშე-დდაშა
კუჩხი ოდიშის უბიჯგ დო დუდი მიკუბიჯ მუნაფაშა,
აურე ს ნწას ქიმკუნჭირ დო ეურე მიდართ ჭითაწყარშა,
ნარაზენშა ოჭიში მიკუძ, ბრელი ვეშეუძ ყულიშკარშა,
რუხი კისერც გიობუ დო ნაწულუკუს ოხუტოლ,
დახე ოდიში გიშელ დო კორცხელი გოჯუნ-გოღურჯოლ,
კუჩხობონ გეგნოზგენჯ, ჯოღეჯიანი დოჩაბახუ,
განარჯიაში მუხურც დო ანარკიას ქიგნაძახ.
შქა ასფალტის წყარი ეშახორცქ, “დუხოი მუზკა“ ახოლანც,
მანცხვარ-კარიში ხატიში სჲნთე, დუცუ მუნაბარჩხალანც,
ირდუქ, ირდუქ ჩქიმი ქალაქი, ჩქიმი ოდაბადეში გური,
სქანი გალუაფარი ჩქიმ დუდი დო სქანი შესაწირი ჩქიმი შური!
აურე სი რე გურც მიხარე, ეურე დ მაჭუ შურ დო გურქ,
გვალო დიხაშა მითილ, ჩხოუშია უბედურქ,
ქართის მტკვარი დო ქუთეშის
რიონი გუშურც, არგოში შარა,
წენდიხას, წენწყარი მოხორცქ, სქურიში გვალაში ნაშაყარა,
სი მუ გოჭირ ჩხოუშია, სით შხვაზმა გიღუ ხანი,
ვართი სიტომბა მერჩამუ დო ვართი სიგ რძა დო ხანი,
თაში მუქუ რე დ გალუ დო თაში მუქუ რეგდ გაკოკუ,
მიში ჩხოუქუ ეშარხუპუ დო მიში ჯოღორქ ეშარლოკ,
ღორონთი ნარტი გემი ონი, სქანწკმა მიღუ თხუალა:
ჩხოუშიაში გოძინა დო ზუგიდიში რდუალა!
ჭიჭე ფარა ქომჩას ნი, ვართი მითინც მოუშიშა:
ჯვარც მაგანას ეუკუნა დო დუც ქუნწყუა ჩხოუშიშა,
ჟირი ხოლო წკონდა წყარი, წყურგილე დო ინჭაცალო,
ართი ლოგინშა მივაშქვათ, მოჭყუდუ დო სინჯაცალო,
წყარი მალ დო წყარ-მარჩხის, ირფელი მეურც მუშით,
ანარკიას გეკობღვილ ჩქიმი ჭკარდუაშური ნგშით,
ღორონთი მალას ქომუჩანც, ფარაში ეფშა კალათის,
ჩხოუშიას გუოფშა დო გოფხვარჩალა ქალაქის!

ᲒᲝᲒᲘ ᲨᲝᲜᲘᲐ

დასავლეთის დირექტივების შესრულებით ქართულ სუვერენულ სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ

“ის რად ინდომებს ქვეყნისა ბედსა,
როს მასა შველის მის ბედკრულება?
რად შეებრძვის ის სიბოროტესა,
რის მეოხებით მისით თვით ჰრჩება”?
ილია

გაზეთ **“საქართველო და მსოფლიოს”** მკითხველმა, გურჯაანელმა მეურნემ მერაბ ზურაბაშვილმა შეხვედრა მთხოვა და ქვეყნის ჭირ-ვარამზე მესაუბრა: შარშან რუსეთმა შეისყიდა ყურძენი ჩვენთვის ხელსაყრელ ფასად და გლეხებმა ვენახების გაშენება დაიწყეს. წელს ხარჯი და ანაზღაურება გათანაბრდა და ვენახების გაშენებამ აზრი დაკარგა. თუ რუსეთი ჩვენს პროდუქტს შეისყიდის, ჩვენი ოჯახები წელში გაიმართება, მაგრამ ეს საკმარისი არ არის, საქართველო უნდა გაძლიერდეს, საწარმოები უნდა გაიხსნას და ხალხი დასაქმდესო.

კახელ მეურნეს გაზეთი **“საქართველო და მსოფლიო”** გზამკვლევად გაუხდია, ერეკლე მეფის ანდერძი გულში ღრმად ჩაუმარხავს, ილიას სიბრძნე სანთლად აუნთია და თანამოაზრეებს ეძებს – რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება ქვეყნის გადარჩენის წინაპირობად მიაჩნია. მისი თქმით, რუსეთმა წელს უარი ყურძნის შესყიდვაზე საქართველოში ნატოს საწვრთნელი ცენტრის გახსნის გამო თქვა. – პოლიტიკური გზა, რომელიც ხელისუფლებამ აირჩია, ადამიანს ღირსებას აკარგვინებს და ასე თუ გაგრძელდა წინაპრებთანაც შერცხვენილნი წარვსდგებით და მომავალ თაობასთან თავს ვერაფრით გავიმართლებთ – დასძინა ბ-მა მერაბმა. ბოლოს ილიას **“აჩრდილიდან”** ნაწყვეტი ზეპირად წამიკითხა და ენთუზიაზმით დამემშვიდობა.

ბ-ნო ბიძინა, ხედავთ განსხვავებას თქვენს მიერ შერჩეული **“ღირსეული”** ხადურების ფერმის წარმომადგენელთა და ქართველი მამულიშვილის აზროვნებას შორის? – მარტო მე არა, საქართველო უნდა გავაძლიეროთ და წინაპრებთან პირნათელი წარვსდგეთო?! სწორედ ასეთი აზროვნების მამულიშვილთა ერთობლიობა გადაარჩენს საქართველოს და არა დასავლეთის ინტერესების გატარება ქვეყანაში. სუვერენული სახელმწიფოს მმართველობის სისტემა უნდა ეყრდნობოდეს თავისი ქვეყნის ეროვნულ იდეოლოგიას და არა ევროამერიკულს, ხოლო ნებისმიერი გადახრა ამ იდეოლოგიიდან უნდა ითვლებოდეს დანაშაულად და არა სიტყვის თავისუფლებად. დასავლეთმა თავისი ინტერესების გასამყარებლად შემოიტანა ქართული ლექსიკისათვის სრულიად უცხო ტერმინები – **“ფობიები”** თუ, **“ჰომოები”**, რასაც ქართველი ლიბერალ-დემოკრატები თავმომწონედ იმეორებენ და თავი ევროპულად **“განსწავლულებად”** მიაჩნიათ. სინამდვილეში ის, რასაც დასავლეთი ჰომოფობიას უწოდებს, თავად მათ ფსიქიკასა და აზროვნებაში აქვს ფესვი ძალიან ღრმად გადგმული. ეს ერთუჯრედიანი პრიმიტივები აბრალებენ ინდივიდებს სიძულვილის ენით საუბარს, ხოლო თავად სიძულვილით აზროვნებენ. მთელი ეს სიძულვილი შენიღბულია ადამიანის უფლებებისა თუ გამოხატვის თავისუფლებით, ხოლო სინამდვილეში დასავლეთი ცდილობს საკუთარ კერძო ინტერესებს დაუმონოს სხვა ქვეყნები. გლობალისტები განსაკუთრებით ეროვნულ ქვეყნებს ებრძვიან. ცდილობენ ხელიდან არ გაექცეთ ქვეყნის მართვის სადავეები. მათ მხოლოდ ჩვენი გეოპოლიტიკური სივრცე სჭირდებათ რუსეთის სახელმწიფოებრიობის შესასუსტებლად. სისტემა, რომელიც 1990-91 წლებში თავს მოგვახვიეს ჩვენთვის დამღუპველი აღმოჩნდა. გარდა იმისა, რომ დაგვიმონა და დაგვაკაბალა, გვიწესებენ თავიანთ ღირებულებებს, რომ მათი კანონებით ვიცხოვროთ, ხოლო ჩვენს ხელისუფლებას არამცთუ პოლიტიკური, კაცური ღირსებაც კი არ გააჩნია, რომ ამას შეეწინააღმდეგოს. საინტერესოა, გამოიყენებს საქართველოს ხელისუფლება რუსეთ-თურქეთის კონფლიქტს, რუსეთის ბაზარზე თურქული პროდუქტი რომ ჩაანაცვლოს? სამწუხაროდ, ეს ის ხელისუფლება არ არის რუსეთს რომ დაელაპარაკება, ეს ის ხელისუფლებაა დასავლეთს უკანალს რომ უთამაშებს. ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ ივანიშვილს თუ ღარიბაშვილს ქართული სული აქვთ. მჯერა რომ ასეა, მაგრამ ვის სჭირდება ისეთი სულიერება, რომელიც ქართულ სინამდვილეში ასახვას ვერ ჰპოვებს? ერთი გენიალური ქართული ფილმის პერსონაჟისა არ იყოს – **“რა საჭიროა გზა, რომელიც ტაძართან არ მიდის?”** ხელისუფლებას დავით აღმაშენებლის ძეგლის გადმოტანაც ვერ მოუხერხებია, მხოლოდ დაანონსა, მაშინ, როცა გამგებლის მოადგილეებზე 535 ათასია დახარჯული პრემიების სახით. თუ პრემიები 31 მილიონით შემცირდა, სამაგიეროდ 51 მილიონით გაიზარდა სახელფასო დანამატების სახით, ხოლო 2016 წლისთვის 57 მილიონით იზრდება სამთავრობო ხარჯები, ხოლო პენსია მხოლოდ 20 ლარით. არ არსებობს კანონი ხელფასების შესახებ, რომ ანაზღაურება მხოლოდ მინიმალურის ზრდის პროპორციულად უნდა ხდებოდეს და არა პიროვნული ინიციატივის მიხედვით. ექსპრემიერის აზრით მთავრობამ ყურად უნდა იღოს ევროსაბჭოსა და დიპკორპუსის მიერ გაკეთებული უმეცარი განცხადებებიც, რომლებმაც სოც. ქსელში დიდი აღშფოთება გამოიწვია. ვის სჭირდება ეს? ვაქოთ და ვადიდოთ იმის მიუხედავად, რომ სისულელეს ამბობენ? მსგავს შემთხვევებს ევროპელი მწერალი ასეთ შეფასებას აძლევს: სულელს სულელი მაქებარი არ დაელევაო (ნიკოლა ბუალო, მე-17ს.). სოციალური ქსელებიდან დასავლელი **“მეგობრების”** მიმართ უარყოფითმა განწყობამ ქუჩაშიც გადმოინაცვლა:

– როგორ ხარ? – ეკითხება ერთი კაცი მეორეს.

– აქლემივითო – პასუხობს მეორე.

– ეგ როგორაო? – გაიოცა პირველმა.

– აქლემი იფურთხებაო – დაუკონკრეტა კაცმა და დასავლეთის პოლიტიკისა და იდეოლოგიის მიმართ კახური ტრადიციული **“ლოცვა-კურთხევა”** გადაამისამართა.

ყველაფერი ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, რაც არ მოგვწონს, დასავლური პოლიტიკის, მათი დირექტივების შესრულების შედეგია. ჩემი საქართველო – ყვავილების ქვეყანა – ნაბიჯვრების ქვეყნად მიქციეს, ხოლო ამერიკელთა ძაღლისშვილები – **“ღორისშვილებით”** ჩამინაცვლეს. თუ ამ მიმართულებით ვივლით ქართულ სუვერენულ სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ. ამერიკელთა დირექტივების, ზნეობისა და მორალის დეფიციტზე, მათ იდეოლოგიაზე რომ არაფერი ვთქვათ, კრიმინალური დანაშაულებების თვალსაზრისით ამერიკა მსოფლიოში ლიდერობს. ქვეყანაზე, რომელშიც დედამიწის მოსახლეობის 5% ცხოვრობს, მსოფლიოში დაფიქსირებული სერიული მკვლელობების 75% მოდის. ამერიკელი მკვლევარი და ჟურნალისტი ჯეფრი სილვერმანი ამერიკის ელჩს ბინძურ მოთამაშეს უწოდებს და აღნიშნავს, რომ ის აქ ხელისუფლების რეპუტაციის დასამხობად არის მოვლინებული, ხოლო ამერიკას აქ არც კანონი, არც ქართველები არ აინტერესებს. მას საკუთარი მოსახლეობაც არ აინტერესებს და ეს ქართველებს უნდა ახსოვდეთო. ამერიკელი ჟურნალისტი ყოველივეს, რაც ხდება ასეთ შეფასებას აძლევს: **“მსოფლიო სავსეა იდიოტებით, რომლებსაც უნდათ რომ ქვეყნის სათავეში ასეთივე იდიოტები ისხდნენ, მონსტრები, რომლებიც ხალხს ძარცვავენ”.**

გენიალური ფსიქოანალიტიკოსი გ. კლიმოვი უფრო ღრმად აანალიზებს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს: **“მასონები ყურადღებით აკვირდებიან შესაძლო კანდიდატების ქცევას და ძლიერი ჰომორადისტური მიდრეკილებების დადასტურების შემთხვევაში იწყებენ მათ დაწინაურებას ძალაუფლების ბერკეტებისკენ”** – ხომ არ გეცნოთ ეს თეზა სააკაშვილთან მიმართებაში?

ხელისუფლება საზოგადოებისაგან კრიტიკას იმსახურებს და უნდა ვაკრიტიკოთ, რათა თავიანთი შეცდომები დავანახოთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სხვა ხელისუფლება უკეთეს საქართველოს აგვიშენებს თუ სისტემა და საგარეო პრიორიტეტები არ შეიცვალა.

“პატრიოტთა ალიანსის” თავმჯდომარემ ხელისუფლებას ისრაელთან მოკავშირეობისკენ მოუწოდა, რათა ამით კიდევ უფრო განვამტკიცოთ ურთიერთობა დასავლეთთან და ამერიკასთან (?!) სწორედ ამაზეა მორგებული ქართული ანდაზა: **“სად ერეკლე და სად... ისრაელი?”** მოკლედ, ყველას უნდა ჩავეხუტოთ, გარდა რუსეთისა, მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნი დავითი ამერიკის პრზიდენტს გაუნათლებელ და სააკაშვილის დონის სუბიექტად მიიჩნევს. რადგან ისრაელი ვახსენეთ, საზოგადოებას ძველ ებრაულ სიბრძნეს შევახსენებ: **“ის კი არ არის ჭკვიანი, ვისაც კეთილის ბოროტისაგან გარჩევა შეუძლია, არამედ ის, ვინც ორ ბოროტს შორის უმცირესი ბოროტის ამორჩევა იცის”** (ალი ხაზარი, მე-13ს.). უცნაურია, რომ ეს იდეა ჩნდება სწორედ ახლა, რუსეთის ზეობის პერიოდში, როცა **ნატო**-ს წევრი ქვეყანა – საბერძნეთი ნდობას რუსეთს უცხადებს და ამერიკას – უნდობლობას. საფრანგეთიც რუსეთს მიმართავს, რათა მან მთავარი როლი ითამაშოს ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ. რუსეთის ძლიერებამ მისი რეიტინგი ევროპაში მნიშვნელოვნად გაზარდა და გააშიშვლა ამერიკა-ევროპის პოლიტიკა. მივესალმები მართლმადიდებელი რუსეთის გაძლიერებას მასონური მახინჯი სისტემის საპირწონედ. მივესალმები იმასაც, რომ რუსეთი კავკასიიდან წასვლას არ აპირებს. რუსეთის ავტორიტეტმა 75%-ით შეამცირა ევროკავშირში გაერთიანების მსურველთა რიცხვი.

საინტერესოა ერთი გარემოებაც: გავრცელებული ინფორმაციის თანახმად ერთ ებრაელ გენერალს, რომელიც ლიბანში ომს აწარმოებდა და წვრთნიდა ქართულ ჯარს, მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი 2008 წლის ცხინვალის პროვოკაციულ ომში. დიდი ალბათობით ებრაელებს დღესაც მჭიდრო ურთიერთობა აქვთ ქართულ ჯართან. ებრაელ მწერალსა და პუბლიცისტს მოჰყავს ციტატები თავისი წიგნიდან, სადაც აფიქსირებს, რომ ებრაელები საქართველოს თავიანთ ტერიტორიად მოიაზრებენ.

როცა საქართველო იყო წარმატებული და აყვავებული ქვეყანა, არსებობდა თანხვედრა რუსეთისა და საქართველოს ინტერესებისა. ახლა ეს თანხვედრა ინტერესებისა არ არსებობს დასავლეთთან და ამერიკასთან, რომელთაც მართვადი ქაოსი აძლევთ ხელს თავიანთი მიზნების განსახორციელებლად და შედეგიც სახეზეა. **“ჩვენ ვირჩევთ ევროკავშირს”** – აცხადებს ი. ინაშვილი, რაც სწორედ ეროვნულ ღირებულებებზე უარის თქმას ნიშნავს, ხოლო ეროვნულობაზე საუბრებით ეროვნულ სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ, ან ვინ აგვაშენებინებს – ერთუჯრედიანთა კასტის წარმომადგენლებმა იციან კი რა არის ეროვნულობა ან ამაზე ფიქრით დაიღლიან ტვინს? ეროვნული სახელმწიფოს აშენების გზა ევროკავშირზე არ გადის, ეს იმ პოლიტიკური გზის გაგრძელებაა, რაც შევარდნაძის პოლიტიკიდან დაწყებული დღემდე ანგრევს ქვეყანას. როცა ევროპის ქვეყანაში რელიგიის წამბილწავი კარიკატურები ქვეყნდება და ამას ქვეყნის იდეოლოგია არ კრძალავს და გამოხატვის თავისუფლებად მიიჩნევს, ასეთ ქვეყნებს მომავალი არა აქვთ და ეს გამოჩნდა კიდეც – ქვეყანაში მუსულმანთა რაოდენობა ქრისტიანულს მალე გადააჭარბებს. არაბული ხალიფატის ევროპასთან დამოკიდებულებას თუ გავიაზრებთ, საქართველოს ევროპისკენ სწრაფვა საფრთხის ქვეშ აყენებს ქვეყანას და ჩვენი დაცვა რეალურად მხოლოდ რუსეთს შეუძლია, ჩვენი მთავარი მოკავშირეც რუსეთი უნდა იყოს, მაგრამ იგი ვალდებული არ არის საქართველოს ჩასვრილ ხელისუფლებას ამერიკის გამოგზავნილი პამპერსები უცვალოს! ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლობა, რომელიც ბრიუსელსა და ვაშინგტონში უხარისხო სენატორებს ერთგულებას ეფიცება – ჩვენ უკეთ შევასრულებთ თქვენს დირექტივებსო და რუსეთს საერთაშორისო ბანდიტს უწოდებს, ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს. ამ პარტიას არ გამოუხატავს პროტესტი შიმშილობით სოციალური ფონის გამო, როცა საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მართლაც შიმშილობს; არ გაუპროტესტებიათ სკოლებში უზნეობის სწავლების მეთოდიკა; სახელფასო ფონდის შეუსაბამოდ ფლანგვა; უცხოელების მიერ ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევა. თუ იმისთვის მოდიხარ ხელისუფლებაში, რომ ქართული სახელმწიფო ააშენო, ამ მოვლენებს უნდა ეწინააღმდეგებოდე და ამაზე აწყობდე აქციებს, მაგრამ თუ იმისთვის გინდა ხელისუფლებაში მოსვლა, რომ ვეროკავშირი აირჩიო, ეს უკვე გავიარეთ და ანტიდისკრიმინაციული კანონიც მივიღეთ და თუ ამასაც ეწინააღმდეგები, რატომ ირჩევ ევროკავშირს, რომელიც ინგრევა და ქრისტიანული აღარ არის? ამ ზღაპარს ქართველს ხალხს ნუ უყვებიან, მან არა ერთი იმედგაცრუება განიცადა.

“პატრიოტთა ალიანსის” მიერ ხელისუფლების კრიტიკა დასავლეთის დირექტივების შესრულების შედეგზეა ორიენტირებული და არა თავად დირექტივების ინიციატორების მისამართით, რამეთუ თავად ილტვიან დასავლეთისკენ, რითაც პოლიტიკურ ქულებს იწერენ. აქცია, რომელიც გამართეს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე, მხოლოდ მათ პოლიტიკაში მოსვლაზეა გათვლილი. ხელისუფლებას ჰყოფნის გონიერება, რომ რუსეთს **“საერთაშორისო ბანდიტი”** არ უწოდოს და უკრაინაში მიმდინარე პროცესები მას არ დააბრალოს, **“პატრიოტთა ალიანსის”** წარმომადგენელთა მსგავსად. გახმოვანდა მოსაზრება, რომ ოპოზიციურ პარტიებს **“სწორება”** დასავლეთზე იარლიკების მიწებების შიშით აქვთ და დასაყრდენს და პოლიტიკურ მოკავშირეებს ბრიუსელსა და ვაშინგტონში ეძებენ (?!) მაშ საზოგადოებამ რაზე გააკეთოს სწორება, რაც დეკლარირებულია თუ იმაზე, რასაც **“ამირან გულში მღერის”**? ჭეშმარიტად პატრიოტული გზა აფხაზეთზე, სამაჩაბლოზე და რუსეთზე გადის და არა უცხოეთის სენატორებთან ვიზიტებზე, ხოლო ჭეშმარიტად პატრიოტი არც იარლიკების მიწებებას შეუშინდება. რომელიმე პოლიტიკური ძალის შენიღბული ინტერესები გაცილებით საშიშია ახლა, როცა ქართველმა ხალხმა არაერთი იმედგაცრუება განიცადა.

საგულისხმოა, რომ **“ობიექტივში”**, რომელიც ბევრ კარგ საქმეს აკეთებს, ყველაზე რეიტინგული – ვალერი კვარაცხელიას საავტორო გადაცემა შეჩერებული იყო და მხოლოდ საზოგადოების მოთხოვნის შემდეგ აღადგინეს. ვფიქრობ, არც ამ გადაცემაში მიწვეულ ექსპერტებს უყურებს მოწყალე თვალით ტელეკომპანია **“ობიექტივის”** ხელმძღვანელობა.

აღმაშფოთებელი და სამარცხვინოა, როცა ქართულ პოლიტიკაში, ეროვნება **“რუსი”** სალანძღავ სიტყვად იქცა. ანტიქართველი ხიდაშელი და დასავლეთში **“პოლიტიკური** მოკავშირეების მაძებარი ე.წ. ქართული ძალა – ი.ინაშვილი ერთმანეთს ამუნათებენ ვინ უფრო მეტი **“რუსია”**. პატრიოტული ძალა ამას არ უნდა კადრულობდეს ანტიქართველი ხიდაშელისაგან განსხვავებით. როდის გახდა რუსი ეროვნება შეურაცხმყოფელი, მას შემდეგ, რაც დასავლეთმა დემოტრაკიული იდეოლოგია გადმოუნერგა საქართველოს?

გავიხსენოთ საქართველოს ისტორია და ისიც, რატომ შეხვდა აღფრთოვანებით რუსის ჯარს მეფე და ერი 1799 წლის 26 ნოემბერს. ი. ჭავჭავაძე ამ დღეს ასე ახასიათებს: **“ამ ღირსსახსოვარი დღიდამ საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან, დაუდგა ახალი ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვრისთვის ჯვარცმულ საქართველოს, მეფე და ერი გულწრფელად მიენდო თავისს მომავალსა, დიდის რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშინით ფრთაშესხმული”.**

რუსი ერი იყო ის ძირითადი ბირთვი, რომელმაც სტალინის მეთაურობით იხსნა მსოფლიო ფაშისტური ჭირისაგან. ამიტომაც უწოდა სტალინმა – დიდი რუსი ერი. დღეს სტალინიზმს ებრძვიან ერთუჯრედიანი პრიმიტივები. სტალინის კულტის შიშმა დასავლეთის ბინძური პოლიტიკა მთლიანად გააშიშვლა.

რაც შეეხება ი. ინაშვილის ჟანა დარკობას, ამ უკანასკნელს დასაყრდენი სხვა ქვეყნებში არ უძებნია. მოხერხებულობით და ჭკუით ნდობა დაიმსახურა და საფრანგეთის მეფემ – შარლ VII-მ ჯარების სარდლად დანიშნა და თავის სამშობლოში სწორედ უცხო ქვეყნის ძალებს ებრძოდა.

დღეს ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებაც და ოპოზიციაც დასავლეთიდან არის მართული და ამას უნდა შევეწინააღმდეგოთ. დეკლარირებულ ე.წ. დემოკრატიულ ლიბერალიზმს ჭეშმარიტად ეროვნული, სუვერენული პრინციპებით უნდა დავუპირისპირდეთ.

P.S. შეურაცხყოფილად ჩავთვლიდი თავს, ვინმეს ჩემთვის ევროპელობა და დასავლური უზნეობის თავისუფლების იდეოლოგიის მატარებლობა რომ დაებრალებინა!

იზა თამაზაშვილი

თუ საქართველოს გადარჩენა გვინდა, ანაკლია პორტი „ხაზარაძე და კონტი ჯგუფმა“ არ უნდა ააშენოს!

ა/წ რვა თებერვალს, საქართველოს პრემიერ-მინისტრ **გიორგი კვირიკაშვილის** მიერ **“ანაკლიაში ღრმაწყლიანი პორტი”**-ს ტენდერში გამარჯვებულად **“ანაკლიის განვითარების კონსორციუმის”** იგივე **“ხაზარაძე და კონტი ჯგუფი”**-ს გამოცხადებამ გაკვირვება და ეჭვები გამოიწვია.

ცხადია, გაკვირვება იმ ადამიანებმა გამოხატეს, ვინაც ღრმად არიან ჩახედული **“ანაკლიის ღრმაწყლიანი პორტის”** მნიშვნელოვან საკითხებში. სამწუხაროდ, სწორედ ის **“მნიშვნელოვანი საკითხები”** გამორჩათ, ან შეგნებულად გამოტოვეს მოწვეულმა უცხოელმა ექსპერტებმა და მთავრობის მიერ შექმნილმა სატენდერო კომისიამ.

თავშივე უნდა ვახსენო: **საქართველოს მთავრობამ, უცხოელ ექსპერტებს 1,5 მილიონი ევრო გადაუხადა 5,5 მილიარდ აშშ დოლარად შეფასებული პროექტისთვის – “ღირსეული, გამოცდილების და შესაბამისი ფინანსების მქონე ინვესტორის შერჩევაში”!**

კაცმა რომ თქვას, კი ღირს ეს საქმე მილიონნახევარი ევრო, მაგრამ – შესრულდა კი, საქართველოს მთავრობის შეკვეთა და რაში მდგომარეობდა იგი?

ეკონომიკის მინისტრ **ქუმსიშვილის** თქმით – **“რაც შეეხება კრიტერიუმებს, რომლის თანახმადაც მოხდა აღნიშნული კონსორციუმის შერჩევა, იყო 4 ძირითადი კრიტერიუმი, მათ შორის განვითარების კონცეფცია, ფინანსური მდგრადობა, რეგიონის ეკონომიკური განვითარების ზოგადი ხედვა და იურიდიული მიმართულება”.**

ხელშეკრულებას, რომელსაც მთავრობა ტენდერში გამარჯვებულს სთავაზობს, დეტალებში ვერ განვიხილავთ, რადგან იგი უსაშველოდ დიდია. ამიტომ აქ შევჩერდეთ და გადავხედოთ უმთავრეს პირობებს, რომელიც – **“ანაკლიის პორტთან დაკავშირებით ინტერესების გამოხატვა”**-ში მონაწილეს უნდა წარმოედგინა:

100 მილიონი და მეტი ტვირთბრუნვის დამადასტურებელი პროგრამა-წინა საპროექტო მოსაზრება.

პორტის პროექტი უნდა იკავებდეს ზღვის სანაპირო ზოლის მაქსიმალურად მცირე ნაწილს.

უკიდურესი აუცილებლობის გარდა, არ უნდა ეხებოდეს დასახლებულ ტერიტორიას.

წარმოდგენილი პროექტი უნდა იყოს მომგებიანი და ტექნიკურად შესრულებადი.

ტენდერში მონაწილე კომპანია ვალდებულია წარმოადგინოს ინვესტორები, პროექტის დაფინანსების დამადასტურებული საბანკო საბუთებით.

ტენდერში გამარჯვებულის გამოცხადებისთანავე აიშალა ოპოზიციური ჭილყვავი, გაიხსენეს ე.წ. **“ლაზიკა პორტი”** და ხელისუფლებას ედავებიან – **“ანაკლიაში პორტის აშენების იდეა მიხეილ საკაშვილს ეკუთვნის და თქვენ ნუ მიიწერთო!”**

ხელისუფლება, როგორც ყოველთვის, – უვიცობის და არაკომპეტენტურობის გამო, გაიძვერა ოპოზიციას პასუხს ვერ სცემს!

ამიტომ, პატივცემულ მკითხველს უნდა შევახსენო – როცა **მიშა საკაშვილმა**, 2009 წელს, **თეიმურაზ ქარჩავასგან** ანაკლიაში უნიკალური პორტის აშენების შესაძლებლობის შესახებ შეიტყო, იდეა მოეწონა და იმწამსვე აიტაცა, უმნიშვნელო ფორმალობების გავლის შემდეგ, პორტის ასაშენებელი მიწებიც შეასყიდა ბატონ ქარჩავას, პორტის მშენებლობაც დაიწყო, მაგრამ ოკეანისგაღმელ **“მამებთან”** საკონსულტაციოდ ჩასული, სულ სხვა გეგმით დაბრუნდა საქართველოში და – ქარჩავასეული **“ანაკლია პორტის”** ნაცვლად, უსახური **“ლაზიკა პორტი”** და **“ხუთასი ათას მოსახლეზე”** ქალაქ **“ლაზიკას”** მშენებლობის იდეა ჩამოიტანა, რომელიც, რამდენიმე ესკიზში გამოიხატა და იგი საკმარისად ჩაითვალა მის დასაწყებად.

ასე გაჩნდა, ყოველგვარი ნებართვის და პროექტის გარეშე, პორტის ასაშენებელ ტერიტორიაზე, სადაც გემები უნდა შემოსულიყო, – არარსებული ქალაქ **“ლაზიკას”** იუსტიციის სახლი და ანაკლიის აბორიგენი მოსახლეობის ტერიტორიაზე **“ლაზიკა პორტის”** მომავალი ადმინისტრაციის ორი ხუთსართულიანი შენობა. ე.წ. **“ლაზიკა პორტი”**-ს მშენებლობა ანაკლიის დასახლებულ ტერიტორიაზე დაიგეგმა.

ეს კიდევ არაფერი, მოძალადე ხელისუფლებამ ბატონი **თეიმურაზ ქარჩავას** კომპანია **“ანაკლია პორტი”**-ს კერძო საკუთრებაში მყოფი და სახელმწიფისგან შესყიდული მიწები უკანონოდ ჩამოართვა და ასი მილიონი ამერიკული დოლარი ჯარიმა დააკისრა. ყოფილი ხელისუფლებისგან მსგავსი საქციელი მაშინ არავის გაკვირვებია!

მართალია, 2013 წელს სასამართლომ უკანონოდ დაკისრებული ჯარიმა გააუქმა, რასაც უკანონოდ ჩამორთმეული მიწების დაბრუნება უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ოთხი წელია სასამართლო დავა გრძელდება, სახელმწიფო უწყების მიერ ჩადენილი კრიმინალი **“კერძო საკუთრების უკანონოდ ხელყოფა”** სახეზეა, სამართალი კი, როგორც იტყვიან, **“ურმით მოდის”**!

კარგა ხანს გვეგონა **“ლაზიკა პორტი”** და ქალაქი **“ლაზიკა”** მიშა საკაშვილის ხუშტურები იყო, მაგრამ მოვლენათა განვითარებამ სულ სხვა ფაქტების წინაშე დაგვაყენა.

უნდა ვაღიარო მე მათ დიდხანს ეჭვის თვალით ვუყურებდი, მაშინაც კი, როცა 2011 წელს ჰამბურგიდან ასტანაში მივფრინავდი, ცნობილი გერმანული ფირმა VIESSMANN-ის წარმომადგენლებთან ერთად, სრულიად შემთხვევით, ჩემს გვერდით მჯდომი მგზავრისგან შევიტყვე, რომ “ანაკლიაში აშშ-ს სამხედრო საზღვაო ბაზა შენდება” (ალბათ სხვა დროს უფრო დაწვრილებით გავიხსენებ მას), მოლაზღანდარე ევროპელის გადამეტებულ აქტიურობად ჩავთვალე იგი და ყურადღება არ მივაქციე. 2013 წლის თებერვალში ვახსენე ეს შემთხვევა გაზეთ “ილორში”.

როცა **“ლაზიკა”**-ს სახელით მიწის ამზომველები მოგვადგნენ მე და ჩემს მეზობლებს ანაკლიაში – **“ეს ადგილები სახელმწიფოს სჭირდება პორტის ასაშენებლად!”** და ისინი კინწისკვრით გავყარეთ, არც მაშინ დავიჯერე ბოლომდე ქვეყნის სამტრო, – **“სამხედრო საზღვაო ბაზის”** შესაძლო მშენებლობის შესახებ!

მაგრამ, მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ორი წლის განმავლობაში მიმდინარე **“ანაკლია პორტი“**-ს ტენდერში გამარჯვებულად **“ხაზარაძე და კონტი ჯგუფი”** გამოაცხადა, რომელიც ანაკლიაში გამოჩენის (2014წ.) პირველი დღიდან, 2011-ში ე.წ. **“ლაზიკის”** მიერ მონიშნულ ადგილს და ანაკლიის აბორიგენ მოსახლეობას უმიზნებს, გულახდილად უნდა ვთქვა – არ ვაპირებ **“ურწმუნო თომა”** ვიყო: **მეც დავიჯერე, ხუთი წლის წინ ჩემი გერმანელი თანამგზავრის მიერ, ათი ათასი მეტრის სიმაღლეზე მოყოლილი “ანაკლიაში სამხედრო საზღვაო ბაზის მშენებლობის” ნამდვილობა!**

მკითხველი რომ არ დავაბნიო, განვმარტავ: მე ანაკლიაში დაბადებული და გაზრდილი ვარ, ჩემი ამ ქვეყნად ყოფნის დარჩენილი ლიმიტი აქ მინდა ამოვწურო და არავის ინტერესებს არ მოვერიდები, როცა შევატყობ აქაურობას საშიშროება ემუქრება! ჩემთვის სულ ერთია, ამერიკა იქნება იგი თუ რუსეთი, სხვისი ინტერესების გამო არ მსურს მე და ჩემი სამშობლო, მათი იარაღის სამიზნე გავხდეთ, ჩვენ ამას არ დავუშვებთ!

იმედი მაქვს, ყოველივე ზემოთთქმულის შემდეგ, – **“ანაკლია პორტი და ეკო პარკი”-ს მარცხის მიზეზი, ჩინური მეგაკომპანია “ფაუერჩაინათი”**, ჩინური ინვესტიციით და ჩინური ტვირთების გარანტიით მარტივი ასახსნელია!

თუ რა მნიშვნელოვანია ჩინური კომპანიის და ჩინეთის სახელმწიფოს გვერდში ყოლა, **“ახალი აბრეშუმის გზაზე”** ანაკლიაში **“სამოქალაქო-სამრეწველო”** პორტის აშენების შემთხვევაში, სტატიის ბოლოში მოგიყვებით.

რაც შეეხება **ხუთასი ათას მოსახლეზე ანაკლიაში ქალაქ “ლაზიკა”-ს** აშენებას, დღევანდელ პირობებში, არც ის მეჩვენება უტოპიად. მართალია, სანახევროდ დაცარიელებულ საქართველოში **“ლაზიკაში”** ჩასასახლებელი 500.000 ადამიანი არ მოიძებნება, მაგრამ – **სირიელი ლტოლვილებისგან შეშინებულმა ევროპამ, რომ ნახევარ მილიონს საქართველოსკენ უყოს პირი, არავის გაუკვირდება!**

მით უმეტეს – ორი კვირის წინ, თუ არ ვცდები კახეთში, **“72 თავშესაფრის მთხოვნელ უცხოელს”**, აშშ-ს საელჩომ კომფორტაბელური საცხოვრებელი სახლი აუშენა, როცა საკუთარ ქვეყანაში, საკუთარი სახლებიდან გამორეკილი ნახევარი მილიონისთვის ვერ მოგვივლია ჯეროვნად!

დასაწყისისთვის “72 თავშესაფრის მთხოვნელი უცხოელით“ მოსინჯეს ნიადაგი ჩვენმა “მოკეთეებმა” – აბა ვნახოთ, როგორ შეხვდება და რას იტყვის საქართველოს მთავრობა და მისი ხალხიო?!

მოდით, ჩვენ მაინც მივყვეთ ისტორიას – **“ანაკლია პორტის”** მშენებლობა 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ გახდა რეალური პროექტი და იგი განახლებული სახით ბატონი თეიმურაზ ქარჩავას კონსორციუმმა **“ანაკლია პორტი და ეკო პარკი”** წარმოადგინა, რომლის შემადგენლობაში, ხანგრძლივი კონსულტაციების შემდეგ ჩინეთის სახელმწიფო კომპანია **“პაუერჩაინა”** გაერთიანდა ამერიკულ **“აეკომთან”** ერთად.

“ანაკლია პორტის” მშენებლობის ტენდერის გამოცხადებამდე ცოტა ხნით ადრე გამოჩნდა და 12 მონაწილეს შორის ვიხილეთ – **“კონტი ჯგუფი”** და **“თიბისი ბანკის”** სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძე.

წინადადებები, რომლითაც ხაზარაძის კონსორციუმი შემოდის, სახელმწიფოსთვის არარეალურიც არის და საზიანოც!

აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ, საქართველოს იურისდიქციაში დარჩენილი და კონტროლირებადი შავი ზღვის სანაპირო ზოლი 90 კილომეტრამდე შემცირდა. რაც კიდევ უფრო სამწუხაროა, ამ 90 კილომეტრიდან მხოლოდ მესამედია საკურორტოდ და ტურიზმის განვითარებისთვის ვარგისი. ამ მხრივ, ანაკლია-განმუხურის სანაპირო ზოლი ერთ-ერთი საუკეთესოა. საკურორტო-ტურისტული ღირსებების გარდა დიდი ხანია ცნობილია ანკლიის კანიონი, რომელიც შავი ზღვის აუზში ღრმაწყლიანი პორტის აშენების საუკეთესო პირობას ქმნის.

ზემოთხსენებული, მრავალმხრივ მნიშვნელოვანი გარემოებების გამო, საინტერესოსთან ერთად, დიდად საპასუხისმგებლოა, შავი ზღვის აუზში უდიდესი პორტის ასაშენებლად ყველაზე ოპტიმალური პროექტის შექმნა, რაც ტენდერის მონაწილეთა უპირველეს მოთხოვნას შეადგენდა.

მას შემდეგ, რაც 12 მონაწილედან ორი დარჩა ფინიშის სწორზე, რთული არ უნდა ყოფილიყო უკეთესის შერჩევა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ისე ადვილი არ აღმოჩნდა უცხოელი ექსპერტებისა და სატენდერო კომისიისთვის, როგორც ჩვენ წარმოგვედგინა!

აქ ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომელმაც საქმეში ჩახედული და დაინტერესებული საზოგადოების შეშფოთება და უამრავი კითხვა გააჩინა!

ამ კითხვების სამართლიანობაზე შესაბამისმა უწყებებმა უნდა იმსჯელონ, ჩვენ ჩვენს სათქმელს მივხედოთ.

“ხაზარაძე და კონტი ჯგუფის” პროექტის გაცნობის შემდეგ ცხადი გახდა, რომ:

– იგი ვერ ასრულებს ტენდერის უმთავრეს მოთხოვნას – 100 და მეტი მილიონ ტონა ტვირთბრუნვას წელიწადში. ექსპერტთა დასკვნით, – წარმოდგენილი კონცეფცია ვერანაირად ვერ გაცდება წელიწადში 30 მილიონ ტონა ტვირთბრუნვას და მას შემდგომი განვითარების პერსპექტივა არ გააჩნია. უკიდურეს შემთხვევაში, მისი ტვირთბრუნვის გაზრდა, ისედაც შეზღუდული ზღვის ნაპირის ხარჯზე უნდა მოხდეს.

იგი იკავებს ზღვის სანაპირო ზოლის 4 კილომეტრს.

პირდაპირ დამიზნებულია ანაკლიის აბორიგენ მოსახლეობაზე და ითხოვს 200 ოჯახის გასახლებას.

პორტის მშენებლობა დაგეგმილია გაშლილ ზღვაში, რაც მის საეჭვო დანიშნულებას უსვამს ხაზს!

საგანგაშოა ის, რომ “ხაზარაძე და კონტი ჯგუფი” ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადების შემდეგ ეძებს ინვესტორს და დამფინანსებელს, მათ შორის, აცხადებს, რომ ჩინეთშიც ყავს პარტნიორი მოძიებული, მაგრამ მას საიდუმლოდ ინახავს!..

კონსორციუმ **“ანაკლია-პორტი და ეკო-პარკი”**-ს მიერ წარმოდგენილი წინა საპროექტო მოსაზრება:

წარმოდგენილ კონცეფციას გააჩნია გარანტირებული, შემდგომი განვითარების პერსპექტივა და იგი გაანგარიშებულია წელიწადში 100 და მეტი მილიონ ტონა ტვირთბრუნვაზე.

იგი ზღვის ნაპირის მხოლოდ 800 მეტრს იკავებს.

საერთოდ არ ეხება დასახლებულ ტერიტორიას.

პორტი შენდება ხმელეთზე და 350 მეტრი სიგანის არხით უერთდება ზღვას.

კონსორციუმ “ანაკლია-პორტი და ეკო-პარკი”-ს მიერ წარმოდგენილი წინა საპროექტო მოსაზრების ტექნიკურად გადაწყვეტა, მსოფლიოში აღიარებულ (Ernst & Yang) კომპანიაში ექსპერტიზაგავლილი დოკუმენტაციის თანხლებით ეჭვს არ იწვევს. დასაბუთებულია მისი ეკოლოგიურად გამართულობა და თანამედროვე, მსოფლიო სტანდარტებთან შესაბამისობა. ასევე, მზადყოფნაში აქვს ინვესტორთა მიერ წარმოდგენილი პორტის მშენებლობის ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელი საბანკო გარანტიები.

ეკონომიკის მინისტრ ქუმსიშვილის განცხადებით – **“ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადებულ “ანაკლიის განვითარების კონსორციუმს” იგივე “ხაზარაძე და კონტი ჯგუფს“ მოწვეულმა უცხოელმა ექსპერტებმა და სატენდერო კომისიამ ასიდან 80 ქულა მიანიჭა!”**

როგორც ზემოთ ვიხილეთ, დიდი ინჟინრული ცოდნა არ არის საჭირო, კონსორციუმ **“ანაკლია პორტი და ეკო პარკის”** ხმელეთზე დაგეგმილი პორტის პროექტი განასხვავო, ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადებული **“ხაზარაძე და კონტი ჯგუფის”** მიერ წარმოდგენილი ნაცოდვილარისგან.

სხვა დროს შეიძლება თავი შემეკავებინა მკაცრი გამოთქმებისგან, მაგრამ, როცა იგი ჩემი სამშობლოს მომავალს ეხება, მე ვერავინ შემაჩერებს, რადგან –აშკარაა თაღლითურ გარიგებასთან უფრო გვაქვს საქმე, ვიდრე ძვირადღირებული უცხოელი ექსპერტების და სამთავრობო კომისიის მიერ, ქვეყნის სასიკეთოდ და პროექტის წარმატებისთვის შესრულებულ ნამუშევართან!

– სასწრაფოდაა გასარკვევი, – რატომ აირჩიეს ზემოთხსენებულმა ექსპერტებმა და სამთავრობო კომისიამ კომპანია, რომელსაც სტატიის დასაწყისში ჩამოთვლილი ხუთი ძირთადი მოთხოვნიდან ხუთივეში, თითქმის გადაუჭრელი პრობლემები გააჩნია?

– რაში მიეხიჭა გამარჯვებულს – **“ასიდან 80 ქულა”**?

ეს ის კითხვებია, რომლებიც ჟურნალისტური გამოძიების ფარგლებს სცილდება და მას შესაბამისმა ორგანომ უნდა მიხედოს!

როგორც ცნობილია, ტენდერში გამარჯვებულსა და მთავრობას შორის ხელშეკრულების ხელმოწერა სამი თვის განმავლობაში უნდა მოხდეს, რაც სრულიად საკმარისია, იმისთვის, რომ საფუძვლიანად იქნეს შესწავლილი ყველა საკითხი და ამის შემდეგ მაინც მოხდეს, ორივე კომპანიის მიერ ტენდერში წარდგენილი მასალების გასაჯაროება!

დავით ქოგალია

P.S. არაერთხელ ითქვა და დაიწერა ორივე კონსორციუმის წევრი კომპანიების შესახებ. მოკლედ წარმოგიდგენთ მათ:

კონსორციუმი **“ანაკლია პორტი და ეკო პარკში”** შემავალი ჩინური გიგანტი, სახელმწიფო კომპანია **“ფაუერჩაინა”** და საქვეყნოდ ცნობილი ამერიკული **“აეკომი”**-ის საპირწონედ, რამდენად გამოდგება **“ანაკლიის განვითარების კონსორციუმში”** შემავალი **“თიბისი”** და **“კონტი ჯგუფი”**, რომლის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი, გარდა რამდენიმე უმნიშვნელო ობიექტის აშენებისა, მკითხველმა განსაჯოს!

– არაფერს ვამბობ ამერიკულ **“აეკომ”**-ზე – **“ფაუერჩაინა”** უმსხვილესი სახელმწიფო კომპანიაა, რომელიც, უზრუნველყოფს ყველა სახის მომსახურებას, დაგეგმვის, შესწავლის, პროექტირების, კონსულტაციის, მშენებლობის, ჰიდროენერგეტიკის, ახალი ენერგიისა და ინფრასტრუქტურის მიმართულებით.

კომპანიის საქმიანობა ასევე მოიცავს უძრავ ქონებას, ინვესტიციებსა და ფინანსებს. 2015 წლის ივნისის მონაცემებით, **“ფაუერჩაინა”** 70,4 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების ქონებას ფლობს და დასაქმებული ჰყავს 200 000 ადამიანი.

2014 წელს კომპანიის შემოსავალმა 42,4 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. 2015 წელს **“ფაუერჩაინა”**-მ მსოფლიოს 110 ქვეყანაში 1 565 მსხვილი პროექტი განახორციელა. ENR-ის რეიტინგში – **“ფაუერჩაინა”** მესამე ადგილზეა.

აქვე უნდა აღვნიშნო, ჩინური სახელმწიფო კომპანია **“ფაუერჩაინა”** გასულ წელს, ჩინეთის მთავრობაში შევიდა წინადადებით **“ახალი აბრეშუმის გზის მნიშვნელოვანი ნაწილი “ანაკლია პორტი” სახელმწიფო პროგრამაში შეეტანათ”**, რაც დაადასტურა კიდეც ჩინეთის მთავრობამ და მას, ახალი აბრეშუმის გზის სახელმწიფო ფონდიდან, პროექტის დაფინანსების გარანტია აღუთქვა.

თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩინური გიგანტი სახელმწიფო კომპანია **“ფაუერჩაინა“**-ს ყოფნას **“ანაკლია პორტი“**-ს პროექტში, – მოვუსმინოთ საბანკო ექსპერტ, ავსტრიელ დოქტორ **რაინერ გაისლერის** დასკვნას, რომელიც მან 2013 წელს ლიხტენშტეინის დედაქალაქ ვადუცში **“ანაკლია პორტი“**-ს მშენებლობის პერსპექტივებზე საუბრისას გააკეთა:

“–ბატონებო, ათი წლის წინ, ევროპაში, ვინმეს რომ შავ ზღვაზე, ანაკლიაში (საქართველო) მეგაპორტის აშენების საკითხი გამოეტანა სადისკუსიოდ, მას სიბრალულით შეეხედავდით. უნდა მოგახსენოთ, მსგავსი პროექტების მომზადებას წლები სჭირდება. ყველასათვის ცნობილია, რომ დიდი პროექტის განხორციელება კი არ არის პრობლემა, არც მისი დაფინანსების წყაროების მოპოვებაა რთული საქმე!

– რთული და ძნელად მისაღწევი, პროექტის დასრულების შემდგომ მისი მუშაობაა. ამ შემთხვევაში, უნიკალური ფინანსური და ლოჯისტიკური მოდელია ერთმანეთთან მორგებული, სადაც ინვესტორი, დამთავრებული პროექტის მომხმარებელი და ხანგრძლივი ფუნქციონირების გარანტი ხდება.

– ეს გახლავთ ჩინეთის სახელმწიფო!

– არ დაგვავიწყდეს, რომ, ევროპაში გაყიდული პროდუქციის ნახევარზე მეტი ჩინეთშია წარმოებული და მისი მომხმარებლამდე სწრაფად მიტანა, უზარმაზარი მოგების გარანტიაა. ამ მხრივ, „ანაკლია პორტი“ და “ახალი აბრეშუმის გზა” უნიკალური შეთავაზებაა, როგორც ჩინელი (არა მარტო ჩინელი!) მეწარმეებისთვის, ასევე ევროპელი მომხმარებლისთვის!

დოქტორი რ. გაისლერი”

როგორც იტყვიან, – აქ კომენტარი ზედმეტია!

სამწუხაროდ, ესენი, ის საკვანძო საკითხებია, რომლებიც მოწვეულ უცხოელ ექსპერტებს და საქართველოს მთავრობის სატენდერო კომისიას, გამარჯვებულის შერჩევისას რომ გამორჩა!

სტატიის დასაწყისში ვახსენე – **ტენდერში გამარჯვებულის თაობაზე გაკეთებულმა განცხადებამ, გაკვირვება და ეჭვები გამოიწვია-მეთქი!**

მართლაც გასაკვირი და საეჭვოა – **რატომ უქმნის, საქართველოს მთავრობა, ისედაც წირვაგამოყვანილ ჩვენს სამშობლოს, დამატებით პრობლემებს?**

– მე, არ ვიცი!.. მგონი, არც ამ მთავრობის მომყვანმა, ანუ ივანიშვილმა იცის!

ილორი

ვამრავლოთ სიკეთე

სტუმრებს ელოდება.

სტუმარი ღვთისაა, სტუმარი უფლის საჩუქარია...

ბუხარში ნავთის და ხმელი ფიჩხის არქონის გამო ძლივს დაანთო ცეცხლი.

ფიქრებში წავიდა: – რა გაუსაძლისია მარტოობა, რა ძნელია შვილების, მეუღლის, ძმების, რძლების, ნათესავების, მეზობლების, მეგობრების დაკარგვა. თითქოს ფოთლებივით ცვივიან ხიდან, და რჩება ადამიანი მარტო, ფოთლებგაცვენილ ხესავით, რომელსაც მხოლოდ სიცივე, მხოლოდ ცივი გამყინავი ქარი უბერავს, რომელსაც ფარღალა მიტოვებული ფარდულის კარებივით ვერაფერი აკავებს.

წლები თავისას ითხოვს. უფროსები უნდა წავიდნენ სასუფეველში და შემდეგ თაობებს დაუთმონ ასპარეზი. მაგრამ ზოგჯერ ცხოვრების ჩარხი უკუღმა ბრუნავს, ადამიანებისთვის სასურველ კანონზომიერებას არ ემორჩილება, მშობლების წინ შვილები მიჰყავს და ტოვებს ამქვეყნად სიკვდილმონატრებულ დედებს, მამებს, დებს, ძმებს... ძალიან ძნელია მისთვის ყოველივე ამასთან შეგუება, მაგრამ, ცოცხლებმა რა დააშავეს, მათი წილი ალერსი, მათი წილი სითბო ხომ უნდა მიიღონ? დედა ვალდებულია თანაბრად გაუნაწილოს თავისი გული, თავისი სუნთქვა, თავისი ლოცვა. ვინ მოგვცა უფლება ცოცხლებს არ გავუწიოთ ანგარიში... დაჟინებით თხოვენ შვილები, მათთან საცხოვრებლად გადასვლას. მაგრამ ამ ნაფერებ, ნალოლიავებ, ათას დავიდარაბაგამოვლილ ოდაბადეს რა უყოს, აქაურობა ნასახლარს დაემსგავსება და შეწუხდებიან შვილების, მეუღლის სულები. უჭირს გადაწყვეტილების მიღება. მაგრამ თვითონაც უჭირს მარტოობა...

ვიღაცამ დაიძახა ქუჩიდან.

ჭიშკართან მომდგარ მეზობლის ქალს და მასთან მდგომ უცნობს სალამზე უპასუხა და ოჯახში შეიპატიჟა. იუარა ორივემ მოპატიჟება, მხოლოდ დანაბარები გადასცეს, ერთადერთი დარჩენილი ძმა გოდო (არდაშელი) მძიმედ ყოფილა ავად და დის ნახვას თხოულობსო.

წავიდნენ გამოუმშვიდობებლად.

გულმა რეჩხი უყო.

სასწრაფოდ გადაიცვა, გზაზე გავიდა იმ იმედით, რომ ვინმეს დაემგზავრებოდა საზღვრამდე.

რა უცნაურად ჟღერს – საზღვარი, რომლის ორივე მხარეს საქართველოა, ორივე მხარეს ქართველთა სისხლით გაპოხილი მიწაა, რომლის ორივე მხარეს ერთმანეთისიანები ცხოვრობენ. ამ ერთი ბეწო ქვეყანას კიდევ დაყოფა უნდა, ან რა გვემართება, რით ვერ მოგვიხერხებია **„ჩვენი თავი ჩვენ გვეყუდნოდეს“**?! ვერც წარსულის მაგალითებმა მიგვითითა სწორი გზისკენ და ვერც ერის, ბერის, ქვეყნის გულშემატკივართა შეგონებამ – გავთითოკაცდით, შუღლმა და ძმათმოძულებამ შეგვიპყრო, სტომაქის ჭკუაზე, სხვის ჭკუაზე, ვიარეთ და, აი, საზღვარიც დამსახურებულად დაგვიყენეს. რა გვქონდა ორივე ჩვენს ძმებთან, ოსებთან და აფხაზებთან გასაყოფი და სამდურავი? ისე, მე ვინ მეკითხება, თორემ აქ ჩვენი მოძულეების, პირში მომცინარე მტრების ხელი უფრო ურევია. თითქოს გალიაში გამოგვამწყვდიეს მოჩხუბარი მთვრალივით, რომელიც თავისი აგრესიით მხოლოდ თავის თავს თუ დაუშავებს რაიმეს.

* * *

მესაზღვრეებთან არ გაჭრა არანაირმა ხვეწნა-მუდარამ, არც ცრემლმა, არც ასაკმა, არც ძაძებმა.

არაერთხელ ინატრა სიკვდილი...

უკან გაბრუნებული ძლივს მილასლასდა სახლამდე. აქაც სიბნელემ, სიცივემ უმასპინძლა. თითქოს გული ამოგლიჯეს და მის ადგილას დიდი, დიდი ყინული ჩაუდეს.

ძილი არ მიეკარა. ცარიელი კუჭი თავისას ითხოვს, მაგრამ ვინ მისცა ჭამის თავი. ხმის გამცემი მაინც ჰყავდეს ვინმე. როგორ სჭირდება ახლა ხმის გამცემი...

თავს ძალა დაატანა, გადაშალა საკუთარი კომლის ფოტოალბომი. სათითაოდ დაუწყო საუბარი სურათებიდან მომღიმართ, ცოცხლებსაც და იმქვეყნიურებსაც.

კაი დრო წაართვა მათთან **“საუბარმა”** – ზოგს მოეფერა, მოეალერსა. ზოგს უსაყვედურა, გაუბრაზდა კიდეც. ახლა თითქოს ცოცხლებიდან მისმა შვილებმა, შვილიშვილებმა, შვილთაშვილებმა თვითონ მას უსაყვედურეს მათგან შორს ყოფნის გამო, მათი თხოვნის არ გაზიარების გამო, ერთად იყვნენ, რომ ისინი მშვიდად იყვნენ და არ ჰქონდეთ მისი დარდი.

– ეჰ, ჩემო კარგებო, ჩემო ნუგეშებო, ჩემო სიხარულებო, როგორ აგიხსნათ ჩემი დარდი და ვარამი? უფალმა გაშოროთ ჩემნაირი ხვედრი. განა არ მჯერა, რომ სითბოს და სიყვარულს არ მომაკლებთ, რომ მომივლით, მიპატრონებთ, რომ არც სიცივე, არც შიმშილი და წყურვილი შემაწუხებს, არც მოვიწყენ თქვენთან, მაგრამ... მაგრამ ჩვენს საფლავს ვინ მიხედავს უჩემოდ, მას ხომ უპატრონობა, უპატივცემულობა დაეტყობა, სახლს, ეზოს, ბაღჩას მოუვლელობა დაეტყობა. აქ ხომ ყოველი ხე, ყოველი ბუჩქი, ყვავილი თუ ბალახი ჩვენი მონაფერებია, ჩვენი ნალოლიავებია?...

მჯერა გახსნიან ამ ავადსახსენებელ საზღვარს, ქვეყანა გამთლიანდება, და მაშინ არ დაგახვედროთ თბილი კერა, ძირი ოჯახის სურნელება? მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ გაგვძარცვეს, რაც მოეწონათ წაიღეს, მაგრამ სახლი, სახლი ხომ არის, სახურავი ხომ ახურია?...

მეორე დღეს ისევ წარსდგა მესაზღვრეების წინაშე, ოთხმოც წელს გადაცილებული, გულშეწუხებული, დათრგუნული, ღამენათევი, ნაწამები, ძაძებში მოსილი, მათხოვრის როლში. მისი თხოვნა საქართველოდან საქართველოში გადასვლა იყო.

პასუხად კატეგორიული უარი მიიღო.

არავის ატარებდნენ, არავის. დღეს უფრო ლმობიერი, კეთილად განწყობილი მორიგე მესაზღვრეები შეხვდათ. აუხსნეს ყველას ერთად, რომ მათი ინფორმაციით დივერსიაა მოსალოდნელი და ნაბრძანები აქვთ, არავინ გაატარონ. მიუხედავად გულისხმიერი დამოკიდებულებისა, ეს არ იყო მოზღვავებული ხალხის წადილის აღსრულება – ყველას ეჩქარებოდა საზღვრის მეორე მხარეზე მოხვედრა.

ხალხს შეუერთდა ისიც, იმ იმედით, რომ ამ ზღვა ხალხს შეიბრალებენ, არ დაჩაგრავენ, უნათაგრძნობენ, ბოლოს და ბოლოს გამოატარებენ და ისიც მოინახულებს თავის სნეულ ძმას, ძმიშვილებს, ახლობლებს.

უსაშველოდ გულშედონებულ და სიცხისაგან გათანგულ თავისივე ქვეყანაში ლტოლვილებად ქცეულთ ეცნობათ, რომ არსებობს რაღაც საიდუმლო გადასასვლელი, რომელიც მეტად საშიშია და სარისკო, მაგრამ ვინ დაეძებდა! ერთხმად გაეშურა ყველა იქითკენ, სადაც მრისხანე, ბრაზმორეული, ხმაურიანი მდინარე ენგური უნდა გადაელახათ, უფრო ზუსტად, ერთ მეტრომდე წყალში უნდა შესულიყვნენ თუ... მოკლედ, უნდა გადასულიყვნენ მეორე ნაპირზე, მხოლოდ ამას როგორ გაართმევდნენ თავს, არავინ უწყოდა წესიერად ვერც წარმოედგინათ.

იყო მეორე საშიშროებაც: თუ მესაზღვრეები შეამჩნევდნენ, ყველას, განურჩევლად ასაკისა თუ სქესისა, დააკავებდნენ და ადგილობრივი მილიციის განყოფილებაში მოაბრძანებდნენ საზღვრის უნებართვოთ გადაკვეთის მცდელობის ბრალდებით.

დროც მათ წინააღმდეგ მუშაობდა.

– არიქა, თავს უშველეთ, მოდიან, დაიმალეთ, გაიქეცით, – იყვირა ვიღაცამ და წამებში მის ირგვლივ აღარავინ აღარ დარჩა. სირბილი? სირბილი კი არა ხელჯოხმომარჯვებულს სწორ გზაზე უჭირს გადაადგილება...

დარჩა მარტოდმარტო, საკმაოდ გრძელი ჯოხით და ჩანთით ხელში. უძლური ბედს მიენდო.

კარგა ხნის შემდეგ გამოერკვა. მიხვდა თავის ხვედრს – მთლად მარტოა დარჩენილი მრისხანე ენგურის პირისპირ, არც იმაშია დარწმუნებული, ეს ის ადგილია, სადაც ე.წ. გადასასვლელია?

– უნდა გავბედო, – გაიფიქრა წერასაყოლილმა, – უნდა ვცადო მეორე ნაპირზე გასვლა. თუ წყალი წამიღებს, არც ამით მოხდება უსაშველო რამ – ჩემს ტკივილს და ვარამს თან გავიყოლებ და საბოლოოდ დავისვენებ.

მდინარეს მისცა თავი.

მეორე ნაპირამდე შვიდი, რვა მეტროა. ის ნელი, ფრთხილი ნაბიჯით მიიწევს წინ. წყალმა მუხლებამდე მოაღწია. წინ მიიწევს. წყალი წელს სწვდება. ხელებაწეული მარჯვედ ეყრდნობა ჯოხს. ხელჩანთა დასველდა, დამძიმდა. დინება კი ებრძვის – თითქოს ეუბნება, ჩანთა მე მეკუთვნის, ჩემი წილნაყარია და უნდა დამითმოო. ასეც მოხდა, ის იძულებული გახდა ხელი გაეშვა ჩანთისთვის. წყალმა წაიღო მისი გროშები, სურათები, საბუთები.

ეს რა ვქენი, სად შემოვედი ამ წყალში, ეტყობა ეს ის ადგილი არ არის, სადაც გადაიპარებიან ხოლმე. რამე რომ დამემართოს ჩემს შვილებს გაამტყუნებენ, გაჭორავენ, აქაოდა მიატოვეს მოხუცი და შედეგმაც არ დააყოვნაო, – გამოერკვა იგი, – უფალო დიდებულო, გთხოვ, მიშველე, გამიყვანე სამშვიდობოს, სულ ერთია რომელ მხარეს. ეს რა ჩავიდინე, ამხელა ქალს ეს როგორ მომივიდა, როგორ დამიბნელდა გონება...

ენგური თითქმის უხმაუროდ, მაგრამ დაუნდობლად აღნიშნავს თავის ძლიერებას. ის ებრძვის მოხუცს, რომელიც ძლივს ინარჩუნებს წონასწორობას, რომელიც გულით ნანობს თავის საქციელს, რომელიც ამჯერად მხოლოდ სიცოცხლესათვის იბრძვის, რომელიც თავის ყოფას წყევლის! რომელსაც მხოლოდ უფლის იმედიღა შერჩენია ნუგეშად...

მრავალნახული და ამავდროულად პირქუში ენგურის წყალი მას ამჯერად გულამდე წვდებოდა. იმ გულამდე, რომელიც მეტად ტანჯული, დაღლილი და ამავდროულად კვლავინდებურად მოსიყვარულე დარჩენილიყო. მაგრამ ვაგლახ, რომ გრძნობს როგორ აცლის ძალას მდინარე, როგორ ამზადებს მას ჩასაყლაპად, როგორ ამზადებს მას მორიგ ზვარაკად.

ჯოხზე მინდობილს მთელმა ცხოვრებამ წინ გაუელვა. რამდენი სიკეთე, რამდენი ბედნიერება, შვილების, მეუღლის სიყვარული, მოყვარის სიყვარული, იმედგაცრუება, ტკივილი, ღალატი და დაუნდობლობა უგემია მას და მის კომლს. რამდენი სიკეთე უკეთებიათ, რამდენი შეუკედლებიათ, დაუპურებიათ, დაუფრთიანებიათ. რამდენი ჯურის და გვარის ადამიანი მიუღიათ, მისთვის გული გადაუშლიათ, მათთან ერთად უმღერიათ, უცეკვიათ. რამდენს დღესაც უყოფენ და-ძმობას, და-ძმურ ვალდებულებებს, მეგობრობას, ჭირს, ლხინს...

და აი, უპატრონოდ, უკაცრიელში, მოხუცი, უმწეო ქალი აღმოჩნდა გველეშაპივით ხახადაღებულ ენგურთან, რომელი ლამობს მის შთანთქმას. აფსუს!

არ უნდა დანებდეს! არ შეიძლება! ხალხი რას იტყვის, სირცხვილია! შვილებს უსაყვედურებენ, ძმას, სნეულს, ავს ეტყვიან. შვილებს გაკიცხავენ – როგორ მაიტოვეთ მარტო, როგორ არ შეიკედლეთ, როგორ არ გაათბეთ, თქვენი – **შვილის წმინდა მოვალეობა მშობლის მიმართ** როგორ არ აღასრულეთ, ღმერთს რას ეტყვით, როგორ იმართლებთ თავს მის წინაშეო.

ეს არ უნდა მოხდეს, – კვლავ გაიფიქრა მან, მაგრამ ძალა იმდენად გამოლეოდა, რომ ძვრაც ვერ უყო თავის მრავალნატანჯულ სხეულს. ვერც წინ, ვერც უკან ვერ იძვრის, მხოლოდ ჯოხს დაყრდნობილი ცდილობს ჯიქურ მოძალადე, დინებას არ დანებდეს, არ დამორჩილდეს, რაც უსათუოდ მისი აღსასრულით დამთავრდება.

დრო უსასრულოდ გაჩერდა. მხოლოდ ენგურის დინების ყრუ ხმაური ისმის, მხოლოდ ენგურის მძვინვარე ჟინი ძრწის – ჩაყლაპოს უმწეო მოხუცი.

* * *

არ გაუგია მანქანის ძრავი ხმა, რომელიც ხმამაღლა როხროხობდა.

სამხედრო მანქანაში ორნი ისხდნენ, ორივე სამხედრო ფორმაში, ახოვანი ახალგაზრდები. ორივე რუსულად მოსაუბრე.

სამხედროებმა შეამჩნიეს ენგურთან მებრძოლი ქალი. სასწრაფოდ გადმოხტნენ მანქანიდან, დაუფიქრებლად შევარდნენ მდინარეში. მიუახლოვდნენ მოხუცს, რომელსაც წყალი უკვე მხრებს უფარავდა, ხელები გადააჯვარედინეს, ზედ მოხუცი შეისვეს დ მეორე ნაპირზე გაიყვანეს.

ბოლო ძაფამდე სველმა ახალგაზრდებმა ასევე ბოლო ძაფამდე სველი მოხუცი მოზრდილ ქვაზე ჩამოსვეს.

ქალს შიშისგან თვალები გაფართოებია, დაძაბულობისგან კანკალი დაიწყო. ღონემიხდილი ცდილობს დაძაბოს გონება – ვერ დაუჯერებია, რომ ის ვიღაცამ გარდაუვალ, უეჭველ სიკვდილს გამოსტაცა.

– ვინ ხართ შვილებო, ვინ გამომიგზავნა უფალმა მხსნელად? ცოტაც და წყალი წამიღებდა ღონემიხდილს, გაიხარეთ შვილებო, მადლობა შვილებო – ძლივს გასაგონი ხმით იკითხა ლიანამ.

– საზღვრის დაცვის ოფიცრები ვართ, ოლეგ კუიმოვი და ვალერი ზუხბა – მეგრულად გამოელაპარაკა ერთ-ერთი, ალბათ ვალერი, – შენ როგორ ხარ ბებო, რამ მოგაფიქრა მდინარეში შესვლა, რა ხართ ეს მოხუცები, ეტყობა ძალიან გჭირდებოდა გაღმა მოხვედრა, ხომ შეიძლებოდა დამხრჩვალიყავი?

ეს იყო ერთგვარი დატუქსვა ბებოსი, რომელსაც თან სდევდა ძალზე შინაური, თბილი და ტკბილი, ტკივილნარევიც და საამოც, ერთი წამითაც არაგაუცხოებული უმცროსის პატივისცემა უფროსისადმი, ასაკოვანისადმი.

– ღმერთმა დაინახოს თქვენი სიკეთე, თქვენი გარჯა ჩემი გადარჩენისათვის, ჩემი სიცოცხლის შენარჩუნებისათვის. მე რაღა შემიძლია, მხოლოდ სანთელს დავანთებ და ვილოცებ თქვენი ბედნიერებისთვის, თქვენი დიდხანს სიცოცხლისათვის, თქვენი გახარებისათვის. დაურჩით თქვენს დედებს შვილებო. ხელჩანთა რომ, არ წაერთმია მდინარეს, კანფეტებით მაინც დაგასაჩუქრებდით. მრცხვენია, რომ ცარიელ მადლობას გიხდით მხოლოდ – ძლივს ალაგებდა წინადადებებს მოხუცი, რომელიც ერთობ ცახცახებდა და წურწურით მომდინარე წყალს ცრემლებსაც აყოლებდა.

– ბებო, ჩვენი სამსახური გვავალდებულებს, რომ ადგილობრივი მილიციის განყოფილებაში მიგვეყვანეთ, მაგრამ არა უშავს... ახლა დაგტოვებთ, აწი შენს თავს თვითონ უნდა მიხედო. ჩვენ კი უნდა ვიჩქაროთ, თორემ უფროსებმა აქ, შენთან ერთად რომ გვნახონ, ვინ იცის როგორ გადავურჩებით.

– აბა ბებო, – გააგრძელა ვალერიმ, გჯერა, რომ უამრავი სიკეთე გიკეთებია ცხოვრების მანძილზე, დღეს ჩვენგანაც ხომ ნახე სიკეთე? ხოდა, ჩვეულებრივ როგორც უწინ, გააგრძელე სიკეთის კეთება რითაც შეგეძლება, სხვებსაც ასწავლე და, ვამრავლოთ სიკეთე, მეგობრობა, მეზობლობა, გვერდში დგომა ჭირშიც და ლხინშიც, როგორც ეს ვიცოდით ამ უაზრო ომამდე.

ორივე ოფიცერმა გაიცინა ნათელი, უბოროტო, გულიდან ამოსული სიცილით.

ორივემ ისევ ენგურს მიაშურა მორიგი სიკეთის საკეთებლად.

ომარ ნანავა

მოგზაურობა კავკასიაში

სვატოპლუკ ჩეხი

ქუთაისი-სვანეთი-მოწამეთა-გორი-უფლისციხე-თბილისი-კოჯორი-თეთრიწყარო-მანგლისი-არაგვისპირეთი-ვლადიკავკაზი

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

სამხრეთული მზის მხურვალება მოსდებია იქაურობას, ალაგ-ალაგ გარგარის ხეს მქრქალი ჩრდილი დაუფენია. ქვემოთ, მდინარის პირას შეჯგუფულ ხეხილს მწვანე, გრილი ოაზისი შეუქმნია ამ გადახრუკულ მიდამოში.

ჩვენმა ჩასვლამ სოფელი ააფორიაქა, ძაღლები გააფთრებული ყეფით გამოგვენთნენ, ბანებზე გამოეფინნენ გაბანტლულ-გარუჯული ტიტლიკანა ბალღები და თვალდაჭყეტილები მოგვჩერებოდნენ. სახლებს შორის გაიელვეს ჭრელკაბიანმა ქალებმა. ზოგი ხელდახელ იფარებდა თეთრ ხილაბანდს, წოწოლა ტყავის ქუდიანი, თეთრშარვლიანი, გრძელჩოხამოსხმული მამაკაცები გზის გასწვრივ ჩამწკრივდნენ.

შეეჩერდით თუ არა, სოფლელები გარს შემოგვეხვივნენ. ვთხოვე რომელიმე მათგანი მღვიმეებამდე გამყოლოდა, ჩემი ნათქვამი დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, რადგან არც ერთმა მათგანმა რუსული არ იცოდა. მაშინ ექსკურსიის მოწყობაზე ზრუნვა მეეტლეს მივანდე. მეეტლე თურმე თავმდაბლობით არ გამოირჩეოდა, ამის წყალობით თავადის საკადრისი ამალის თანხლებით დავადექი გზას გამოქვაბულისაკენ.

სანამ მღვიმეებში შეგიძღვებოდეთ, რამდენიმე სიტყვით მოგახსენებთ, რომ კავკასიაში მრავალგზის მინახავს ფრიალო კლდეზე გამოკვეთილი ოთხკუთხა სადგომი. თავდაპირველად ბუნების ამ მოხეტიალე ასკეტების ნახელავი მეგონა, როცა შეენიშნე, რომ თანაბარ სიმაღლეზე რაღაც დაჯგუფებას ქმნიდნენ, მივხვდი, ეს სამტრედიები ნამდვილი საცხოვრებლებია – კლდის მკვიდრთა სოფლები და ქალაქები. მაინც ვინ იყო ეს ხალხი, რა ერქვა მათ, რამ აიძულა შეხიზნულიყვნენ კლდოვან ღრმულებში: მტაცებელ ნადირთა შიშმა, რაიმე საფრთხემ თუ თანდაყოლილმა მიდრეკილებამ? ეს ქვაბები ფრიალო კლდეების თავზეა მიუდგომელ ადგილებზე, დღევანდელი მოგზაური ზემოდან უნდა დაეშვას თოკით, სხვაგვარად იქამდე კაცი ვერ მიაღწევს. გამოქვაბულები განწირულთა საცხოვრებელს მოგაგონებთ, თითქოს აქაურებს სხვაგვარად არ შეეძლოთ დევნისაგან თავის დაღწევა, მერე ამგვარი კითხვა დამებადა, როდისაა გაშენებული ეს კლდოვანი სოფლები, უძველეს პრეისტორიულ ხანაში, როცა ადამიანს მხოლოდ ასეთ უშიშარ ადგილებში უნდა ეცხოვრა, რათა თავი დაეცვა მტრისგანაც, მხეცისგანაც, თუ უფრო გვიან, როგორც საზიზღარ უცხო ტომთა შემოჭრის ან სისხლისმღვრელი შინაომლობის დროს! ამ კითხვაზე ბევრ მეცნიერს უმტვრევია თავი, პასუხი კი ვერავინ გასცა. თავისქალის ჩაცვინული თვალების ღრმულებივით იცქირებიან კავკასიის, ყირიმის, სპარსეთისა თუ მცირე აზიის კლდის გამოქვაბულები. ფ. რემი ყირიმისადმი მიძღვნილ გერმანულ შრომაში წერს და თამამად აცხადებს, რომ მხოლოდ გერმანელის ხელსა და გერმანულ ამტანობას შეეძლო შეექმნა ეს საოცრებანი, მაგრამ ყოველივე ეს ნათქვამია ყოყლოჩინობით. უმრავლესობას კი მიაჩნია, რომ ეს კლდოვანი სოფლები გაშენდა უძველეს ხანაში, ისტორიისათვის უცნობი ტომების მიერ. ფაქტების უქონლობით გაჩენილ ხარვეზს ოდნავ ავსებს სახელწოდებები. ჩვენი დროის მკლევარები ამ სახელწოდებებს სტრაბონისაგან სესხულობენ. სტრაბონი კი ამბობს, რომ კავკასიის ჩრდილო ფერდობზე ცხოვრობენ ტროგლოდიტები, ბინადრობენ გამოქვაბულებში, იმარაგებენ უამრავ მარცვლეულსა და ხილს. ტროგლოდიტები გამოქვაბულთა უცნობი ბინადარნი არიან.

ტროგლოდიტების სოფლებს შორის უფლისციხეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, უპირველეს ყოვლისა, ეს არ გახლავთ შვეულ კედელზე მწყობრად შეჭრილი ქვაბები. აქაური მღვიმეები უწესრიგო ტერასებადაა დაჯგუფებული. კლდის მაღალ ქიმზე ქვაბები არა მარტო შეჭრილია, არამედ ზოგან კლდისაგან არის გამოჭრილი. ცალკეული სადგომი შეადგენს რამდენსამე ურთიერთდაკავშირებულ ქვაბულს, რომელთა წინა და გვერდითა კედლები გარედან დამუშავებულია, გამოჭრილია ბანიც. კედლებს შორის გაჭიმულია ქუჩაბანდები, დერეფნები, კიბეები.

თავისებურია უფლისციხის მღვიმეების შინაგანი განლაგებაც. ტროგლოდიტების სხვა სოფლების შესახებ ჩვენ ადრეც ვილაპარაკეთ. წარმოადგენს უბრალო კუბურ ქვაბებს, რომლებსაც არავითარი სამკაული არ ამშვენებს, რაც მიუთითებს ბინადართა სიტლანქეზე. უფლისციხეში პირიქით: თვალს ახარებს ნაირ-ნაირი თაღები, სვეტები, გუმბათები, რომლებიც სავსეა დიდი გემოვნებით შესრულებული ჭერის, კედლისა თუ საერთოდ სხვა მორთულობით, რაც მათი ავტორების მაღალგანვითარებულობასა და ნატიფ გემოვნებაზე მეტყველებს. აქ წააწყდებით ძველბერძნულ, რომაულ გოთიკურ, არაბულ არქიტექტურას.

ახლა შიგნითაც შევიხედოთ: ქვებით მოფენილი ბილიკით მივადექით მდინარისაკენ პირმიქცეულ კლდეს და დავინახეთ ჩვენს თავზე გადმოყუდებული, გახლეჩილ ფერდობზე უამრავი შავი ხვრელი, რომლებიც უცნაურად გამოიყურებოდნენ სხვადასხვა ფორმითა და უსწორმასწორო განლაგებით, აქა-იქ შეიმჩნეოდა ადამიანის ნამოქმედარიც. შუა ადგილას ღაღად დგას ნახევრადქცეული მომცრო ქართული ეკლესია, ჟამთასვლისაგან დაბერებული, მაგრამ ამ გარემოცვაში ის ეკლესია ყველაზე ჩვილია იმ უძველესი ტომისა, რომელთა გვიანდელი თაობის ღვთისმოსაობით შეერწყა აქაურობას.

უწინარეს ყოვლისა ვიწრო ქუჩაზე გავიარეთ, რომელსაც ჩემმა გამცილებლებმა **“საბაზრო”** უწოდეს. აქ, ქუჩის ორთავე მხარეს, ჩანს დუქნებისა და დახლების კვალი, დია ბუნაგები წინწამოწეული დახლებით, ასე თუ ისე წააგვანან დღევანდელ ქართულ სახლებს. როცა ამ ქუჩას გავცდით, ჩემს ამალას მაღალი ახალგაზრდა ქართველი მღვდელი შემოუერთდა. გრძელი შავი ანაფორა ეცვა და შავი მრგვალი ქუდი ეხურა. მღვდელს ჰქონდა შავი ხუჭუჭა წვერი, ყორნისბოლოსავით შავი თმა, ზურგზე ნაწნავად ეშვებოდა. ყოველივე ეს მის მოგრძო სახესა და დიდ წყლიან თვალებს ღირსეულ იერს ანიჭებდა. ამტვრევდა რუსულს. გზა და გზა ჩემი ამალა იზრდებოდა შემომატებული ხალხით და ბოლოს და ბოლოს მე მგონი, ჩემს ირგვლივ თავი მოიყარა ყველა აქაურმა მამაკაცმა.

მღვდელი შეგვიძღვა უახლოეს გამოქვაბულში. ჩემდა გასაოცრად აღმოვჩნდი ვრცელ ოთკუთხა დარბაზში, რომელიც გვერდითა ოთახებს ლამაზი სვეტებით ემიჯნებოდა. განმაცვიფრა დარბაზის ბრწყინვალედ დამუშავებულმა ძელურმა ჭერმა. იგი სამეჯლისო დარბაზს ჰგავდა. შუაში ამოჩუქურთმებული ვეებერთელა ბოძი იდგა, რომელსაც ორივე მხრიდან პერპენდიკულარულად მიჰყვებოდა თავხეები. თავხეებს აჩნდა მრგვალი სვეტების კვალი, რომლებსაც ოდესღაც ჭერი ეყრდნობოდა, ამ სვეტების ლამაზი საფუძველი დღემდე ეტყობა იატაკს. გვერდითა ოთახებში საფეხურებს მივყავართ. კედლებში გამოჭრილია ნაირ-ნაირი ნიშა, ხოლო ჭერზე მოჩანს ზუსტი წრიული ღრმული, რომელიც აუცილებლად საკვამური იქნებოდა. დარბაზის უკანა კედელში კიდევ ერთი მომცრო ბნელი სენაკია, რომელშიც ორი საფეხურით ავდივართ. ეს, ალბათ, მდიდარი ტროგლოდიტის შემაღლებული საწოლი იქნებოდა, რომელიც ათასწლეულის წინ ცხოვრობდა ნათელ კლდოვან აპარტამენტებში.

კიდევ უფრო განმაცვიფრა მომდევნო მღვიმემ. მისი ჭერი შედგება ურთიერთგადაჭდობილი ოთხი ლამაზი ჭაღისაგან, რომლებიც გამოყოფილნი არიან ლამაზად გამოთლილი წკეპლებით. ისინი თავს იყრიან ნატიფი მორთულობით კაპიტელის სვეტებზე. კედლის უამრავი ნიშებიდან ყურადღებას იპყრობს ერთი მათგანი, რომელიც უეჭველია, სარეცელი იყო. ამ გამოქვაბულის ერთ კედელზე გამოჭრილი კარით შედიხართ გაცილებით ვრცელ ოთახში, დამრეცი კიბეებით დაეშვებით გამოქვაბულში, რომლის მიღმა არის მცირე შემაერთებელი დარბაზი – კუთხეებში სვეტებითა და ჭერზე მოხატულობით; მზის ბორბალი აერთებს კუთხეების სვეტების ბოლოებს. მარცხნივ ჩანს ვრცელი ნიში ამაღლებული საკურთხევლით. მის კედლებზე ერთმანეთის პირდაპირ ჩანს ორი ნახვრეტი დამპალი ხის ნაშთით. გამყოლები ამ მღვიმეს **“ეკლესიას”** ეძახიან. ნეტავ რა ერქვა იმ უცნობ ღმერთს, ვისაც ამ ქვის საკურთხეველთან ეთაყვანებოდნენ? აღარ შეგაწყენთ კლდოვანი ქალაქის თითოეული ოთახის აღწერილობით. უკვე ნაამბობის მიხედვითაც შეგიძლიათ წარმოიდგინოთ მისი ხასიათი. სენაკები უმეტესად მომცროა, მაგრამ მნახველს აოცებს კედლებსა თუ ჭერზე შესრულებული დეკორატიული სამუშაო. ჭერი თაღოვანია. გამოჭრილია დირეები, კვადრატები, შემკულია ფარდულებითა და ვარსკვლავები ამშვენებს. ერთი სიტყვით, აქ წარმოდგენილია ქვაზე კვეთის ხელოვნების ჭეშმარიტი ნიმუშები: უამრავი საფეხურები, მერხი თუ ნიში გამოკვეთილი, რომელთაგან ზოგი საწოლია და ზოგიც სათავსო. მღვიმეთა ერთი ნაწილი გამოფიტულია, ზოგიც მიწითა და ქვიშით ავსილა სანახევროდ. კლდის ქალაქში ადამიანის სიცოცხლის ნიშანწყალიც არ არის და მხოლოდ სოფლისკენ პირმოქცეულ ქარაფოვან კლდეზე გამოკვეთილი იეროგლიფები მიგვანიშნებენ ოდესღაც მათ არსებობაზე.

ოცამდე გამოქვაბულის დათვალიერება ხერხდება, მოვიკალათე ერთ-ერთი მღვიმის საფეხურზე და ფიქრებს მივეცი თავი. ვინ მიამბობს ამ საოცარი ქალაქის ისტორიას?

ქართული მემატიანის გადმოცემით, ქალაქი დაარსა ნოეს შვილის იაფეტის მეშვიდე თუ მეექვსე თაობის წარმომადგენელმა, უფლისწულმა. ამბობენ, ჩინგის ხანის ეპოქამდე დასახლებული იყოო, იმასაც ამბობენ, უფლისციხის მიხედვით გამოაკვეთინა თამარ მეფემ ვარძია (ვარდების კოშკი), 365 ოთახიანი ახალციხეში, ციცაბო კლდეზე, სადაც ტურისტს დღესაც შეუძლია იხილოს კედლებზე თამარ მეფის ნატურალური ზომის პორტრეტი.

“ქართლის ცხოვრების” მონაცემებით უფლისციხე წინაისტორიული პერიოდისაა. ეტყობა, ეს კლდოვანი ბუდე მოგვიანო ეპოქებშიც დიდი მოწონებით სარგებლობდა, რომ განაგრძობდნენ ტროგლოდიტების დაწყებულ საქმეს და მათი მღვიმეები საცხოვრებლად გადააკეთეს საკუთარი გემოვნებისდა მიხედვით, ამას ადასტურებს შიდა მორთულობა, სხვადასხვა არქიტექტურული სტილის ჭერი და ქალაქის ცენტრში ქართული ტაძარი.

აი, ყველაფერი, რაც ამ საიდუმლოებითა და გამოცანებით აღსავსე წარსულზე ითქმის.

თარგმანი ალ. კაკულიასი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მადლობა, საყვედური...

თქვენს გაზეთში წინათაც ვწერდი და ავღნიშნავდი, რომ საქართველოს მოსახლეობა პირველი ოქტომბრის არჩევნებამდეც კარგად იცნობდა თუ ვინ იყო ივანიშვილი, რამდენი კეთილი საქმე გაუკეთებია, როგორ ეხმარებოდა მშობლიური რაიონისა და სოფლის მოსახლეობას და როცა მან განცხადება გააკეთა პოლიტიკაში მოსვლის შესახებ, ყველა დიდი ნდობით აღიჭურვა მისდამი და მისი უდიდესი ავტორიტეტის წყალობით კოალიცია **“ქართულმა ოცნებამ”** ადვილად მოიპოვა გამარჯვება. თუ არა ივანიშვილი, ძალიან გაჭირდებოდა, თითქმის, შეუძლებელი იქნებოდა სააკაშვილის, უფრო სწორად, სააკიანცის ხელისუფლებიდან მოშორება. უდიდესი, ენით გამოუთქმელი მადლობა ივანიშვილს საქართველოს მოსახლეობისგან, რომ, სწორედ მან შეძლო საქართველოდან მოეშორებინა ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოსა და ქართველი ხალხის მოღალატე, მათი სისხლისმსმელი წურბელა, უკურნებელი შავი ჭირი – დაშნაკური სულისკვეთებით გაჟღენთილი და ქართველი ერის მოძულე სააკაშვილ-სააკიანცი.

“ქართულმა ოცნებამ”, დღევანდელმა ხელისუფლებამ, ცხადია, ივანიშვილის მეთაურობით, ბევრი რამ გააკეთა ქვეყნის სასიკეთოდ, ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას, მკურნალობა ლამის უფასო და ბევრად უფრო ხელმისაწვდომი გახდა მოსახლეობისათვის, მოსწავლეებს უფასოდ ურიგდებათ სახელმძღვანელოები, ბაგა-ბაღები უფასო გახდა, მედია, სასამართლო, შედარებით დამოუკიდებელი და კიდევ ბევრი რამ კარგი. ყოველივე ამისთვის, რა თქმა უნდა, დამსახურებული მადლობა ივანიშვილს.

როცა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლის შესახებ განცხადება გააკეთა, პირადად მე ალბათ, საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობაც ვფიქრობდი, რომ ეს კაცი მილიარდერია, გაჭირვებული, მშრომელი ხალხის ფული მას არ სჭირდება, პოლიტიკაში მოდის, რათა საქართველოს ისტორიაში ჩაეწეროს, როგორც ქველმოქმედი ოლიგარქი, სამართლიანობისა და სამშობლოს კეთილდღეობისათვის მებრძოლი ადამიანი. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი ეს ასე არ მოხდა. საზოგადოებაში გაურკვევლობა და უკმაყოფილება გამოიწვია მისმა ნაადრევმა წასვლამ ხელისუფლებიდან, ხალხი ნაწყენია ბევრი დანაპირების შეუსრულებლობის გამო, ხალხი უკმაყოფილოა მთავარი დანაპირების – სამართლიანობის აღდგენის შეუწყნარებლად მდორედ მიმდინარეობის გამო, ხალხს ურჩევნია არ ჭამოს, იშიმშილოს, ოღონდ დასჯილ იქნენ დამნაშავენი, როგორც ეს ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში განაცხადა ნანა დევდარიანმა. რომაული თქმისა არ იყოს – **“ქვეყანა რომ დაიქცეს, სამართალი მაინც უნდა აღსრულდეს”.**

აშკარად სახეზეა ნაციონალების მიერ ჩადენილი უპატიებელი დანაშაულები; რომელი ერთი დავასახელოთ – მკვლელობა ცნობილი ადამიანების – ჟვანიას, შარაძის, ვაზაგაშვილის, მკვლელობა ახალგაზრდების – გირგვლიანის, რობაქიძის და კიდევ ბევრი სხვების, ციხეებში პატიმრების არნახული წამება, ცოცხებით გაუპატიურება და კიდევ ბევრი სხვა საზიზღრობანი. ხალხი, საზოგადოება, ბევრი პარტიული ორგანიზაცია სამართლიანად მოითხოვს დამნაშავე ნაციონალური ორგანიზაციის აკრძალვასა და გასამართლებას. ამ მოთხოვნას დუმილით გვერდს უვლიან ივანიშვილი და მოქმედი ხელისუფლება, რისთვისაც ხალხის, მოწინავე საზოგადოების დამსახურებულ საყვედურს იმსახურებენ.

თუ დასავლეთი წინააღმდეგია, რომ დაისაჯონ **“ნაციონალები”** და მათი ლიდერები, თუ ისინი ხელს აფარებენ დამნაშავეებს, მაშინ საკითხავია, რა გვინდა ნატოში, ევროკავშირში?

საქართველოში მცხოვრები საღად მოაზროვნე ადამიანები, სამშობლოს პატრიოტები ყოველდღე, ყოველ წუთს დაკავებული უნდა იყონ ნაციონალების და მათი ლიდერების მიერ ჩადენილი დანაშაულების მხილებით, რომ მათ არ მიეცეთ გასაქანი, იმის საშუალება, რომ ხალხის მოტყუებით მოიპოვონ ნდობა. ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც ბრმად ენდობიან მათ. სწორედ ამიტომაა საჭირო სამშობლოს პატრიოტმა ადამიანებმა პრესით იქნება ეს რადიოთი თუ ტელევიზიით ყოველდღე, ყოველ წამს ამხილონ და სამზეოზე გამოიტანონ მათ მიერ ჩადენილი ენით აუწერელი დანაშაულები. ბატონი როლანდ ჯალადანია თავის მრავალ წერილთა შორის ერთერთში სამართლიანად აღნიშნავს, რომ გაზეთის ყოველ ნომერში გამოაქვეყნებს ნაციონალების და მათი მომხრეების მამხილებელ მასალებს, რათა ხალხმა, მათზე ბრმად მინდობილმა ადამიანებმა ბოლოს და ბოლოს შეიგნონ თუ ვინ არიან ნაციონალები, როგორ ღალატობენ საქართველოს, როგორ ატყუებენ ხალხს, კარს მომდგარი არჩევნების წინ გააცნობიერონ, რომ მათზე ხმის მიცემა ქვეყნის წინაშე დანაშაულია.

მურმან სანგულია,
ინჟინერ-ტექნოლოგი, აფხაზეთიდან
იძულებით გადაადგილებული

ქვა-ღორღით ნუ ჩაუხერგავთ გზა-სავალს და ნუ გადაუკეტავთ მომავალს, თანამედროვე და შემდგომ თაობებს, კეთილშობილო ადამიანებო!

პატივცემულმა მკითხველმა უთუოდ იცის, რომ ამ სტრიქონების ავტორი, ჩვეულებრივ, დაკავებულია საენათმეცნიერო სამუშაოებით და მხოლოდ იშვიათად, განსაკუთრებული საჭიროებისას იცლის სხვა საკითხებისათვის.

ასეთ პირობებში, ჭეშმარიტების მოყვარულ გაზეთ **"ილორში"** გამოსაქვეყნებლად, უკანასკნელ პერიოდში გარკვეული ინტერვალით მოვამზადე წერილები, დასათაურებებით: 1. **"ტარიელ ფუტკარაძის, ანანია ჯაფარიძის, კონსტანტინე კაკიტაძისა და მათნაირთა ბოროტგანზრახულობებზე დამყარებული დისკრიმინაციული ვითარება საქართველოში"**; 2. **"სახელისუფლებო ადმინისტრაციის საქმიანობა ამსახველია თვით ადმინისტრაციის საქმიანობისა"**. 3. **"დაგვიანებული პასუხი პროფესორ კონსტანტინე კაკიტაძეს"**; 4. **"ეს როყიოდ ნათქვამია თუ სინამდვილეა, ბატონო ავთანდილ?"**

ცხადია, ისინი გარკვეული მიზეზებით დაიწერა (ამაზე ქვემოთ), მაგრამ არც ერთი მათგანი არ გამიგზავნია, **"წერე და იკითხე"**-ს მეუფეობის პირობებში. ამჯერად, მუდმივი დუმილი მაინც მიზანშეუწონლად ჩავთვალე და ეს წერილი მოვამზადე, იმ მოსაზრებით, რომ აქვე მოკლედ გამომეხატა წინა წერილებში მოცემული სათქმელიც. თუმცა, ერთ საგაზეთო სტატიაში ეს იოლი როდია.

საქმეს სათავე დაედო შემდეგით: მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა საქართველოს პარლამენტის მიერ პირველივე მოსმენით მიღებული **"კანონი საქართველოს სახელმწიფო ენის შესახებ"** (იგი მაშინათვე განხილულ იქნა სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** ზუგდიდის ორგანიზაციის მიერ), 2015 წლის 20 სექტემბერს, ქალაქ წალენჯიხაში შედგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია **"აია"**-ს პრეზიდიუმისა და კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაცია **"კოლხეთის"** საბჭოს გაერთიანებული გაფართოებული სხდომა. სხდომამ განიხილა საკითხი **"საქართველოს მეცნიერებათა აკადემია "აია"-სა და კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაცია „კოლხეთის" მიერ ენათმეცნიერების დარგში გაწეული მუშაობის შედეგების სრულიად საქართველოსა და კაცობრიობის კუთვნილებად გადაქცევისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ"** (მომხს. მ. ძაძამია). სხდომამ ამასთანავე განიხილა საქართველოს პარლამენტის მიერ ახლად მიღებული კანონი **"საქართველოს სახელმწიფო ენის შესახებ"** და მოიწონა იგი, მაგრამ არასწორად მიიჩნია ის ფაქტი, რომ ამ კანონში ნაცვლად ტერმინისა **"ქართველური ენები"**, ჩაწერილი იყო მეგრელთმოძულე ტ. ფუტკარაძისა და მისი თანამზრახველების მიერ აშკარა ბოროტგანზრახვით შემოგდებული ცნება: **"ენა-კილოები"** (ფორმით: **"ენა-კილოთა"**. ტექსტი ქვემოთ).

სხდომამ მიიღო სპეციალური დადგენილება, – **"საგანგებო მიმართვა"**, რაც შემდგომში გამოქვეყნდა გაზეთ **"ილორის"** 2015 წლის 22-29 დეკემბრის ნომერში და გაეგზავნა ადრესატებს შემდეგი თხოვნითა და მოთხოვნით:

1. საქართველოს პრემიერ-მინისტრს (აწ უკვე ყოფილს) ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს ეთხოვა, რომ გამოენახა დრო, გაცნობოდა საგანგებო მიმართვას და პირად კონტროლზე აყვანით უზრუნველეყო მასში დაყენებული საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტა.

2. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ დავით უსუფაშვილს მოეთხოვა, რომ უზრუნველეყო საქართველოს პარლამენტისავე 1999 წლის აპრილის თვის დადგენილების შესრულება, **"მცირერიცხოვანი და რეგიონული ხალხების ენების დაცვის შესახებ"** ევროსაბჭოს კონვენციების ერთი წლის ვადაში რატიფიკაციის თაობაზე, რაც აქამდე არ შესრულებულა.

საქართველოს მოქალაქეთა საზოგადოების თავმჯდომარეს, საყოველთაოდ ცნობილ ბიზნესმენსა და მეცენატს ბატონ ბიძინა ივანიშვილს ეთხოვა, დახმარებოდა წლების მანძილზე მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე საქართველოს მეცნიერებათა აკადემია **"აია"**-ს, საკაცობრიო მნიშვნელობის საენათმეცნიერო ნაშრომების (მ. შ. ენის წარმოშობის საფუძვლების შესახებ) გამოცემისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის კუთვნილებად მათი გადაქცევის საქმეში.

აი, აღნიშნულის შედეგებიც:

ოპერატიულად, 15 დღის ვადაში მივიღეთ პასუხი პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომისიის თავმჯდომარის ბატონ ივანე კიღურაძის ხელმოწერით, რითაც გვეცნობა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით საერთაშორისო კანონების შესახებ კონვენციების რატიფიკაციის თუ შეჩერების საკითხს აყენებს საქართველოს მთავრობა;

მოგვიანებით, პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციიდან გვეუწყა, რომ წერილი დაეწერა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შემდეგი რეზოლუციით: **"გთხოვთ განიხილოთ თქვენი კომპეტენციის შესაბამისად"**.

ყველაფერი ამით დამთავრდა.

გამოდის, რომ სახელისუფლებო ორგანოების ადმინისტრაციების საქმიანობაში არაფერი შეცვლილა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ამგვარებს: ანალოგიური წერილი ენათმეცნიერულ საკითხზე, ადრე, პრეზიდენტ მ. სააკაშვილის ადმინისტრაციამ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს (ნ. რურუას) დააწერა, რის შემდეგაც ჩვენთვის აქამდე გაურკვეველია, სპორტის რომელი სახეობის რომელ სექციას დაეწერა, საბოლოოდ, ჩვენი წერილი და როგორია მისი განხილვის შედეგი.

შედარებისათვის: გაზეთ **"საქართველო და მსოფლიოს"** ბოლოდროინდელი წერილებიდან ცნობილია, რომ იოსებ სტალინი, რომელიც თავის დროზე, რუსეთის ვეებრთელა იმპერიას (და არა მარტო) მართავდა, ყოველდღიურად საშუალოდ 300 გვერდ მასალას კითხულობდა და 15-დღიან ვადაში საკუთარი ხელმოწერით ჯეროვნად პასუხობდა მის სახელზე გაგზავნილი ყოველი წერილის ავტორს.

ამიტომაც შევადგინეთ ჩვენ, ზემოაღნიშნული წერილიც: **"სახელისუფლებო ადმინისტრაციის საქმიანობა სახეა თვით ადმინისტრაციის საქმიანობისა"**.

ამჯერად, სხვა წერილების მიზეზებზეც:

პირველი მოსმენით მიღებულ **"კანონში საქართველოს სახელმწიფო ენის შესახებ"**, მე-4 მუხლის მე-3 ნაწილად ჩაწერილი იყო შემდეგი: **"სახელმწიფო მუდმივად ზრუნავს ქართველურ ენა-კილოთა შენარჩუნებასა და შესწავლაზე, როგორც სახელმწიფო ენის სიცოცხლისუნარიანობის უმნიშვნელოვანეს პირობაზე"**.

საკითხავია: რითი დაიცავდა ნეტავი?

ახლად შექმნილი სახელმწიფო ენის (და არა ქართველური ენების) დაცვის პალატის მეშვეობით ხომ არა? მაგრამ, როგორ? ბაზრებში მოვაჭრე ადამიანებს ხომ არ შეუსწორებდნენ მეგრულ, ლაზურ და სვანურ ენებზე საუბრისას დაშვებულ შეცდომებს და ეს ხომ არ იქნება მათი შენარჩუნებისა და შესწავლის პირობა?

არადა, ევროსაბჭოს კონვენციების რატიფიკაციის გარეშე სხვა რა ბერკეტი არსებობს საამისოდ? მაშ, რა აზრი აქვს აღნიშნულ კანონს ქართველური ენებისათვის?

ამ კანონში მოხსენიებული, ტერმინი **"ქართველური ენა-კილოთა"** ერთ-ერთი ტერმინთაგანია მეგრელთმოძულე ტ. ფუტკარაძისა და მისი ამფსონების მიერ შგნებული ბოროტგანზრახვით შემოგდებული ტერმინებიდან: **"ქართული ენის დიალექტები ანუ კილოები"**, **"სამეტყველო კოდები"**, **"ქართული ენის კუთხური განფენილობა"** და სხვა), რითაც ისინი ქართველურ ენებს ნათლავდნენ, იმისათვის, რომ მათთვის წაერთმიათ ენის სტატუსი და ამით არ მომხდარიყო მათი დაცვა ევროსაბჭოს კონვენციების შესაბამისად. აღნიშნული კანონით კი, მათ თავიანთი განაზრახი გაინაღდეს. ასე გამოდის რომ, თურმე ამიტომ არ ახდენდა საქართველოს პარლამენტი აღნიშნული კონვენციების რატიფიკაციას მთელი 15 წლის მანძილზე.

ეს გახდა საფუძველი ჩვენი საგაზეთო წერილისა სათაურით: **"ტარიელ ფუტკარაძის, ანანია ჯაფარიძის, კონსტანტინე კაკიტაძისა და მათნაირთა ბოროტგანზრახულობაზე დამყარებული დისკრიმინაციული ვითარება საქართველოში"**.

ქართველური ენების დისკრედიტაცია რომ იგივეა, რაც მათი მატარებელი ხალხების დისკრიმინაცია და მომასწავებელია მიწის პირისაგან მათი გაქრობისა, საყოველთაოდ ცნობილი აქსიომაა, მაგრამ საქმე ამით როდი მთავრდება:

როგორც ენათმეცნიერება გვასწავლის, **"დიდი ენა დიდ მდინარესა ჰგავს: როგორც დიდი მდინარე იკვებება და იზრდება პატარა მდინარეებით და დაშრებიან რა ისინი შრება დიდი მდინარეც, ასევე დიდი (დედა) ენა იზრდება და ვითარდება მონათესავე ენებითა და დიალექტებით და გაქრებიან რა ისინი ქრება დიდი ენაც"**; ბოლოდროინდელ გაზეთებში დაუფარავად წერენ, რომ **"21-ე საუკუნის ბოლოსათვის დედამიწაზე არსებული ენებიდან დარჩება მხოლოდ 10 პროცენტი, დანარჩენი კი გაქრება"**; **"გლობალიზაციის ნაკლი ის არის, რომ ის სპობს ან თითქმის სპობს ყოველგვარ ეროვნულს"** (პოლ ა. სამუელსონი, ვილჰელმ დ. ნორდჰაუსი, ნობელის პრემიის ლაურეატები, აშშ).

მამანტი ძაძამია,
პროფესორი, აკადემიკოსი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაცია „კოლხეთის" პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია"-ს საპატიო პრეზიდენტი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მეგრული ენა – გამორჩეული ფენომენი მსოფლიოს ენებს შორის

(ინტერვიუ მამანტი ძაძამიასთან)

ჩვენ, 2003 წლის 18 ივლისს დღევანდელი სენაკის რაიონის მუზეუმ ნოქალაქევის (არქეოპოლისის) ეზოში ჩატარებული სახალხო მოძრაობა **„სამეგრელოს"** 10.000-კაციანი ყრილობის გადაწყვეტილებით შექმნილი კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაცია **„კოლხეთისა"** და საქართველოს მეცნიერებათა აკადემია **„აია"**-ს წევრები ხშირად ვიკრიბებით ამ დაწესებულებების შტაბ-ბინასა და ბიბლიოთეკაში, რომლებიც განთავსებულია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში, საქვეყნოდ ცნობილი ენათმეცნიერების, ამ დაწესებულებების პრეზიდენტების მამა-შვილი მამანტი და ცირა ძაძამიების დიდი ოჯახის კერძო სახლში. ამჯერადაც ასე იყო; გვქონდა ბედნიერება გავსაუბრებოდით ამ გასაოცარი ნიჭის ადამიანებს, მოგვესმინა მათგან, ბოლო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ და კიდევ ერთხელ დაგვეთვალიერებინა ხსენებული უნიკალური ბიბლიოთეკა. დასასრულს, ბატონ მამანტის ვთხოვეთ რამდენიმე კითხვაზე ეპასუხა, რაზეც სიამოვნებით დაგვთანხმდა. ერთგვარი ინტერვიუ გამოვიდა, რასაც გაზეთ **„ილორის"** მკითხველს ვთავაზობთ. აი, ისიც:

კითხვა: თქვენი მონაცემებით, რომელი ენა წარმოადგენს ყველაზე ძველ და განვითარებულ ენას მსოფლიოში?

პასუხი: მსოფლიო ენათმეცნიერება აღიარებს, რომ რაც უფრო მდიარია ენის ლექსიკა, მით უფრო განვითარებული და შორეული წარმომავლობისაა იგი.

კითხვა: რა განაპირობებს ენის ლექსიკის სიმდიდრეს?

პასუხი: ენის ლექსიკის სიმდიდრეს განაპირობებს საგანთა და სხვა მონაცემთა სიმდიდრე დედამიწაზე და სამყაროში; მათი შეცნობა-შესწავლისა და სახელდების დონე განსაზღვრავს ენობრივი ნიშნების ანუ სიტყვების მარაგის სიმდიდრეს, რაც, ამავე დროს, მოცემული ენის მფლობელი ადამიანთა საზოგადოების მიერ საგანთა სამყაროს შესწავლის დონეს, და მაშასადამე, მოცემული ენობრივი კოლექტივის განვითარების დონეს ასახავს.

კითხვა: რომელი ენა არის ამ მხრივ გამორჩეული, ამჟამად, დედამიწაზე არსებულ ენებს შორის?

პასუხი: აქამდე ენათმეცნიერებს მიაჩნდათ, რომ ყველაზე მდიდარი ლექსიკის მქონე იყო ინგლისური ენა, რომელშიც 490.000-მდე სიტყვას ითვლიდნენ. ჩვენი გამოკვლევების შედეგებით აღმოჩნდა, რომ მეგრულ ენაში გვაქვს 1 მილიარდ 140 მილიონზე მეტი სიტყვა პარალელური, იშვიათად ხმარებადი და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ, საიდანაც, სავარაუდოდ, თანამედროვე მეგრულში ხმარებადია 500 მილიონი (თუ არა მეტი) სიტყვა. მეგრულის მთელი ეს ლექსიკა დამყარებულია სულ რაღაც 6652 ძირისეულ თანხმოვნურ ფორმაზე. ესენი აფიქსირებულ-გრამატიზებულია 525 დერივატი ანუ მნიშვნელობამცვლელი საგრამატიკო საშუალებით. მათ შორის არის 76 პირველადი საწყისისეული სუფიქსი, 336 მეორეული (მესამეული და ა. შ.) წარმოების სუფიქსი, 10 პრეფიქსი, 6 ინფიქსი და 3 ნაწილაკი. აი, ყველაფერი ის, რაც ქმნის მეგრულის მთელ კოლოსალურ, დიახ ფანტასტიკურ ლექსიკას, რაც ედრება მსოფლიოში არსებული ენების ლექსიკების ჯამს, ერთად აღებულს.

კითხვა: კიდევ სხვა რა განსაკუთრებული ნიშან-თვისება გააჩნია მეგრულ ენას?

პასუხი: მეგრულ ენაში ცოცხლად არის დაუნჯებული ენის (მოცემული ენის, ზოგადად ანუ საერთოდ ენის და სხვადასხვა ენის) წარმოშობისა და განვითარების მთელი ისტორია. მეგრული ენა, ლექსიკის განსაკუთრებული სიმდიდრისა და სიტყვათა აღწერილობითი ხასიათის წყალობით, წარმოადგენს საგანთა სამყაროს არა უბრალო ბგერწერით უკუფენას, არამედ ფერწერით უკუფენასაც. იგი ისევე წარმოაჩენს საგანთა სამყაროს, როგორადაც იგი სინამდვილეში არის წარმოდგენილი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეგრული ენა წარმოადგენს საგანთა უნივერსალური სამყაროს უნივერსალურ მოდელს და ნომერ პირველ საოცრებას დედამიწაზე. მეგრული (კოლხური, იბერიული) ენა გენეტიკური თვალსაზრისით წარმოადგენს ადამჟამიერ ენას ანუ ადამის ენას, იგივე პირველქმნილ იაფეტურ ენას. ამასთან, მეგრული არის დიდი წმინდანებისა და ღმერთების ენა. ყოველივე აღნიშნულისა და სხვათა გამო, მეგრული ენა წარმოადგენს გამორჩეულ ფენომენს მსოფლიოს ენებს შორის.

კითხვა: ყოველივე ამის წარმოჩენა ხომ არ ნიშნავს ლაზარეს აღდგომას?

პასუხი: დიახ, ეს ნიშნავს ლაზარეს აღდგინებას.

კითხვა: როგორც ვიცით, თქვენ 3600-მდე საენათმეცნიერო ნაშრომი მიუძღვენით ენის წარმოშობის საკითხისა და საერთოდ ენის ფენომენის შესწავლას, რაც 17 დიდ მონოგრაფიაშია წარმოდგენილი და საიდანაც არის: 11 ერთტომეული, 2 ორტომეული, 1 სამტომეული, 1 ოცტომეული და 1 მრავალათასტომეული (სავარაუდოდ, ოცდახუთათასტომეული), რაზედაც დღემდე აგრძელებთ მუშაობას?

პასუხი: დიახ, ზუსტად დაგიმახსოვრებიათ. ოღონდ საქმე ის არის, რომ იმ აღნიშნულ 3600-მდე საკითხში არის სამჯერ მეტი სხვა საკითხებიც, რომლებიც ცალე დასათაურებული არ არის. ასე, რომ, მუშაობა ამ მხრივაც გასაგრძელებელია.

კითხვა: როგორ შეაფასებდით, საერთო ჯამში, თქვენს ნაშრომებს?

პასუხი: გააჩნია რა მხრივ. მაგალითად, თუ კი თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანი შემოგვთავაზებდა მის შეძენას, მთელი თავისი ქონების ფასად, ჩვენ მასთან ვაჭრობაში აღარც კი შევიდოდით, შემდეგი მოსაზრებით: მილიარდელები იყვნენ, არიან და იქნებიან. მათი ქონება განსაზღვრულია, ფულად ოდენობაში აისახება. ჩვენი ნაშრომები ერთადერთი და განუმეორებელია, ფასდაუდებელია. ამასთან, ისინი, არა მხოლოდ ჩვენი, არამედ სრულიად საქართველოს და კაცობრიობის კუთვნილებაა და კერძო პირზე (თუნდაც საჯაროზე) ვერ გაიყიდება.

კითხვა: ვინ იქნებიან ის ბედნიერი ადამიანები, ვისაც მიეცემათ უფლება, გამოსცენ თქვენი ნაშრომები? თქვენთან ერთად მათი სახელებიც ხომ უკვდავი იქნება.

პასუხი: ამ ნაშრომების გამოცემის უფლებას მივცემთ ნებისმიერ ადამიანს, ოღონდ ამგვარი პირობით: ფულთან ერთად მას უნდა ჰქონდეს კაცობაც.

კითხვა: მერე როგორ გამოიცნობთ ამას?

პასუხი: ეს იოლია; უმეცარი, უგულო ფულის ტომარა (კაცუნა) ათეულობით ათას დოლარს ამგვარ საქმეზე არ გაიმეტებს. შეძლებულ, ფულიან, განათლებულ და გულიან კაცებს კი შეუძლიათ დაგვირეკონ ტელეფონებზე: 592 95 16 49; 595 85 80 52.

ინეზა გოგინავა, ნანული ანთია,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია"-ს წევრ-კორესპოდენტები,
ირმა ზარანდია,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია"-ს ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგზაო წესების რომელ დარღვევაზე რამდენი ქულა დაგაკლდებათ – ყველაფერი მართვის მოწმობის ახალი სისტემის შესახებ

ცნობილია სისტემა, რომლის მიხედვითაც, დამრღვევ მძღოლებს მართვის მოწმობისთვის მინიჭებული ქულები შეუმცირდებათ. "საგზაო მოძრაობის შესახებ" კანონში დაგეგმილი ცვლილებებით, მართვის მოწმობას 100 ქულა ენიჭება, ხოლო თითოეული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ამ 100 ქულიდან სამართალდარღვევის ტოლფასი ქულის გამოკლებას გამოიწვევს. კალენდარული წლის განმავლობაში 100 ქულის ნულამდე შემცირების შემთხვევაში, მძღოლს მართვის უფლება შეუწყდება და მის მისაღებად გამოცდის ხელახლა ჩაბარება მოუწევს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მიხედვით ქულათა შემცირების სისტემა ასეთია:

სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა წინასწარი შეცნობით ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირისთვის – 20 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა 1 წლის განმავლობაში – 30 ქულა;

სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა წინასწარი შეცნობით ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირისათვის – 30 ქულა;

იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც არ გაუვლია გზისთვის ვარგისობაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების სავალდებულო პერიოდული ტესტირება (გამოცდა) დადგენილი წესით, ან მესაკუთრის ან სხვა მართლზომიერი მფლობელის მიერ სხვა პირისათვის ასეთი სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა, – 15 ქულა;

ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისას მძღოლის ან მის გვერდით მჯდომი მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა – 10 ქულა;

მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის დროს მძღოლის მიერ მობილური კომუნიკაციის საშუალებით სარგებლობა – 15 ქულა;

მოპედით ან მოტოციკლით მოძრაობისას მძღოლის ან/და მგზავრის მიერ შეკრული მოტოჩაფხუტის გამოუყენებლობა – 5 ქულა;

სატრანსპორტო საშუალების მართვა პირის მიერ, რომელსაც თან არ აქვს მართვის მოწმობა, სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, ან სატრანსპორტო საშუალების მართვა პირის მიერ, რომელსაც თან არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის დროებითი ნებართვა – 5 ქულა;

იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც აქვს გაუმართავი სამუხრუჭე სისტემა, საჭის სამართავი მექანიზმი ან მისაბმელი მოწყობილობა, ანდა მწყობრიდანაა გამოსული ფარები, უკანასაგაბარიტო მაშუქები დღე-დამის ბნელ დროს, ან მინის საწმენდი მექანიზმი წვიმის ან თოვლის დროს, ანდა დარღვეულია ძრავის კვების სისტემის ჰერმეტულობა, – 5 ქულა;

იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც გამონაფრქვევში აქვს გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ისეთი შემცველობა, რომელიც აჭარბებს დადგენილ ნორმას, – 15 ქულა;

იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელიც თვითნებურად არის გადაკეთებული – 15 ქულა;

სატრანსპორტო საშუალების მართვა იმ პირის მიერ, რომელსაც არა აქვს იმ კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობა, რომელი კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებასაც მართავს, – 15 ქულა;

იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომლის მინები დამუქებულია ან მათი შუქგამტარობა შეზღუდულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დადგენილი წესის დარღვევით – 5 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევის მეორედ ჩადენა ერთი წლის განმავლობაში – 10 ქულა, ხოლო მისი მესამედ და შემდეგ ყოველი მომდევნო ჩადენა ერთი წლის განმავლობაში – 15 ქულა;

სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის წესების დარღვევით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება – 20 ქულა;

სატრანსპორტო საშუალებაზე სპეციალური ციმციმა სიგნალის ან/და ხმოვანი სიგნალის ან/და სპეციალური ხმამაღლამოლაპარაკე ხელსაწყოს დაყენება ან/და ოპერატიული ან სპეციალური სამსახურის სატრანსპორტო საშუალებებისათვის განსაზღვრული შეფერილობის გამოყენება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ განსაზღვრული წესის დარღვევით – 15 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა წლის განმავლობაში – 20 ქულა; აღნიშნული სპეციალური ხელსაწყოს არადანიშნულებით გამოყენება, ან ასეთი ხელსაწყოთი აღჭურვილი სატრანსპორტო საშუალების შეუფერხებლად გატარების წესების დარღვევა, – 10 ქულა;

იმ სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის შეფერხება, რომელზედაც ჩართულია სპეციალური სიგნალი ან რომელიც ახორციელებს ესკორტს ან რომელსაც მიაცილებენ, – 15 ქულა; სასწრაფო-სამედიცინო დახმარების, სახანძრო-სამაშველო ან პოლიციის შესაბამისი ამოსაცნობი ნიშნების მქონე სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის შეფერხება, რომელზედაც ჩართულია სპეციალური სიგნალი – 20 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, – 40 ქულა;

სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა არასრულწლოვნისთვის (გარდა იმ პირისა, რომელსაც მინიჭებული აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება) ან იმ პირისათვის, რომელსაც არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ან ეს უფლება შეჩერებული აქვს სხვა დარღვევისათვის – 15 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევა, რომელსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, – 25 ქულა; მისი განმეორებით ჩადენა 1 წლის განმავლობაში – 30 ქულა;

"B" კატეგორიის ან "A1" ან "B1" ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე 18 წლამდე ასაკის პირის მიერ მგზავრთა გადაყვანა შემოსავლის (მოგების) მიღების მიზნით (მათ შორის, ტაქსით) ან შრომითი ურთიერთობის საფუძველზე მძღოლად მუშაობა – 20 ლარი;

სატრანსპორტო საშუალების მართვა წინასწარი შეცნობით სახელმწიფო სანომრე ნიშნის გარეშე, ან სხვაგვარად შეცვლილი სახელმწიფო სანომრე ნიშნით, ან სატრანსპორტო საშუალების საქარე მინაზე დამაგრებული სახელმწიფო სანომრე ნიშნით – 10 ქულა;

სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელიც არ არის რეგისტრირებული დადგენილი წესით, – 20 ქულა;

სატრანსპორტო საშუალების მართვა წინასწარი შეცნობით სხვისი ან შენიღბული სახელმწიფო სანომრე ნიშნით – 40 ქულა;

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება ან საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე სატრანსპორტო საშუალების შემთხვევის ადგილიდან გადაადგილება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, – 15 ქულა; სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ იმ პოლიციელის მოთხოვნის შეუსრულებლობა, რომელიც უზრუნველყოფს საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოებას და ზედამხედველობს საგზაო მოძრაობის წესების დაცვას, – 25 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან საგზაო მოძრაობის შეფერხება, – 35 ქულა;

სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით – 10 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევის ჩადენა იმ პირის მიერ, რომელიც ახორციელებს ადგილობრივ საქალაქო, საქალაქთაშორისო ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით დადგენილ საერთაშორისო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანას, – 20 ქულა;

სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, რომელსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის შეფერხება, – 25 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევა, რომელსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, – 40 ქულა;

ქვეითებთან მიმართებით მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, – 5 ქულა; აღნიშნული ქმედების განმეორებით ჩადენა ერთი წლის განმავლობაში – 10 ქულა; მძღოლის მიერ საგზაო ნიშნის ან საგზაო მონიშვნის, ბუქსირების, გარე სანათი ხელსაწყოთი, ხმოვანი სიგნალით ან საავარიო შუქსიგნალიზაციით სარგებლობის, სასწავლო სვლის, საცხოვრებელ ზონაში ან გზაზე მოძრაობის წესების, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის პრიორიტეტის ან/და საჭაპანო ტრანსპორტის მართვის წესების დარღვევა, ან მოტოციკლით ან სხვა სატრანსპორტო საშუალებით ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობა, რაც აფერხებს საგზაო მოძრაობას ან საშიშროებას უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას, – 5 ქულა;

სატრანსპორტო საშუალებებით ორგანიზებულად გზის გადაკეტვა ან ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობა ქალაქში ან სხვა დასახლებულ პუნქტში, რა დროსაც სრულად არის დაკავებული გზის სავალი ნაწილი, – 10 ქულა;

გზის სავალ ნაწილზე სატრანსპორტო საშუალებათა განლაგების, მოძრაობის დაწყების ან/და მანევრირების წესების დარღვევა – 10 ქულა;

სატრანსპორტო საშუალებაზე საცნობი ნიშნის დამაგრების წესის დარღვევით მოძრაობა – 5 ქულა; მარეგულირებლის ან შუქნიშნის ამკრძალავ ნიშანზე გავლის წესების, პრიორიტეტული (**"დაუთმე გზა", "მოძრაობა გაუჩერებლად აკრძალულია"**) ან ამკრძალავი (**"შესვლა აკრძალულია", "მოძრაობა აკრძალულია"**) ნიშნის მოთხოვნის დაუცველობა, გასწრების, გზაჯვარედინის, რკინიგზაზე გადასასვლელის გავლის წესების დარღვევა, გავლის უპირატესობის მქონე სატრანსპორტო საშუალებისათვის დაბრკოლების შექმნა – 10 ქულა;

შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთა – 10 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა 1 წლის განმავლობაში – 20 ქულა;

შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთა და მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით მოძრაობა – 30 ქულა;

ამკრძალავი ნიშნის **"გაჩერება აკრძალულია"** და **"დგომა აკრძალულია"** მოთხოვნის დაუცველობა, აგრეთვე დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნის დაუცველობა – 5 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის ისეთი შეფერხება, რომელმაც გამოიწვია საცობის შექმნა, – 20 ქულა;

ქვეითებთან მიმართებით მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, რომელსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა, – 20 ქულა; საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, რომლებსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, – 25 ქულა; ქვეითებთან მიმართებით მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, რომელსაც მოჰყვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, – 30 ქულა; საგზაო მოძრაობის მონაწილის (გარდა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მძღოლისა) მიერ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა ან/და საგზაო მოძრაობის მარეგულირებელი სიგნალისადმი დაუმორჩილებლობა, აგრეთვე საგზაო ნიშნის ან საგზაო მონიშვნის მოთხოვნათა უგულებელყოფა – 10 ქულა; აღნიშნული ქმედების განმეორებით ჩადენა ერთი წლის განმავლობაში – 15 ქულა; საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, შეთანხმებებითა და კონვენციებით დადგენილი საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის წესების დარღვევა – 25 ქულა; საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის ან ტვირთის გადაზიდვის წესების დარღვევა, ან არაგაბარიტული (მსხვილგაბარიტიანი) სატრანსპორტო საშუალებით გზაზე მოძრაობა შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმების გარეშე, რომელსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, – 30 ქულა; საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვა-გადაყვანის "საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის მწარმოებელი სატრანსპორტო საშუალებების ეკიპაჟების მუშაობის შესახებ" ევროპის შეთანხმების (AETR) წესების დარღვევით განხორციელება – 15 ქულა; გზაზე იმ სატრანსპორტო საშუალებით მოძრაობა, რომლის თითოეულ წამყვან ან არაწამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა აღემატება 10 ტონას (გარდა ერთწამყვანღერძიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებისა, რომლის წამყვან ღერძზე მაქსიმალური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 11,5 ტონას) ან/და ფაქტობრივი მასა აღემატება 44 ტონას ან/და ფაქტობრივი მასა აღემატება ნებადართულ მაქსიმალურ მასას – 15 ქულა;

ცვლილებები "საგზაო მოძრაობის შესახებ" კანონსა და მასთან ერთად, ოთხ კანონში შედის.

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

...უცნობი ისტორია ჯაბა კანკავაზე – გერმანია-საქართველო სპეციალისტის თვალით

საქართველოს ნაკრების პროგრესი რომ მხოლოდ ჩვენ არ გვეჩვენება, ეს გერმანიასთან მატჩმა და იოახიმ ლიოვისა თუ მანუელ ნოიერის შეფასებებმაც დაადასტურა.

ეროვნული გუნდის ბოლო მატჩის შეფასება ვთხოვეთ **"ვიტ ჯორჯიას"** ყოფილ მწვრთნელს, რამაზ მუმლაძეს...

ზოგადი შეფასება

– მსოფლიოს ჩემპიონს რომ ასე ეთამაშები, ეს პატარა საქმე არ არის. გერმანიის ნაკრები გრანდია და ის არასდროს ინდობს მეტოქეს. მე მას **"ვეშაპს"** შევადარებდი.

წარსულს ჩაჰბარდა ის დრო, როცა ასეთ მატჩებზე, გამოკვეთილ ფავორიტებთან, საქართველოს ნაკრები მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით ჩადიოდა...

გუნდს ეტყობა მწვრთნელის ხელი. ნაკრები ბოლომდე შეეგუა კახა ცხადაძის მიერ დანერგილ ტაქტიკას და, რაც მთავარია, ქრება შიში, რომელიც ძირშივე სპობს წარმატების მიღწევის მცირე ალბათობასაც კი.

ახლა მთავარია, ვითამაშოთ სტაბილურად და შედეგი აუცილებლად მოვა. გუნდი მიჰყვება მწვრთნელს და საამისო პოტენციალიც არის.

მეკარე

– ნუკრი რევიშვილმა დიდებულად ითამაშა. მე აღმატებით ვუყურებ მეკარის როლს ნებისმიერ გუნდში. ის უმნიშვნელოვანესი მოთამაშეა. მეკარე მაღალი კლასისა უნდა იყოს და მან გუნდი უნდა გადაარჩინოს.

რევიშვილი და გიორგი ლორია – ჩვენ ორი მაღალი კლასის მეკარე გვყავს და ვფიქრობ, ამ სათამაშო რგოლში არსებული ჯანსაღი კონკურენცია მხოლოდ და მხოლოდ წაადგება ეროვნული გუნდის მომავალს.

მცველები

– დაცვამ ითამაშა აწყობილად. ჩვენი მცველები სინქრონულად მოქმედებდნენ. რა თქმა უნდა, იყო შეცდომებიც, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, ვის ვეთამაშებოდით. გერმანიამ, რომელსაც აქვს უმდიდრესი შემტევი არსენალი, ჩვენი დაცვა ვერ **"გაწეწა"**. შეთამაშებული, გამოცდილი დაცვა გუნდის წარმატების გარანტია.

შეცვლა

– როცა დაცვაში ყველაფერი კარგად იყო, შეიძლება, ბევრმა იფიქროს, რატომ დაამატა ცხადაძემ ერთი დაცვითი ფუნქციის ფეხბურთელი?

მე აქ ცხადაძის გადაწყვეტილებას ვამართლებ. თამაშის დამთავრებამდე რჩებოდა ძალიან ცოტა დრო და იოლი გამოსაცნობი იყო, რომ გერმანიის ნაკრები შეტევაზე წამოვიდოდა, ამ დროს კი საჩვენო როლი უნდა ეთამაშა ზურაბ ხიზანიშვილის უდიდეს გამოცდილებას...

გოლი კი გავუშვით, მაგრამ არა მგონია, ეს ორი მოვლენა უშუალო კავშირში იყოს ერთმანეთთან. ჩემი აზრით, ხიზანიშვილი მინდორზე შევიდა არა როგორც მცველი, არამედ როგორც დაცვაზე ორიენტირებული საყრდენი ნახევარმცველი. მის შესვლას მინდორზე საქართველოს ნაკრების დაცვაში განსაკუთრებული გადაწყობა და კორექტივები არ გამოუწვევია.

ნახევარმცველები

– საქართველოს ამ ფორმაციის ნაკრებში უდიდესი როლი აქვს ჯაბა კანკავას. გერმანიასთან მატჩში ის გუნდის უდავო ლიდერი იყო. კანკავამ, როგორც ჭეშმარიტ კაპიტანს შეჰფერის, თვითონ გამოასწორა მის მიერვე დაშვებული შეცდომა და გერმანელთა კარში ულამაზესი გოლი გაიტანა...

ნიკა კვეკვესკირს დებიუტანტისა არაფერი ეტყობოდა. ძალიან საიმედო იყო და ერთ ეპიზოდში კინაღამ გოლიც გაიტანა.

დუეტი

– ორივემ ძლიერად ითამაშა. არ დავმალავ, რომ მივეკუთვნები ვაკო ყაზაიშვილის ტალანტის განსაკუთრებულად დამფასებელთა რიცხვს. ვაკო მალე გავა თვისობრივად ახალ, უფრო მაღალ დონეზე – ამაში დარწმუნებული ვარ.

ეს ორი ფეხბურთელი საქართველოს ნაკრების **"ტვინია"**. მათი თამაში მნიშვნელოვნად განაპირობებს ჩვენი გუნდის შემოქმედებით პოტენციალს.

თავდამსხმელები

– რატომ დაიწყო ნიკა გელაშვილმა თამაში ძირითად შემადგენლობაში? ამ თემაზე წავიკითხე თქვენს გაზეთში გამოთქმული მოსაზრება და უნდა გითხრათ, რომ მას ბოლომდე ვეთანხმები. გელაშვილი სწრაფია და კონტრშეტევებზე სახიფათო. გერმანიასთან შეხვედრაში იყო მომენტები, როცა მისი სისწრაფის საჩვენოდ გამოყენება შეიძლებოდა...

ცხადაძემ დროულად გააკეთა შეცვლა. მათე ვაწაძე კარგად ჩაერთო თამაშში. ბურთი დაიჭირა და მცველებიც შეაწუხა...

პრობლემა

– ამ ეტაპზე საქართველოს ნაკრებში ვერ ვხედავ მოუგვარებელ პრობლემას. ცოტა მეტი სითამამე შეტევაში, კიდევ მეტი შემოქმედება... სამწვრთნელო შტაბი, ალბათ, ამ მიმართულებით მუშაობს.

რაც მთავარია, აღარ არის შიში. ეს ძალიან მახარებს, რადგან ამის გარეშე წარმატებაზე ფიქრი წარმოუდგენელია.

რესურსი

– გერმანიასთან მატჩში საქართველოს ნაკრებს დააკლდნენ ლევან მჭედლიძე, ჯანო ანანიძე, ლევან ყენია და ბუბა დაუშვილი. თავადაც დამეთანხმებით, ეს დიდი რესურსია.

მჭედლიძე რომ ყოფილიყო, ალბათ, უკეთ დაიჭერდა ბურთს. ლევანს შეუძლია, რამდენიმე მცველი **"დააბას"** დაცვაში, შეტევაში ამოიყვანოს გუნდი, ამოასუნთქოს ბიჭებს...

ანანიძემ შესანიშნავად ითამაშა ნაკრებში ახალ პოზიციაზე და მისგან ასეთივე გაგრძელებას ველით. კარგ ფორმაში მყოფ ყენიასაც ბევრი შეუძლია. ვფიქრობ, ნაკრებისთვის სასარგებლო ფეხბურთელია დაუშვილიც...

მოკლედ, რესურსი სახეზეა და აზრი, თითქოს არ გვყავს ფეხბურთელები, გაუმართლებელია. მით უმეტეს, უკვე რამდენიმე საინტერესო ახალგაზრდაც გამოჩნდა...

ლიდერი

– ჩემი აზრით, საქართველოს ნაკრების ლიდერი ჯაბა კანკავაა. ისაა დღეს ჩვენი გუნდის სახე. მეამაყება, რომ ჯაბას ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში მცირეოდენი წვლილი მეც მაქვს შეტანილი...

მასთან დაკავშირებით გავიხსენებ ბევრისთვის უცნობ ისტორიას, რომლის მონაწილეც თავად ვიყავი. მოგეხსენებათ, კანკავა **"დინამოში"** გია გეგუჩაძემ დააწინაურა. მაშინ ჯაბა სულ პატარა ბიჭი იყო, მე კი სამწვრთნელო შტაბის წევრი გახლდით.

დიღმის ბაზიდან ფეხბურთელი სად უნდა გაქცეულიყო, მაგრამ მაინც წესად გვქონდა, 11 საათი რომ შესრულდებოდა, მოთამაშეების ოთახებში შევიხედავდით ხოლმე. ეს იმიტომ, რომ ადგილზე ყოფილიყვნენ და ზედმეტად არ გართულიყვნენ ლაპარაკში ან ტელევიზორის ყურებაში...

ერთ დღესაც, ბიჭები ერთად არიან და ჯაბა არ ჩანს. მისი ოთახი დიღმის ბაზაზე მაშინ მესამე სართულის ბოლოს იყო. წავედი, შევაღე კარი და რას ვხედავ – ჯაბას ბურთი უდევს წინ და გაწელვით ვარჯიშებს აკეთებს...

თავიდანვე ეტყობოდა, რომ უდიდესი შრომისმოყვარეობა იდო მასში. მაშინვე მივხვდი, რომ კანკავა დიდ ფეხბურთს ითამაშებდა...

მომავალი

– ასე მგონია, რომ თუ საქართველოს ნაკრებმა გააგრძელა ამ გზით სიარული, მომავალ შესარჩევ ციკლში მას თავისუფლად შეუძლია ჩვენთვის იმ დიდი სიხარულის მონიჭება, რომელსაც ასე ველით.

ჩვენს ნაკრებში უკვე ჩნდებიან კლასიანი ფეხბურთელები და სამწვრთნელო შტაბმაც შესანიშნავად იცის თავისი საქმე. ჩვენ აღარ ვთამაშობთ შიშით და ჯგუფიც ისეთია, რომ წარმატების იმედი უნდა უნდა გვქონდეს.

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა

უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კავკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალაღანია და ნუგზარ გოგუა.

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374

იუმორი

მივლინებიდან დაბრუნებულმა ქმარმა ცოლი რესტორანში წაიყვანა. რესტორნიდან ორივერნი მთვრალები გამოვიდნენ.

– მოდი, შენთან ავიდეთ! – უთხრა ქმარმა.

– გაგიჟდი?!. დღეს ჩემი ქმარი ჩამოვიდა.

* * *

– რა იქნა შენი ლამაზი მდივანი?

– გავანთავისუფლე.

– რატომ?

– იდიოტური სიცილი ჰქონდა.

– თანამშრომლებს რომ არასოდეს შეუმჩნევიათ?!.

– ეგღა მაკლია, ტანსაცმლის გახდისას თანამშრომლები დავისწრო!..

* * *

მეგრელი მატარებლი კუპეში თანამგზავრ ქალს ეკითხება:

– გათხოვილი ხართ, ქალბატონო?

– დიახ!

– შვილებიც გყავთ?

– 29 წლის ბიჭი!

– ხოხ... ძილი ნებისა, ქალბატონო!

* * *

– ეს შენ ხარ ჩემპიონი ას მეტრზე სირბილში?

– დიახ.

– აუ, ძმურად, არაყზე გავარდი, ორ წუთში მაღაზია იკეტება.

სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაკირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში

დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატებია: თელავი, სოფელი შალაური, გაგნიძე ბიჯიკო (დომენტი). **ტელ: 593-22-66-51**

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან

ISSN 1987-8966 ilori

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge